პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წლიწადი მეცხრე

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის
ცენტრალური და თბილისის
კომიტეტების
— და —
სრულიად საქართველოს
მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა
და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმეზე მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე
გარდა კვირა-უქმეებისა დილის 10 საათიდან და მის 12 საათამდე.
ტელეფ.) რედაქტორის 14—76
) მდივნის 10—58

მთავარი კანტორა თბილისი რუსთაველის პროსპექ., № 84, ტელეფონი № 8—81.

ხელისმოწერის ფასი
მუშა-მოსამსახურეთათვის, გლეხების წითელარმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებისათვის—1 მან., დანარჩენებისათვის—1 მან., 30 კ.

საქართველოს ფარგლებში: ნონპარელის სტრიქონი ტექსტის ბოლოში—80 კაპ., ტექსტის შიგნით—1 მ. 60 კაპ.; საქართველოს გარეთ: ტექსტის ბოლოს ნონპარელის სტრიქ.—1 მ. 50 კაპ., ტექსტში—3 მან.; განცხადებული, გარდა განცხადების ფასისა, იხდის 10 % საქალაქო გადასახადს. თუ განცხადება იბეჭდება ხუთჯერ ტექსტის შეუცვლელად—შეღავათი შეთანხმებით. მთავარ კანტორაში განცხადებები მიიღება 9-დან 3½ საათამდე. შემდეგ განცხადება ეღირება 20%-ით მეტი. სამგლოვიარო განცხადებები—15, 20 და 25 მან. „კომუნისტი"-ს ექსპედიცია მოთავსებულია კამოს ქ. № 68, ტელ. 5—43

დღიური

- საბჭ. კავშირის და ნორვეგიის მემაღაროეთა ხელშეკრულება მთლიანობის შესახებ.
- შვეიცარია შეუერთდა კელოგის პაქტს.
- გერმანელ და ავსტრიელ ფაშისტების გაერთიანება.
- გერმანიის მთავრობა უმუშევართა დაზღვევის წინააღმდეგ.
- გაიხსნა გემო-კვების მუშაკთა ინტერნაციონალის აღმასკომის სესია.
- შეტაკება პოლონეთ-ლიტვის საზღვარზე
- გარდაიცვალა ჭადრაკის მაესტრო რეტი.

შაბათი, 8 ივნისი 1929 წ.

ყოველდღიური გაზეთი

ფასი 5 კაპ. № 129 (2475)

მრისხანე გაფრთხილება

მიმდინარე წლის 2 ივნისს საბჭოთა ელჩმა პოლონეთში ამხ. ბოგომოლოვმა ინახულა საგარეო საქმეთა მინისტრის ამხანაგი და ჩვენი მთავრობის სახელით პროტესტი განუცხადა მას იმის გამო, რომ პოლონელი ოფიციალური წრეები მფარველობას უწევენ ანტისაბჭოთა ემიგრანტულ ჯგუფებს და ამით აშკარათ ერევიან საბჭოთა კავშირის შინაურ საქმეებში.

ჩვენი დიპლომატიის ამ ნაბიჯს წინ უძღოდა მთელი რიგი ფაქტები, რომელსაც ადგილი ჰქონდა უკანასკნელ ხანებში პოლონეთის ტერიტორიაზე და რომელნიც საბჭოთა კავშირის სუვერენობის წინააღმდეგ მიმართულ აშკარა დემონსტრაციის ხასიათს ატარებდნენ. მიმდინარე წლის 26 მაისს მენშევიკური კონტრ-რევოლიუციონური ემიგრაციის ნამსხვრევებმა, რომელნიც ებღაუჭებიან ყოველ შემთხვევას, რომ ძლიერთა ამა ქვეყნისა ამცნონ თავიანთ საცოდავი არსებობის შესახებ, ვარშავაში გამართეს „საზეიმო" კრება, სადაც ჩვეულებრივი მოთქმა-გოდებით დასტიროდნენ ევროპის იმპერიალიზმის პირმშო შვილის მენშევიკურ „დამოუკიდებლობას". ვარშავაში მოწყობილ მენშევიკურ ამ ანტისაბჭოთა კრებას დაესწრო პოლონეთის ოფიციალური წრეებისა და სამღვდელოების წარმომადგენლები.

ამავე დროს, მენშევიკური დამოუკიდებლობის პანაშვიდთან ერთად პოლონეთის ტერიტორიაზე გადახდილ იქნა პოლონეთის აგენტის უკრაინის ცნობილ ატამანის პეტლიურას პანაშვიდიც, რომელსაც აგრეთვე დაესწრნენ პოლონეთის ოფიციალური წრეების წარმომადგენლნი.

გარდა ამისა უკანასკნელ დროს ვარშავის ოფიციალური წრეების ინიციატივით მოწყობილ იქნა ემიგრანტ-შავრაზმელის მუსტაფა ჩოკაევის მოხსენება საბჭოთა თურქესტანის შესახებ. მოხსენებას, რომელიც მთლიანად აგებული იყო ჩვეულებრივ საზიზღარ ემიგრანტულ ცილისწამებაზე, საზოგადოდ, საბჭოთა კავშირისა და კერძოდ, საბჭოთა თურქესტანის წინააღმდეგ, დაესწრო პოლონეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს აღმოსავლეთის განყოფილების უფროსი, ანტისაბჭოთა კომბინაციების ერთ-ერთი აქტიური მონაწილე გოლუვკო.

ყველა ეს ფაქტები მოწმობენ, რომ ემიგრანტული ქია-ლუების გამოცოცხლება პოლონეთის ტერიტორიაზე შემთხვევითი მოვლინა არ არის. სანაგვე ყუთიდან ამოთრეულ ყოფილ ადამიანთა ამ კომედიას ხელმძღვანელობს ერთი რეჟისორის ხელი, მთელი ეს კონტრ-რევოლიუციონური ბზუილი ატეხილია განსაზღვრული მიზნით. ამ კამპანიის „დაკვეთის" შესახებ წამოაყრანტალა თვით პილსუდჩიკების ორგანო „გლოს პრავდი"-მ, რომელიც სრულიად ძალდაუტანებლად სწერდა ზემოაღნიშნულ ამბებთან დაკავშირებით ბაქოს ნავთისა და ბაქო-ბათომის ნავთსადენის ეკონომიური მნიშვნელობის შესახებ. ეს ფაქტი ერთხელ კიდევ ააშკარავებს იმ ნამდვილ ზრახვებს, რომელიც სარჩულად უდევს უკანასკნელი დროის ანტისაბჭოთა კამპანიას პოლონეთის ტერიტორიაზე. ეს ფაქტი ერთხელ კიდევ მოწმობს, რომ ემიგრანტული კაცუნების აფუსფუსება, შედეგია იმ „სოციალური დაკვეთის", რომელიც პოლონელ ფაშისტებს თავის მხრივ მიღებული აქვს სხვა უფრო მეტი მასშტაბის და მეტი იმპერიალისტური გაქანების სფეროებიდან. ცხადია, ბაქო-ბათომის ნავთსადენი პოლონეთის ფაშიზმის უშუალო მისწრაფების საგანს არ წარმოადგენს.

პოლონეთის შლიახტა ამ შემთხვევაში ორ კურდღელს მისდევს, ის პირნათლად ასრულებს თავის უცხოელი ბატონების დავალებას და ამავე დროს ცდილობს შექმნას ისეთი შთაბეჭდილება თითქოს საბჭოთა კავშირში შემავალი ეროვნებანი იჩაგრებიან „წითელი იმპერიალიზმის" მიერ. ეს უკანასკნელი მიზანი პოლონეთის ფაშიზმს განსაკუთრებით აინტერესებს. ცნობილია, რომ თვით პოლონეთი ეროვნულ უმცირესობათა მშფოთარე ვულკანს წარმოადგენს: ეროვნული უმცირესობანი აქ მთელი მოსახლეობის 45 პროცენტზე მეტია. და ასეთ მრავალეროვან სახელმწიფოში, სადაც მძვინვარებს ფაშისტური რეაქცია, ნაციონალური უმცირესობანი მოკლებულნი არიან იმ ელემენტარულ უფლებებსაც კი, რომელნიც შესაძლებელია არსებობდეს მცირე ეროვნებათათვის ბურჟუაზიულ სახელმწიფოში. პოლონეთის ფაშისტურ რეაქციით მგმინავი მცირე ეროვნებანი იმედის თვალით შესცქერიან საბჭოთა კავშირს. ჩვენი ხელისუფლების ნაციონალური პოლიტიკა ერთ-ერთი იმ მთავარი მიზეზთაგანია, რომელიც მოსვენებას არ აძლევს, საზოგადოდ, ყველა იმპერიალისტურ და მათ შორის პოლონეთის იმპერიალისტურ-ფაშისტურ მთავრობას.

ამას მიეწერება ის ყოვლად უსუსური და ამავე დროს თავის უტიფრობით აღმაშფოთებელი არგუმენტაცია, რომელიც მოჰყავს მთავრობის კარნახით პოლონეთის ოფიციოზურ პრესას უკანასკნელ უმზგავსოებათა გასამართლებლად. ემიგრანტული ტიკინების წახალისებით პოლონეთი ასრულებს თავის „მორალურ მოვალეობას", ასეთია პოლონეთის გაზეთების განცხადება. ვარშავის პრესა მთავრობის შთაგონებით უფრო შორს მიდის. პოლონეთის ფაშიზმი ჩვენი დიპლომატიის სრულიად სამართლიანს და სავსებით გასაგებ პროტესტს უწოდებს პოლონეთის შინაურ საქმეებში ჩარევას საბჭოთა კავშირის მხრივ. ეს ფაქტი ფაშისტური თავხედობის ჭეშმარიტად იშვიათი ნიმუში.

საქართველოს მშრომელ მასებმა უკვე გამოსთქვა თავისი ღრმა და ერთსულოვანი აღშფოთება პოლონეთის შლიახტის ასეთი უხამსი გამოლაშქრების გამო საბჭოთა კავშირის მშრომელთა წინააღმდეგ. ამას საუკეთესოდ მოწმობენ ჩვენი გაზეთის დღევანდელ ნომერში მოთავსებული ცნობები საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან. საქართველოს მუშები და გლეხები არავის მისცემენ უფლებას სპეკულიაცია გასწიონ მათი სახელით. საქართველოს მშრომელთა ძმურ კავშირს ყველა საბჭოთა რესპუბლიკების მუშებსა და გლეხებთან ვერ შეარყევს იმპერიალიზმის აგენტების ვერავითარი პროვოკაცია. საქართველოს მშრომელნი დაჟინებით მოითხოვენ თავიანთ მთავრობისაგან შესაფერისი ადგილი უჩვენოს მან აღვირაწყვეტილ პოლონეთის ფაშიზმს.

შორს ჩვენგან პოლონეთის შლიახტის და მისი დამქაშების სისხლიანი ხელიბი!

მაკდონალდის მთავრობის ისტორიული დანიშნულება

ინგლისში ხელისუფლებას სათავეში ჩაუდგა მუშათა მთავრობა. მუშათა მთავრობას მეთაურობს მეორე ინტერნაციონალის ერთ-ერთი უდიდესი ლიდერი.

ბირჟა კი სრულიად აუღელვებელი და დამშვიდებულია. „ბანკებს არ აღელვებს მუშათა პარტიის მთავრობის პერსპექტივა"... „აქციების პატრონთა აზრი ისეთია, რომ რაკი კონსერვატორებმა ვერ გაიმარჯვეს, მუშათა პარტიის გამარჯვება სჯობს ყოველსავე იმას, რაც შეიძლებოდა მომხდარიყო". („ტაიმს"-ი).

იმპერიის მართვა-გამგეობა გადავიდა მუშათა პარტიის ბელადების ხელში, იმ მუშათა პარტიის, რომლის დროშაზედაც „სოციალიზმი" სწერია, ხოლო ბანკების სეიფებში ქვანახშირის მეფეთა და მანჩესტერის საფეიქრო მექარხნეთა აქციები, აგრეთვე ლენდლორდთა, ბანკირთა და ეგვიპტის, სუდანის და ინდოეთის პლანტაციებისა და სხვადასხვა საწარმოების მფლობელთა ფასიანი ქაღალდების ღირებულება ერთი პუნქტითაც კი არ დაცემულა!

თავისებურია ეს „მუშათა მთავრობა", თავისებურია ის „სოციალიზმი", რომლის ცხოვრებაში გატარებასაც იგი აპირებს. ეს არის უაღრესად წესიერი ჯენტლმენური სალონური „სოციალიზმი", რომელიც ოდნავ არ ეხება მმართველ კლასს. „მუშები თავიანთ პროგრამას მშვიდობიანი საშუალებებით ანხორციელებენ — ამშვიდებს „მუშათა" პარტია თავის საარჩევნო პლატფორმაში ბურჟუაზიას — ყოველგვარი არეულობის გარეშე, ამომრჩეველთა უმრავლესობის თანხმობით, დემოკრატიულ მთავრობათა ჩვეულებრივი მექანიზმის გამოყენების საშუალებით".

არაფერი არ ემუქრება ბრიტანეთის სამეფო „დემოკრატიას". „სამეფო ტახტი მთელი ხალხის სიმბოლოა", აცხადებს სათნოებითა და მეფისადმი ერთგულების გრძნობით გატაცებული მუშათა პარტიის ოფიციალური ორგანო „დეილი ჰერალდ"-ი. და ინგლისის მონარქიული რიტუალის საუკეთესო ტრადიციების ერთგული „მუშათა" პარტიის ბელადი, როდესაც ღებულობს დავალებას კაბინეტის შედგენის შესახებ, უდიდესი პატივისცემით ეამბორება მეფის ხელს.

ახალი მმართველი პარტია არავითარ საფრთხეს არ უმზადებს დიდი ბრიტანეთის იმპერიას, რომლის სიმბოლოს იგივე „გვირგვინი" წარმოადგენს. „მუშათა პარტია — განაგრძობს მაკდონალდის პარტიის პროგრამა, — საჭიროდ სცნობს ისეთი ნაბიჯების გადადგმას, რომლებიც უზრუნველჰყოფენ უაღრესად მჭიდრო პოლიტიკურ და ეკონომიურ ურთიერთობას დიდ ბრიტანეთსა, ინდოეთსა, თვითმმართველ დომინიონებსა და ბრიტანეთის იმპერიის ხალხთა ძმური კავშირის სხვა მონაწილეებს შორის"

ამ პარტიის და მეორე ინტერნაციონალის პროგრამა ხალხთა „ძმურ კავშირს" უწოდებს დიდი ბრიტანეთის იმპერიას, რომლის არსებობის საძირკველს შეადგენს მეტროპოლიის პროლეტარიატის ექსპლოატაცია, რამოდენიმე ასი მილიონი კოლონიალური მონის — ინდუსების, ეგვიპტელების, არაბების, ზანგების ძარცვა და რომელიც მსოფლიო ჟანდარმის როლს ასრულებს. აბა, გაბედოს რომელიმე დაჩაგრულმა ხალხმა და დასტოვოს ეს „ძმური კავშირი". მაკდონალდი მათ ულტიმატუმების ენით დაელაპარაკება, როგორც 1924 წელს დაელაპარაკა იგი ინდოეთსა და ეგვიპტეს, ხოლო თუ საჭირო იქნება, ზარბაზნებისა და ყუმბარების ენითაც ამეტყველდება.

კერძო საკუთრების, ადამიანის ექსპლოატაციის მთელი სისტემის ხელუხლებლობა და იმპერიის მთლიანობა— აი, ის მთავარი, გადამწყვეტი მომენტი იმ ცრუ მუშური პარტის პროგრამაში, რომელიც ახლა ინგლისის ხელისუფლების საჭეს დაეპატრონა. ყოველივე დანარჩენი, დაპირებული პატარ-პატარა რეფორმები არ სცილდება ამ ჩარჩოებს; მათი განხორციელება შეუძლია ყოველ ლიბერალურ - ბურჟუაზიულ პარტიას. მართალია, პროგრამაში ფრთხილად და გადაკვრით არის ნახსენები მრეწველობის ზოგიერთი დარგის ნაციონალიზაცია „დაინტერესებულ პირთათვის სათანადო კომპენსაციის მიცემით", მაგრამ ასეთი „ნაციონალიზაციის" შესახებ ინგლისის ბურჟუაზიული ლიბერალიზმის ერთ-ერთმა შემქნელმა გლადსტონმა სთქვა: „თუ თქვენ იხდით რასმეს (ნაციონალიზაციის გამო) — ეს სისულელეა, თუ არ იხდით — ძარცვა-გლეჯაა". მუშათა პარტიას კი აზრადაც არ მოსდის ექსპროპრიაცია და ძარცვის „გაძარცვა", ის უმჯობესად სცნობს სულელურ, უაზრო ფორმულას. მაინც ბურჟუაზიას ასეთი სულელური, უაზრო ლაპარაკიც კი აბრაზებს, ამიტომ მუშათა პარტიის ბელადები (ამ პარტიის კანდიდატის დენისონის გაუფრთხილებელი მემარცხენე ფრაზის გამო) საჩქაროდ და კატეგორიული ფორმით გაემიჯნენ საკუთარსავე საპროგრამო განცხადებებს, რომელთა მიზანი მუშათა მასების მოხვეჭა იყო.

კონსერვატორთა „დეილი ტელეგრაფი" (31 მაისი) ტყუილად კი არ სწერდა დამცინავის ირონიით მაკდონალდისა და მის თანამებრძოლთა შესახებ: ისინი სასტიკად ილაშქრებდნენ ლიბერალების მთავრობის წინააღმდეგ, მაგრამ როცა სოციალიზმზე ჩამოვარდებოდა ლაპარაკი, მათი ხმა ჩურჩულად გადაიქცეოდა. ვისაც კი არჩევნების დროს სოციალისტური მქადაგებლებისათვის დაუგდია ყური, არავინ დაიჯერებს, რომ მათ როდისმე სერიოზულად ირწმუნეს მარქსიზმი, როდისმე უმღერდნენ „წითელ დროშას" ან ქადაგებდნენ კლასობრივ თვითგამორკვევას. საფრანგეთის სააგენტო „აჟანს ეკონომიკ ფინანსიერ". ასევე ამშვიდებს ბირჟის წრეებს და სწერს: სოციალიზმის ახალი ექსპერიმენტი, რომელშიაც ვარდის წყალია გარეული, არაფერს სახიფათოს არ წარმოადგენსო.

ბურჟუაზია თითქოს მთლად დამშვიდებული და დაიმედებულია. მაგრამ მაკდონალდს ეს საკმაოდ არ მიაჩნია და ყოველგვარ ღონეს ხმარობს, რომ ტომასებთან და კლაინსებთან ერთად კაბინეტში შჰყავდეს თრიოდე ლორდი მაინც, როგორც 1924 წელს შჰყავდა თავისი პრემიერობის დროს. „უკვე გამოჩნდა ერთი „მუშური ლორდი", მოსამართლე სენკი, რომელიც იმით არის ცნობილი, რომ 1919 წელს გარევოლიუციონერებული მასების ზეგავლენით შემუშავა ნახშირის მრეწველობის ნაციონალიზაციის პროექტი.

სხვებიც გამოჩნდებიან. ხელისუფლების სათავეში ჩამდგარ „მუშათა" პარტიაში გადაიბარგა ერთი უთვალსაჩინოესი ლიბერალი იურისტი ჯუიტი, რომელიც, როგორც ამბობენ, კაბინეტში თანამდებობას მიიღებს. ასე მოგროვდება მაკდონალდის კიდობანში თითოოროლა ყოველგვარი ქმნილება, გადაეშვება იგი კლასობრივი ბრძოლის მღელვარე ტალღებში და გააფრენს მტრედს, რომ გაიგოს, დამყარდა თუ არა სრული „მშვიდობიანობა მრეწველობაში".

მაგრამ ამაოა მაკდონალდის იმედები. ინგლისმა ფეხი შესდგა ისეთ ისტორიულ პერიოდში, როდესაც შედარებითი, დროებითი სოციალური მშვიდობიანობაც კი შეუძლებელია. ის ფაქტი, რომ ბურჟუაზიის ლიბერალური სექტორი, მაშინ, როცა მისი კონსერვატიული სექტორი ერთგვარ დროებით პასივობას იჩენს, ხელისუფლებას მუშათა პარტიას ანდობს, ამ უკანასკნელს კარგს არაფერს უქადის. ინგლისი მძიმე ეკონომიურ დეპრესიას განიცდის. უმუშევრობა, როგორც შხამიანი იარა, სოციალურ ორგანიზმს ღრღნის. მასების რევოლიუციონური გარდატეხის საფრთხე მეტად რეალურია. საგარეო ბაზრებზე შექმნილი მდგომარეობა, რომელიც განსაზღვრავს თვით იმპერიის საერთო მდგომარეობას, მეტის-მეტად გაძნელებულია. ბურჟუაზიის ინტერესი მოითხოვს მრეწველობის გაბედულ, ულმობელ რაციონალიზაციას კაპიტალისტური მეთოდებით და თვითღირებულების შემცირებას პროლეტარიატის ცხოვრების ნივთიერი პირობების გაუარესების გზით.

ინგლისელი მუშის ახლანდელი სულიერი განწყობილების გამო ასეთი ცვლილება უდიდეს საფრთხეს უმზადებს ბურჟუაზიას. ამიტომ მისი ნაწილი იმ აზრს დაადგა, რომ უკეთესი იქნება სადავეები დროებით მაკდონალდს გადაეცეს, უკეთესი იქნება ბურჟუაზიული საქმე გააკეთოს „მუშათა" პარტიამ, რომელიც ორგანიზაციულად უფრო ახლო დგას პროლეტარიატთან, უფრო ადვილად შეუძლია იმოქმედოს მასზე და დაათანხმოს ახალი მსხვერპლის გაღებაზე. ამ მისიას მაკდონალდები და სიტრინები სიამოვნებით კისრულობენ. ლიბერალური ბურჟუაზია ამასთანავე ფიქრობს, როცა მავრი თავის საქმეს გააკეთებს, მას შეიძლება უკან წაბრძანება შესთავაზონ. საკმარისია, რომ მძიმე გარდამავალ პერიოდში მუშათა პარტიას სახელი გაუტყდეს მუშების თვალში. მხოლოდ და მხოლოდ ასეთია მაკდონალდის მეორე მთავრობის შექმნის ობიექტიური ისტორიული აზრი.

მაგრამ ბურჟუაზიას მოვლენათა მომავალი განვითარება მეტის-მეტად ოპტიმისტურად წარმოუდგენია. მართალია, ინგლისის მუშათა კლასის ილიუზიები მაკდონალდის მიმართ ძლიერია, მართალია, „მუშათა" მთავრობას შეუძლია მშრომელთა თვალსაჩინო ნაწილის მოტყუება, მაგრამ „მუშათა" პარტიის ხმების სისტემატიური ზრდა (1918 წლის არჩევნების დროს მიიღო 2,2 მილიონი ხმა, 1923 — 4,3 მილიონი, 1924 წელს — 5 ნახევარი მილიონი, წელს — 8,4 მილიონი), დაე, თუნდაც, როგორც მრუდე სარკე, მაინც გვიჩვენებს ინგლისის მუშათა კლასის აქტივობისა და შეგნების ზრდას.

მრავალი მილიონი მუშა, რომლებიც დიდხანს იყვნენ ინგლისის ბურჟუაზიის ურეაქციონერესი პარტიის — კონსერვატორების ტყვეობაში, ამ ტყვეობიდან თავს ინთავისუფლებს. ამ ფაქტს უდიდესი პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს. ეს მილიონები უცებ ვერ მიაგნებენ ახალს სწორ გზას. ისინი დახმარებას მოელიან „მუშათა" პარტიისაგან, რომელიც მათ იზიდავს პროფკავშირებთან, მუშათა სხვადასხვა ორგანიზაციებთან დამყარებული ძველი კავშირით და აგრეთვე მით, რომ ჰპირდება მუშებს მდგომარეობის გაუმჯობესებას, მშვიდობიანად, უმტკივნეულოდ გადაყვანას კაპიტალიზმის წყეული სამყაროდან სოციალიზმის სამყაროში.

და მოსალოდნელია, რომ ისე, როგორც 1924 წელს, ცრუ-მუშური მთავრობის ჩადგომა ხელისუფლების სათავეში გამოიწვევს მუშათა კლასის ერთგვარ აქტიობას, ამოძრავებას. ილიუზია — „ხელისუფლების გრძნობა" აამოძრავებს მუშათა მასებს, გააძლიერებს მათ რწმენას საკუთარი თავისადმი და განამტკიცებს მათ ბრძოლის უნარიანობას. ილიუზია ამგვარად შეიძლება გადაიქცეს უაღრესად რეალურ მოვლენად. ბურჟუაზიის მოქმედებას მუშათა კლასი უპასუხებს საწინააღმდეგო მოქმედებით. საგაფიცვო მოძრაობა შეიძლება გაძლიერდეს, კლასობრივი წინააღმდეგობანი გამწვავდებიან. და რაც უფრო გამწვავდება ეს წინააღმდეგობა, მით უფრო სწრაფად მოხდება თვითმხილება მაკდონალდის მთავრობისა, როგორც ბურჟუაზიის აგენტურის, რომელიც სცდილობს პროლეტარიატი დაუმორჩილოს რაციონალიზატორული ექსპლოატაციის რეჟიმს მის უცუდეს კაპიტალისტურ ფორმებში.

რასაკვირველია, ამას არ უნდა ველოდეთ უცებ, როგორც კი ხელისუფლებას სათავეში ჩაუდგება მაკდონალდი. პირველ ხანებში იგი შესძლებს მოისყიდოს მუშები წვრილი რეფორმებით, რომლებიც არაფერს ავნებენ არა თუ ბურჟუაზიულ წყობილებას, არამედ ბურჟუაზიულ ბიუჯეტსაც: გააუქმებს ბოლდუინის მიერ შემოღებულ შეზღუდვას უმუშევართათვის დახმარების აღმოჩენის საქმეში, გააფართოებს საზოგადო სამუშაოებს და სხ. ამასთან ერთად, იგი, ალბად, განაახლებს ურთიერთობას საბჭოთა კავშირთან, რასაც ადრე თუ გვიან ჩაიდენდა ინგლისის წმინდა ბურჟუაზიული მთავრობაც.

მაგრამ თუ მაკდონალდის ახალი კაბინეტი გასძლებს უფრო დიდხანს, ვიდრე 1924 წელს, — ეს კი სავსებით მოსალოდნელია, რადგან ბურჟუაზიამ მას დააკისრა დიდი ამოცანა,— მაშინ მუშათა მოძრაობის შემდგომი ზრდის გამო კლასობრივ წინააღმდეგობათა გამწვავება მაკდონალდის რეჟიმისადმი იმედების გაცრუებას გამოიწვევს მუშათა კლასის სულ უფრო და უფრო ფართო ფენებში. ყოველ შემთხვევაში, ინგლისის პროლეტარიატი მაკდონალდის ხელისუფლების მეორე კურსის გავლის შემდეგ უფრო შეგნებული გახდება, ვიდრე მოკლევადიანი კურსის შესწავლის შემდეგ.

„პრავდა", 7 ივნისი.

ბურჟუაზიული პრესის მუქარა მაკდონალდის მიმართ

კაპიტალისტები ზომიერებისაკენ მოუწოდებენ მუშათა პარტიის მთავრობას

„მაღაროებში შვიდი საათის სამუშაო დღის აღდგენის ყოველი ცდა კატასტროფას გამოიწვევს"

ფინ-იუი-სიანის და ენ-სი-შანის საიდუმლო ხელშეკრულება ნანკინის წინააღმდეგ

მაკდონალდი—პრემიერი

ბეჭდებისა და თანამდებობების ჩაბარება მეფისათვის

ლონდონი, 6 ივნისი. რეიტერის სააგენტო იუწყება:

„ბოლდუინმა თავის სახაზინო ბინაზე სათათბიროდ მოიწვია მაკდონალდი, სნოუდენი და ტომასი.

ბოლდუინის კაბინეტის მინისტრები 7 ივნისს გაემგზავრებიან ვინძორის სასახლეში ბეჭდებისა და თავიანთი თანამდებობების ჩასაბარებლად მეფისათვის.

ახალი კაბინეტის პირველი სხდომა, ალბად, ორშაბათს მოხდება. (ადს).

ბურჟუაზიული პრესის მუქარა

ლონდონი, 6 ივნისი. ინგლისის ბურჟუაზიული პრესა აცხადებს, რომ მუშათა პარტიის „პატიოსნად ეძლევა საშუალება" გამოიჩინოს თავისი საქმიანობა. მაგრამ გაზეთების მოწინავე წერილებში აშკარად მოისმის გაფრთხილება მაკდონალდის მიმართ. მას ურჩევენ — „ნელა იმოძრაოს და უდიდესი ზომიერებით იმოქმედოს".

ხოლო როდესაც ბურჟუაზიული გაზეთები ეხებიან სამთა-მადნო მრეწველობის მდგომარეობის საკითხს, ისინი თითქმის პირდაპირ მუქარაზე გადადიან და აცხადებენ რომ „მიწის ქვეშ შვიდი საათის სამუშაო დღის აღდგენის ყოველი ცდა კატასტროფას გამოიწვევს" (ადს).

დამშვიდდნენ

რომი, 6 ივნისი. ფაშისტური პრესა, რომელსაც ინგლისის მუშათა პარტიის გამარჯვების პირველი ცნობების შემდეგ მღელვარება ეტყობოდა, დამშვიდდა, რადგან დარწმუნებულია, რომ „მუშათა პარტია რევოლიუციას არ მოახდენს, ხოლო ინგლისის საგარეო პოლიტიკის შეცვლა უფრო საფრანგეთს უნდა აშინებდეს, ვიდრე იტალიას".

ინგლის-საბჭოთა ურთიერთობის შესახებ გაზეთი „კორიერა დელა სერა" სწერს:

„ინგლის-საბჭოთა ურთიერთობის განახლება არავის ავნებს. საბჭოთა კავშირი მეტად მნიშვნელოვან რეალურ ძალას წარმოადგენს და ამიტომ მისი უყურადღებოდ დატოვება შეუძლებელია". (ადს).

ეკონომიური კრიზისი ბესარაბიაში

ვენა, 6 ივნისი. ბესარაბიაში მძიმე ეკონომიური კრიზისი გავლენას ახდენს ღვინისა და ხილის ვაჭრობაზე, რაც ბესარაბიის სიმდიდრის მთავარ წყაროს წარმოადგენს. ომამდე ბესარაბიაში მზადდებოდა 800 მილიონი ლეის ღვინო და ხილი. მას შემდეგ, რაც ბესარაბია ძალდატანებით ჩამოაშორეს საბჭოთა კავშირს, წარმოების ამ დარგმა დაჰკარგა ბუნებრივი ბაზარი.

ბესარაბიის ეკონომიურ წრეებში განმტკიცებულია ის აზრი, რომ ბესარაბია მხოლოდ საბჭოთა კავშირთან სავაჭრო ურთიერთობის აღდგენით დააღწევს თავს კრიზისს.

ბესარაბიის ვაჭრების უკანასკნელ გამოსვლას საბჭოთა კავშირთან ურთიერთობის აღდგენის სასარგებლოდ აიხსნება ბესარაბიის უიმედო ეკონომიური მდგომარეობით.

გერმანიის მთავრობა უმუშევართა დაზღვევის წინააღმდეგ

ბერლინი, 6 ივნისი. სახალხო მეურნეობის მინისტრმა, გერმანიის სახალხო პარტიის წევრმა კურციუსმა რეიხსტაგში განაცხადა, რომ სარეპარაციო კონფერენციის დამთავრების შემდეგ გერმანიის მთავრობა რეიხსტაგში შეიტანს რეფორმების ვრცელი პროგრამის პროექტს გერმანიის მეურნეობის მდგომარეობის შემსუბუქების მიზნით.

„უმუშევართა სოციალური დაზღვევის გამო, — განაცხადა მინისტრმა,— ყველა დარგში შერყეულია შრომის მორალის საფუძვლები. ამიტომ უმუშევრობის სოციალური დაზღვევა საფუძვლიანად უნდა გადაისინჯოს. საქმე უნდა დაიწყოს არა დაზღვევის გამოსაღების გადიდებით, არამედ დაზღვეულთა რიცხვის შემცირებით".

მინისტრის, სახალხო პარტიის წევრის აშკარა განცხადებამ, რომ კოალიციონურ მთავრობას განზრახული აქვს გააუარესოს მუშების სოციალურ - პოლიტიკური მდგომარეობა, დიდი დაბნეულობა გამოიწვია სოციალურ - დემოკრატების რიგებში, რადგან ამას წინად დამთავრებულ მაგდებურგის ყრილობაზე სოციალ - დემოკრატიული პარტიის ბელადები თვალთმაქციურ რადიკალურ სიტყვებს წარმოსთქვამდნენ და აცხადებდნენ, რომ მათ ფიქრიც კი შეუძლებლად მიაჩნიათ უმუშევართა სოციალური დაზღვევის რაიმე გაუარესებაზე (ადს).

ფინ-იუი-სიანის მანევრები

შანხაი, 6 ივნისი. საერთო აზრით, ფინ-იუი-სიანის განცხადებას იმის შესახებ, რომ მას გადაწყვეტილი აქვს გადადგეს და საზღვარგარეთ წავიდეს, აგრეთვე ფინ-იუი-სიანის გენერლების დეკლარაციას მასთან კავშირის გაწყვეტის შესახებ, ტაქტიკურ მანევრად სთვლიან. ფინ იუი-სიანმა მოიგო დრო, გაამაგრა თავისი სტრატეგიული პუნქტები და დაამთავრა მზადება ბრძოლისთვის.

როგორც ტოხოს სააგენტო აღნიშნავს, მართალი არ გამოდგა ის ხმა, ვითომ ხან ფუ-ჩუმ კავშირი გასწყვიტა ფინ იუი-სიანთან. პირიქით, ფინ იუი-სიანსა და ენ სი-შანს დაუდვიათ საიდუმლო შეტევითი და თავდაცვითი კავშირი. სწორედ ამან აიძულა ჩან-კაი-ში — გაეცა ბრძანება ხენანზე შეტევის შესახებ (ადს).

შეტაკება პოლონეთ-ლიტვის საზღვარზე

კოვნო, 6 ივნისი. როგორც ოფიციოზი „ლეტუვოს აიდას"-ი იუწყება, 5 ივნისს, სალამოთი რევოლვერებით და გრანატებით შეიარაღებულ პირთა ჯგუფი პოლონეთიდან ლიტვაში გადავიდა. საზღვრიდან 200 მეტრის დაშორებით ჯგუფმა სროლა აუტეხა ლიტველ პოლიციელებს და გადააგდო გრანატა, რომელიც არ გასკდა. როდესაც შეტაკების ადგილას პოლიციის ახალი ძალები გამოცხადდნენ და საპასუხო სროლა ასტეხეს, უცნობნი სასწრაფოდ მიიმალნენ. მახლობელ ტყეში იპოვნეს ორი ჯოჯოხეთის მანქანა. ფიქრობენ, რომ ჯგუფი ტერორისტებისაგან შესდგებოდა. მათ, ალბად, სურდათ ლიტვაში შესვლა და ტერორისტული აქტების ჩადენა (ადს).

შვეიცარია შეუერთდა კელოგის პაქტს

ბერლინი, 6 ივნისი. შვეიცარიის პარლამენტმა დადგინა — შეუერთდეს კელოგის პაქტს.

კომუნისტი დეპუტატი ველტი კამათის დროს მკაცრად ილაშქრებდა ერთა ლიგის იმპერიალისტური პოლიტიკის წინააღმდეგ და ააშკარავებდა სამხედრო მზადებას საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. (ადს)

პილსუდსკი ჩეხოვიჩის საქმის შესახებ

ვარშავა, 6 ივნისი. დამთავრდა გამოძიება ყოფილი ფინანსთა მინისტრის ჩეხოვიჩის საქმის გამო. როგორც ვიცით, ჩეხოვიჩი უზენაესი ტრიბუნალის პასუხისგებაშია მიცემული 560 მილიონი ზლოტის ზედმეტად დახარჯვის გამო. ეს ხარჯი მან გასწია სეიმის დასტურის გარეშე.

პილსუდსკიმ, რომელმაც უარი სთქვა მოწმედ გამოსულიყო ამ საქმეში, უზენაეს სასამართლოს მიმართა წერილით, რომელშიაც აცხადებს, რომ მას პირველი სეიმი მიაჩნდა „სავსებით გახრწნილად, არ სთვლიდა მას იმის ღირსად, რომ გადაეჭრა მნიშვნელოვანი სახელმწიფო საკითხები, ამიტომ არ წარუდგინა მას დასამტკიცებლად ზედმეტი დანახარჯი".

პილსუდსკი დასძენს, რომ ახალი სეიმი „არა ნაკლებ ნაძაგელია, ვიდრე ძველი სეიმი იყოო". პილსუდსკიმ აუკრძალა ბარტელს და ჩეხოვიჩს—დასამტკიცებლად წარედგინათ სეიმისათვის ზედმეტი დანახარჯი. პილსუდსკი აღიარებს, რომ ყურადღებას არ აქცევდა მითითებებს კანონის დარღვევის შესახებ. იმ 8 მილიონი ზლოტიდან, რაც, როგორც ეჭვი აქვთ, მთავრობამ არჩევნებზე დახარჯა, 5 მილიონი ჩეხოვიჩმა პილსუდსკის განკარგულებით დახარჯა (ადს).

რეპრესიები ფოსტალიონების წინააღმდეგ

პარიზი, 6 ივნისი პარიზის ფოსტალიონების 24 საათის დემონსტრატიული გაფიცვის საპასუხოდ, მთავრობამ დაადგინა— დაითხოვოს და 8 თვით მოხსნას სამსახურიდან (ჯამაგირის შეუნახავად) „უნიტარული პროფკავშირების მიერ მოწყობილი გაფიცვების მეთაურები".

„ლიუმანიტე"-ს ცნობით, 12 ფოსტალიონს სულ დაითხოვენ, ხოლო 30 ფოსტალიონი მოხსნილი იქნება სამსახურიდან სამი თვით. სახელმწიფო მოსამსახურეთა სხვა უნიტარული პროფკავშირები მოუწოდებენ თავიანთ წევრებს ფოსტალიონებთან სოლიდარობისაკენ და წინადადებას აძლევენ მათ — შეჰკრიბონ შემოწირულებანი დათხოვნილი და სამუშაოდან დროებით მოხსნილი ამხანაგების სასარგებლოდ (ადს).

გერმანელ და ავსტრიელ ფაშისტების გაერთიანება

ვენა, 6 ივნისი. 3 ივნისს ზაალფელდენში, ინსბრუკის მახლობლად მოხდება გერმანის ფაშისტთა („ფოლადის მუზარადის") და ავსტრიის ფაშისტთა (ხეიმვერების) წარმომადგენლების შეხვედრა იმ საკითხის განსახილველად, რომ ავსტრიაში გაიხსნას „ფოლადის მუზარადი"-ს განყოფილება.

თათბირი განიხილავს ორივე ფაშისტური ორგანიზაციის მთლიან კავშირად—„ფოლადის კავშირად"—გაერთიანების საკითხს. გაერთიანებას აჩქარებენ გერმანელი მრეწველები. დამტკიცებულია, რომ გერმანიის შაქრის მრეწველობის კონცერნის „როხლიც გალეშ"-ის ხელმძღვანელმა ვენცელ შეიტშენტალმა განაცხადა, რომ, თუ ამ ორგანიზაციების გაერთიანება მოხდება, იგი „ფოლადის მუზარადს" 2 მილიონ მარკას მისცემს. (ადს).

გემოკვების მუშაკთა ინტერნაციონალის აღმასკომის სესია

სტოკჰოლმი, 6 ივნისი. სტოკჰოლმში გაიხსნა გემო-კვების მუშაკთა ინტერნაციონალის აღმასკომის სესია. სესიაში მონაწილეობას იღებენ საბჭოთა კავშირის გემო-კვების მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირის ცეკას წარმომადგენლები ვეინბერგი და სდობნიკოვი.

საბჭოთა დელეგაციის წინადადებით, სესიის დღის წესრიგში შეტანილ იქნა ომის საფრთხისა და ფაშიზმთან ბრძოლის საკითხები. ამ საკითხების შესახებ მოხსენებების გაკეთება დაევალა საბჭოთა დელეგატებს. უარყოფილ იქნა საბჭოთა დელეგაციის წინადადება იმის შესახებ, რომ განეხილათ საკითხი გემო-კვების ინტერნაციონალში საფრანგეთის, იტალიის, საბერძნეთის, რუმინეთისა და სამხრეთ-სლავიის გემო-კვების მუშაკთა უნიტარული პროფკავშირების მიღების შესახებ. (ადს).

გაფიცვები შეერთებულ შტატებში

ბეწვეულის დამმუშავებელი მრეწველობის მუშათა გაფიცვა

ნიუ-იორკი, 6 ივნისი. შესდგა ბეწვეულის დამმუშავებელი მრეწველობის მუშათა დიდი მიტინგი. მიტინგმა მიიღო რეზოლიუცია, რომელიც გაფიცვისაკენ მოუწოდებს 14.000 მუშას. მუშები მოითხოვენ 40 საათის სამუშაო კვირას, უმუშევრობისაგან დაზღვევას, ხელფასის მინიმუმის აღდგენას და სხვ.

ფეიქართა გაფიცვა

ნიუ-იორკი, 6 ივნისი. ფეიქართა ნაციონალურმა კავშირმა გაფიცვისაკენ მოუწოდა ელიზაბეტონში ამ ცოტა ხნის წინად ამერიკის ელიზაბეტონის (ტუნისის შტატი) ფეიქრებს, შრომის ფედერაციამ ჩაშალა 5.000-ზე მეტი მუშის გაფიცვა.

კავშირი მოითხოვს ხელფასის გადიდებას 50 პროცენტით, რვა საათის სამუშაო დღის შემოღებას და კავშირის ცნობას. (ადს).

დელეგაციის დაპატიმრება

ბუენოს-აირესი, 6 ივნისი. ჩამოვიდა ლათინური ამერიკის პროფკავშირთა დელეგაცია. დელეგაცია გამოჰყო ლათინური ამერიკის პროფკავშირთა კონგრესმა (მონტევიდეოში), არგენტინის რკინის გზელთა რეფორმისტული პროფკავშირების ყრილობაზე დასასწრებლად.

ყრილობის პრეზიდიუმის მოთხოვნით, პოლიციამ დელეგაცია სხდომის დარბაზიდან გაიყვანა და დააპატიმრა. (ადს).

სად არის ამხ. პაშინი

რიგა, 6 ივნისი. მიღებული ცნობების თანახმად, პოლონელი კომუნისტი პაშინი, რომელიც ლატვიის ხელისუფლებამ პოლონეთს გადასცა, ამჟამად ზის ვარშავის საპყრობილეში, „პავიაკ"-ში, სისხლის სამართლის დამნაშავეთა განყოფილებაში. (ადს)

მასწავლებელთა პროტესტი

პარიზი, 6 ივნისი. საფრანგეთის მასწავლებელთა პროფკავშირმა წინადადება მისცა თავის წევრებს—სამუშაო ხელფასის ახალი განაკვეთის წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად არ მიიღონ მონაწილეობა პედაგოგიური საბჭოების, გამომცდელი კომისიების და სხვ. სხდომებში. მასწავლებლებმა უარი სთქვეს გამოსაშვებ გამოცდებში მონაწილეობაზე, რის გამოც სენ-ეტიენის ოლქის ბევრ სკოლაში გამოცდა არ მოხდა. (ადს).

საბჭოთა კავშირის და ნორვეგიის მემაღაროეთა ხელშეკრულება

ურთიერთთან თანამშრომლობისა და მთლიანობის კომიტეტის შექმნის შესახებ

მოსკოვი, 7 ივნისი. იანვარში ოსლოში (ნორვეგია) საბჭოთა კავშირის მემაღაროეთა ც. კ.-ის და ნორვეგიის შავ მუშათა კავშირის (ამ კავშირში ნორვეგიის მემაღაროენიც შედიან) გამგეობის წარმომადგენლებმა დასდეს ხელშეკრულება ურთიერთთან თანამშრომლობისა და მთლიანობის კომიტეტის შექმნის შესახებ.

ნორვეგიის მემაღაროეთა შორის ჩატარებული რეფერენდუმის მიხედვით, კავშირის ყველა წევრი დადებითად აფასებს ხელშეკრულებას. ნორვეგიის შავ მუშათა კავშირის გამგეობამ დაამტკიცა ხელშეკრულება ურთიერთთან მეგობრული კავშირის განსამტკიცებლად და გადასწყვიტა — გაგზავნოს მოსკოვში სპეციალური დელეგაცია. ნორვეგიის მემაღაროეთა დელეგაცია ამ დღეებში ჩამოვა. (ადს).

უკრაინელ თეთრგვარდიელების ყრილობა

ვარშავა, 6 ივნისი. 23 ივნისს კალიშში შესდგება პეტლიურას მიმდევარ ყოფილ ჯარისკაცთა და ოფიცერთა სრულიად პოლონეთის ყრილობა. ივლისის დასაწყისში პარიზში შესდგება პეტლიურას მიმდევართა სამხედრო ორგანიზაციების ყრილობა. (ადს)

ჭადრაკის მაესტროს რეტის გარდაცვალება

პრაღა, 6 ივნისი. პრაღაში ქუნთრუშასაგან გარდაიცვალა ჩეხო - სლოვაკიის ცნობილი მოჭადრაკე მაესტრო რეტი, რომელსაც არაერთხელ გაუმარჯვნია საერთაშორისო ტურნირებში. 1924 წელს ნიუ-იორკში მან დაამარცხა მსოფლიო ჩემპიონი კაპაბლანკა. რეტი 40 წლისა იყო. მას თვალსაჩინო ნაშრომები აქვს საჭადრაკო ლიტერატურაში.

ნავთის მრეწველობის ამოცანები

მოსკოვი, 7 ივნისი. მრეწველობისა და ვაჭრობის ყრილობათა საბჭოში მოსმენილ იქნა ამხ. ჩუბაროვის და კორობოვკინის მოხსენებანი ნავთის მრეწველობის ამოცანების შესახებ.

აზრთა გაცვლა - გამოცვლის შემდეგ, ყრილობათა საბჭომ მიიღო რეზოლიუცია, რომელშიაც საბჭო აღნიშნავს, რომ ნავთის მრეწველობას აუცილებლად უნდა მივაწოდოთ თანამედროვე საბურღავი დაზგები. ტრესტებში ბურღვის საქმე გამოყოფილ უნდა იქნას დამოუკიდებელ დარგად. ფართოდ უნდა გამოვიყენოთ უცხოეთის ტეხნიკური დახმარება. ყრილობათა საბჭო შემდეგ აღნიშნავს, რომ საწარმოო რისკს, რამაც ასეთი როლი ითამაშა ურალის ნავთის აღმოჩენაში, მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს საბჭოთა ნავთის მრეწველობისათვის.

სავსებით არადამაკმაყოფილებლად არის დაყენებული მოწყობილობის მიწოდება ნავთის მრეწველობისათვის. საჭიროა არსებული ქარხნები შევუგუოთ ნავთის მრეწველობის შეკვეთების დაკმაყოფილებას, უზრუნველვყოთ შეკვეთების თავის დროზე შესრულება და მოვაწყოთ სპეციალური ქარხნები ნავთის მრეწველობისათვის საჭირო მოწყობილობებისა და იარაღის დასამზადებლად. ამასთან ერთად უნდა გაფართოვდეს საზღვარგარეთის მანქანების ტიპების შესწავლა და ფართოდ იქნას გამოყენებული უცხოეთის დახმარება საბჭოთა მანქანათმშენებლობაში. (ადს).

ამხ. ტოლოკონცევი და ოსინსკი ფორდთან დადებულ ხელშეკრულების შესახებ

მოსკოვი, 7 ივნისი. ფორდთან დადებულ ხელშეკრულების გამო, საბჭოთა კავშირის ს.მ.უ. საბჭოს პრეზიდიუმის წევრმა ამხ. ტოლოკონცევმა გაზეთების თანამშრომლებთან საუბრის დროს განაცხადა, რომ ფორდთან დადებული ხელშეკრულების მიხედვით ჩვენმა ტეხნიკოსებმა უნდა მიიღონ ტეხნიკური დახმარება ფორდის გამოცდილების შესათვისებლად და ჩვენს ავტომშენებლობაში გადმოსატანად. ის შესაძლებლობა, რაც ხელშეკრულების მეოხებით გვეძლევა, სავსებით უნდა გამოვიყენოთ ნიჟნი-ნოვგოროდის ქარხნის მშენებლობის დასაჩქარებლად და ასამუშავებლად. ეს ამოცანა უნდა შეასრულონ ჩვენი მრეწველობის მუშაკებმა, რომელნიც მონაწილეობას იღებენ ამ ქარხნის პროექტის შედგენაში.

სახელმწიფო საგეგმო კომისიის პრეზიდიუმის წევრმა ამხ. ოსინსკიმ აღნიშნა, რომ ფორდთან დადებული ხელშეკრულების შინაარსი მჭიდროდ არის დაკავშირებული ნიჟნი-ნოვგოროდის საავტომობილო ქარხნის გაშლა - განვითარების დასახულ პროგრამასთან. ქარხანამ 1930-31 წელს უნდა მოგვცეს 24.000 მანქანა, 1932-33 წელს — 48.000 და 1933-34 წელს — 100.000.

ამ პროგრამის მიხედვით, ჩვენ მივიღებთ ფორდისაგან მანქანების ნაწილებისა და დეტალების შემდეგ რაოდენობას: პირველ ორ წელს ის მოგვცემს ნაწილების მთელ კომპლექტს, მესამე წელს — პირველ წელს მოცემული რაოდენობის 50 პროცენტს, მეოთხე წელს — 25 პროცენტს, ხოლო შემდგომი ხუთწლედის დასაწყისიდან მანქანები მთლიანად აიწყობა საბჭოთა კავშირში დამზადებული ნაწილებიდან.

ეს ხელშეკრულება ერთ-ერთი უდიდესი ხელშეკრულებაა, რომელიც კი ჩვენ ამერიკაში დავდევით. ფორდთან დადებული ხელშეკრულება მოწმობს იმას, რომ უდიდესი საავტომობილო ფირმა მოდის სამუშაოდ საბჭოთა კავშირში. ის საავტომობილო ქარხანა, რომელიც საბჭოთა კავშირში შენდება, სიმძლავრით იქნება მეორე ან მესამე ევროპაში (პირველი იქნება ქარხანა „ორდა", რომელიც ინგლისში შენდება, ხოლო ჩვენთვის კონკურენციის გაწევას მხოლოდ „სიტროენი"-ს ქარხანა შესძლებს). იმ მანქანების ტიპი, რომელსაც ჩვენ გამოვუშვებთ, მიღებულია მთელ მსოფლიოს ქვეყნების მიერ და მას უეჭველად პირველი ადგილი უჭირავს მსუბუქ მანქანებს შორის.

ხელშეკრულების დადება ეხლა სავსებით რეალურად ხდის იმას, რომ ახლო მომავალში ჩვენს ქვეყანაში ამუშავდება 6.000 ფორდის ახალი ტიპის მანქანა. „ამო"-ს პროდუქციასა და „ნამი"-ს გამოშვებასთან ერთად, მომავალ წელს ჩვენ გვექნება საკუთარი წარმოების მანქანები. სავსებით აშკარაა, რომ ჩვენ ვდგევართ დიდი გარდატეხის წინაშე ადგილობრივი ტრანსპორტის დარგში. (ადს).

მუშაობის დაწყება ტყვარჩელის ქვანახშირის რაიონში

მოსკოვი, 7 ივნისი. 6 ივნისს დაბრუნდა საბჭოთა კავშირის ს.მ.უ. საბჭოს კომისია, რომელიც იკვლევდა ტყვარჩელის ქვანახშირის საბადოს. კომისიამ გამოარკვია, რომ საბადოს მეორე და მესამე მოედნებზე ქვანახშირის მარაგი იმდენია, რომ საშუალებას იძლევა მოეწყოს ისეთი სამადნე, რომელიც 30—35 წლის განმავლობაში ყოველწლიურად მოგვცემს 1 მილიონ ტონას. ძირითად სამადნეს გარდა, გადასწყდა ცენტრში მოეწყოს დროებითი მაღარო.

მიღებული ქვანახშირი გამოიცდება დონბასის ქარხნებში, იმის გამოსარკვევად გამოდგება თუ არა ეს ნახშირი კოქსის მისაღებად. განზრახულია აგრეთვე ტყვარჩელის ნახშირში დონბასის მდარე ნახშირის შერევა იმის გამოსარკვევად, თუ რამდენად შესაძლებელია მაღალი ხარისხის სამეტალურგო კოქსის მიღება.

ასეთი ცდები უკვე მოახდინა პროფესორმა რუბინმა. ცდებს სავსებით დადებითი შედეგი მოჰყვა. გამოირკვა, რომ ტყვარჩელის ნახშირი კარგ კოქსს იძლევა. ს.მ.უ. საბჭომ გადასწყვიტა — მოახდინოს ტყვარჩელის ნახშირის გამოცდა, რათა შეამოწმოს პროფ. რუბინის ცდები და ამით ბოლო მოუღოს ზოგიერთის მიერ გამოთქმულ ეჭვს, თითქოს ტყვარჩელის ნახშირი უვარგისი იყოს კოქსის მისაღებად.

ს.მ.უ. საბჭო დარწმუნებულია, რომ პროფ. რუბინის ცდები სავსებით დადასტურდება. ამიტომ ტყვარჩელის ორგბიუროს წინადადება მიეცა — დაუყოვნებლივ შეუდგეს ცენტრალური საექსპლოატაციო მაღაროს მოწყობას და მიმდინარე წელსვე დაიწყოს მაღაროს გათხრა.

კომისიის აზრით, ტყვარჩელის საბადოს დიდი პერსპექტივები აქვს. ორი დასახელებული მოედნის გარდა, არის სხვა მოედნებიც, რომელნიც უთუოდ ადიდებენ ტყვარჩელის საბადოს მნიშვნელობას.

პირველი ორი მოედნის დაახლოვებითი მარაგი 47 მილიონ ტონაზე მეტს უდრის; ხოლო საბადოს საერთო გეოლოგიური მარაგი დაახლოვებით შეადგენს 1 ნახევარ მილიარდ ტონას. ფიქრობენ, რომ შეიძლება ეს მარაგი 4 ნახევარ მილიარდ ტონამდე ავიდეს. არის საფუძველი ვიფიქროთ, რომ არსებობს კავშირი ტყვარჩელის და ტყიბულის ქვანახშირის საბადოებს შორის.

დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ ორივე საბადო მთლიანად უზრუნველჰყოფს ტეხნიკური სათბობით ქერჩის მეტალურგიულ ქარხანას (დონეცის მდარე ნახშირის შერევის პირობით). თუ ქერჩის ქარხანა დონეცის ნახშირით იმუშავებს, ტყვარჩელის ნახშირი შეიძლება დიდი რაოდენობით გატანილ იქნას უცხოეთში.

ამიტომ ს.მ.უ. საბჭოს საჭიროდ მიაჩნია მაქსიმალურად დააჩქაროს ტყვარჩელის ქვანახშირის საბადოს განვითარება (ადს).

ამხ. რიკოვის მორიგი შვებულება

მოსკოვი, 7 ივნისი. საბჭოთა კავშირის სახკომსაბჭოსა და შრომისა და თავდაცვის საბჭოს თავმჯდომარე ამხ. რიკოვი, ექიმების რჩევის თანახმად, მორიგ შვებულებაში წავიდა. ამხ. რიკოვის შვებულებაში ყოფნის დროს საბჭოთა კავშირის სახკომსაბჭოს და შრომისა და თავდაცვის საბჭოს თავმჯდომარის მოვალეობას შეასრულებენ მისი მოადგილენი ამხ. რუძუტაკი და შმიდტი (ადს).

საბჭოთა მეურნეობების განვითარების გეგმა

მოსკოვი, 7 ივნისი. საკავშირო სახელმწიფო საგეგმო კომისიამ შრომისა და თავდაცვის საბჭოს წარუდგინა თავისი მოსაზრებანი „გოსსელსინდიკატ"-ის, „სახაროტრესტ"-ის, „უკროსელხოზ"-ის, „ზელსელტრესტი"-ს და სააქციო საზოგადოების „ოვცევოდ"-ის საბჭოთა მეურნეობების განვითარების გეგმა 1929—30 წლისათვის. ამ საბჭოთა მეურნეობების მიწის საერთო სივრცე შეიძლება აყვანილ იქნას 7.450.000 ჰექტარამდე. სათესი სივრცე გადიდებული იქნება 1.980.000 ჰექტარამდე, ესე იგი 1929 წელთან შედარებით, გაიზრდება 45,5 პროცენტით.

თავისი საწარმოო პროგრამის შესასრულებლად საბჭოთა მეურნეობების ტრესტს სჭირდება 161 მილ. მანეთი, აქედან — 17.600.000 მან. 1929—30 წლის შემოდგომის თესვის კამპანიისათვის (ადს).

პურის დამზადება წარმატებით მიმდინარეობს

არტემოვსკი, 7 ივნისი. პურის დამზადებაში დიდ გარდატეხას აქვს ადგილი. ივნისის 1-ლი ხუთდღეულის განმავლობაში დამზადდა 1.745 ტონა პურის მარცვლეული მაშინ, როდესაც მთელი მაისის განმავლობაში დამზადდა მხოლოდ 1.300 ტონა (ადს).

მოსავალს კარგი პირი უჩანს

პოლტავა, 7 ივნისი. ოლქში გაზაფხულის პურეულს კარგი პირი უჩანს. უკანასკნელ დღეებში სწვიმდა, რის შემდეგაც თბილი ამინდი დაიჭირა (ადს).

არტემოვსკი, 7 ივნისი. მოსავლისთვის ხელსაყრელი პირობებია. დროგამოშვებით სწვიმს (ადს).

კიევი, 7 აპრილი. გაზაფხულის თესვა მალე დამთავრდება. პურის მოსავალს 3,2 ბალით აფასებენ, ჭვავის—3,3 ბალით (ადს).

კამენეცი, 7 ივნისი. შემოდგომის ნათესს 3,3 ბალით აფასებენ. გაზაფხულის ნაადრევი ნათესის ჯეჯილი დამაკმაყოფილებელია. (ადს).

განუწყვეტელი სამუშაო კვირა

ლენინგრადი, 7 ივნისი. ლენინგრადში სწარმოებს მზადება განუწყვეტელი სამუშაო კვირის საკითხის პრაქტიკულად გადაწყვეტისათვის. განუწყვეტელი მუშაობა პირველ რიგში განხორციელდება წარმოების სეზონურ დარგებში.

სახალხო მეურნეობის საოლქო საბჭო ამ დღეებში გამოსცემს ბრძანებას იმის შესახებ, რომ განუწყვეტელი სამუშაო კვირა შემოღებულ იქნას საამშენებლო მასალის და ტორფის მრეწველობაში.

სინიავის ტორფის რაიონში უკვე შემოიღეს განუწყვეტელი სამუშაო კვირა. განუწყვეტელი მუშაობის შემოღება მრეწველობის სხვა დარგებში რამდენადმე რთულია, რადგან იგი დაკავშირებულია ნედლეულის დამატებით მიღებასთან (ადს).

სოციალური დაზღვევის მორიგი საკითხები

მოსკოვი, 7 ივნისი. საბჭოთა კავშირის შრომის სახალხო კომისარიატის კოლეგიის სხდომაზე, ამხ. უგლანოვის თავმჯდომარეობით, მოსმენილ იქნა სოცდაზღვევის ცენტრალურ სამმართველოს უფროსის ამხ. კოტოვის მოხსენება სოციალური დაზღვევის მორიგი ამოცანების შესახებ.

შრომის სახალხო კომისარიატის კოლეგიამ სცნო, რომ ბიუჯეტი ძალზე დატვირთულია. საბჭოთა კავშირის შრომის სახალხო კომისარიატის კოლეგიამ საჭიროდ სცნო — აღძრას საკავშირო მთავრობის წინაშე საკითხი დაზღვევის ტარიფის გადიდების შესახებ და დაავალოს სოცდაზღვევის ცენტრალურ სამმართველოს, საკავშირო ცენტრალურ პროფსაბჭოსთან ერთად, დასახოს პრაქტიკული ღონისძიებანი პროლეტარიატის ძირითადი ინდუსტრიალური კადრების მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად და დაამუშაოს საკითხი უმუშევართათვის დაწესებული დახმარების დიფერენციაციის შესახებ.

სოცდაზღვევის ცენტრალურ სამმართველოს სანატორიუმები და დასასვენებელი სახლები უნდა მუშაობდნენ მთელი წლის განმავლობაში. (ადს).

ადმინისტრატიულ-სამმართველო ხარჯები

მოსკოვი, 7 ივნისი. საკავშირო სახკომსაბჭომ შეიმუშავა საფუძვლები ახალი ადმინისტრატიულ - სამმართველო ხარჯების დასაფარავ სახსრების გაღების შესახებ. როდესაც ამა თუ იმ დაწესებულებაში სამუშაო გადიდდება, დაწესებულების თუ უწყების 1929-30 წლის ხარჯთაღრიცხვაში შეიძლება შეტანილ იქნას ახალი ხარჯი მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამის შესახებ არსებობს საბჭოთა კავშირის საკანონმდებლო ორგანოების სათანადო დადგენილება.

საერთო ჯამი, რომელიც ადმინისტრატიულ სამმართველო ხარჯების დასაფარავად გადაიდება უწყებათა და დაწესებულებათა ხარჯთაღრიცხვით, (ახალი ხარჯების დასაფარავად გაღებული თანხების ჩათვლით), არ უნდა აღემატებოდეს ამ ხარჯთაღრიცხვისთვის ბიუჯეტით გათვალისწინებულ თანხებს. (ადს).

წყალდიდობა აზერბეიჯანში

ბაქო, 6 ივნისი. აზერბეიჯანის წყალთა მეურნეობის სამმართველოს განზრახვა აქვს, წყალდიდობასთან ბრძოლის მიზნით 1929—30 წელს ჩაატაროს დიდი მუშაობა ნაპირების გასამაგრებლად და ჯებირების მოსაწყობად მდ. მტკვრის დინის მოსაწესრიგებლად. (ადს).

ბაქო, 6 ივნისი. აზერბეიჯანის წყალთა მეურნეობის სამმართველოს უფროსმა და წყალდიდობასთან მებრძოლი საგანგებო კომისიის თავმჯდომარე ამხ. კარაკოზოვმა ამ.-კავკასიის დეპეშათა სააგენტოს თანამშრომელთან საუბრის დროს განაცხადა:

„ყველა ის ადგილი, რომელიც წყალმა გარღვია, მიურსალის გარდა, შეკეთებულია. 4 ივნისს შეკეთებულ იქნა წყალისაგან გარღვეული ადგილი სოფელ რეიდლიართან. ზარალი წყალდიდობისაგან უდიდესია და წინასწარი გამოანგარიშებით 1 მილიონ მანეთს აღწევს. მიურსალთან გადავარდნილი წყალის უდიდესი ნაკადი, რომლის სიგანეც უდრის 5 კილომეტრს, ხოლო სიგრძე—100 კილომეტრს, ადის აჰჩალას ამომშრალ ტბაში. წყალი შეიძლება გადავიდეს ტბის ნაპირებიდან და წალეკოს შორაზინის დაირას ველები, სადაც თავმოყრილია სალიანის მაზრის მთავარი საშემოდგომო ნათესები. მიურსალთან ვარღვეული ადგილის შეკეთება დამთავრდება არა უადრეს 10—12 ივნისისა. მუშაობა წყლით გარღვეული ადგილების შესაკეთებლად მეტად ძნელ პირობებში სწარმოებს. ამჟამად იქ მუშაობს კვალიფიციური მუშათა არტელი და უნდა ვიფიქროთ, რომ წყლისაგან გარღვეული ადგილის შეკეთება წარმატებით დამთავრდება" (ადს).

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული

უკანასკნელი ცნობები

მაკდონალდი დღეს შეადგენს მთავრობას

ლონდონი, 7 ივნისი. სარწმუნო ცნობებით, მაკდონალდს იმედი აქვს, რომ დღეს საღამომდე დაამთავრებს მთავრობის შედგენას.

ჩოკაევის ინტერვიუ

ვარშავა, 6 ივნისი. მუსტაფა ჩოკაევმა პოლონურ გაზეთებში მოათავსა რამდენიმე ინტერვიუ, რომლებშიაც აქებს ბასმაჩობას, აგრეთვე ანტისაბჭოთა ელემენტების მოქმედებას თურქესტანში. (ადს).

უმუშევართა შეტაკება პოლიციასთან

ვარშავა, 6 ივნისი. ქირარდოვში მაგისტრატის შენობის წინ თავი მოიყარა ათასამდე უმუშევარმა. უმუშევრები მოითხოვდნენ დახმარების განახლებას. რადგან დადებითი პასუხი ვერ მიიღეს, დემონსტრანტებმა სცადეს შრომის ბირჟის შენობაში შეჭრა, მაგრამ პოლიციამ გაფანტა.

პაბიანცში „კრუშე ენდერ“-ის საფეიქრო ფაბრიკიდან დათხოვნილმა მუშებმა ქვები დაუშინეს ფაბრიკის ფანჯრებს. პოლიციამ გაფანტა მუშები. რამდენიმე მუშა დაიჭრა.

როდის ჩამოვა ამერიკის მრეწველთა დელეგაცია

ნიუ-იორკი, 7 ივნისი. რუსეთ-ამერიკის სავაჭრო პალატა იტყობინება, რომ საბჭოთა კავშირში მომავალ ჩრდ. ამერიკის შ.-შ. მრეწველთა დელეგაციაში ჯერ-ჯერობით ჩარიცხულია სხვადასხვა საბანკო და სამრეწველო წარმოებების დაახლოებით 50 წარმომადგენელი. დელეგაციის ყველა წევრები თავს მოიყრიან ბერლინში, საიდანაც ისინი 15 ივნისს პირდაპირ მოსკოვისაკენ გაემგზავრებიან. (ადს).

დეპუტატთა პალატა ფოსტალიონების გაფიცვის შესახებ

პარიზი, 7 ივნისი. დეპუტატთა პალატაში პარიზის ფოსტალიონების გაფიცვის შესახებ გამართულ კამათში რადიკალი დალიმიე სოციალისტებს შეეკითხა: „დაუშვებენ ისინი თუ არა სახელმწიფოებრივ მოსამსახურეთა გაფიცვას ხელისუფლების სათავეში ყოფნის დროს“.

ეს შეკითხვა პასუხგაუცემელი დარჩა.

ამავე დროს სოციალისტები თავგამოდებით ამტკიცებდნენ, რომ გაფიცვა „ხელოვნურად გამოწვეული“ კომუნისტებისა და უნიტარულ პროფკავშირების ხელმძღვანელების მიერაა (ადს).

კომფრაქციის სახელით პოკემალი და კაშენი მოითხოვდნენ სახელმწიფოებრივ მოსამსახურეთა მიმართ გაფიცვის უფლების ცნობას, რეპრესიული ზომების მოხსნას და ფოსტის მოსამსახურეთათვის მინიმალური ხელფასის დაწესებას 10.800 ფრანკის რაოდენობით წლიურად.

მთავრობამ ადვილად შესძლო მისდამი ნდობის გამომხატველი რეზოლუციის მიღება.

ავღანისტანი ამანულას შემდეგ

თერმეზი, 7 ივნისი. ავღანისტანიდან ამანულა-ხანის გაქცევის გამო, გულიამ-ხანის ბრძოლამ საგრძნობლად დაკარგა თავისი აზრი. ჩრდილოეთის პროვინციების მოსახლეობაში ძლიერდება საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე გადასვლის ტენდენცია. (ადს)

საფრანგეთ-ჩეხო-სლოვაკიის საიდუმლო სამხედრო ხელშეკრულების შესახებ

ვენა, 7 ივნისი. ბუქარესტიდან მოსული ცნობებით, რუმინეთის პრესის ნაწილი აქვეყნებს რიგიდან მიღებულ უცხოეთის პრესის ცნობებს საფრანგეთ-ჩეხო-სლოვაკიის შორის არსებულ საიდუმლო სამხედრო ხელშეკრულების შესახებ. ხელშეკრულება ითვალისწინებს საფრანგეთისა და ჩეხო-სლოვაკიის შეთანხმებულ მოქმედებას იმ შემთხვევაში, თუ მოხდება ავსტრია-გერმანიის ტერიტორიალური გაერთიანება.

რუმინეთის გარეშე საქმეთა სამინისტრო აცხადებს, რომ მან არაფერი იცის ასეთი ხელშეკრულების არსებობის შესახებ (ადს).

იტალიური გაფიცვა

პეიპინი, 6 ივნისი. პეიპინის ტელეფონის სადგურის მუშებმა და მოსამსახურეებმა გამოაცხადეს იტალიური გაფიცვა. გაფიცულნი მოითხოვენ ხელფასის გადიდებას. (ადს).

ექსპერტთა კომისიის ზოგად ოქმზე ხელი მოაწერეს

პარიზი, 7 ივნისი. ჰავასის სააგენტო იუწყება: „გუშინ, საღამოს 6 საათსა და 10 წუთზე ხელი მოაწერეს ექსპერტთა კომისიის ზოგად ოქმს“. (ადს).

ფაშისტების თავდასხმა მუშების ბავშვებზე

ვენა, 7 ივნისი. ვენის მახლობლად ხეიმვერელი ფაშისტები თავს დაესხნენ მუშების ბავშვებს და დაუწყეს მათ ცემა. აღშფოთებულმა მუშებმა გარეკეს გათავხედებული ფაშისტები, რომლებიც გადარჩნენ იმის წყალობით, რომ საქმეში ჟანდარმები ჩაერია. (ადს).

ზარალი ვეზუვის ამოხეთქისაგან

რომი, 6 ივნისი. სტეფანის სააგენტო იუწყება:

„ნეაპოლიდან მიღებული ცნობებით, ვეზუვის ამოხეთქით დაინგრა 50 სახლი 147 ოთახით, რომლებიც 78 სოფელს ეკუთვნოდა. ვულკანიდან ამოხეთქილმა ლავამ დაფარა 50 ჰექტარი. ახლო-მახლო მცხოვრებნი უკან ბრუნდებიან“ (ადს).

მიწისძვრის მსხვერპლნი

თეირანი, 6 ივნისი. როგორც ოფიციალურად აცხადებენ, ხორასანში მომხდარი მიწისძვრის დროს მოკლული აღმოჩნდა 3.250 კაცი, დაშავებული 1.150 კაცი. 90 სოფელი დაინგრა (ადს).

გერმანიის სოციალ-ფაშისტების მსხვერპლთა რაოდენობა

საზოგადოებრივ კომიტეტის ანგარიში

ბერლინი, 7 ივნისი. პირველ მაისის ამბების გამოსარკვევად თავის დროზე შექმნილ იქნა საზოგადოებრივი კომიტეტი, რომელშიაც უმეტეს ნაწილად შედიოდნენ იურისტები, პოლიტიკური მოღვაწენი და თავისუფალ პროფესიის პირები. ყველა ესენი არაკომუნისტებია. კომიტეტმა გუშინ გააკეთა მოხსენება კვლევა-ძიების პირველი ნაწილის შესახებ. დიდი თეატრის ვეებერთელა დარბაზი სავსე იყო ხალხით. დასწრების მსურველნი ათასობით დარჩნენ დარბაზს გარეთ. კომიტეტმა აცნობა კრებას, რომ უკანასკნელ დრომდე მან დაჰკითხა თავისი ნებით გამოცხადებული 300 მოწმე, რომელთა დიდი უმრავლესობაც არაკომუნისტებია.

20 მოწმემ კომიტეტს მისცა ჩვენება თეატრში, აუდიტორიის წინაშე. მოწმეთა შორის იყო ახალგაზრდობა, რომელთა დედები და ძმები დახოცილ იქნა მათივე გვერდით ქუჩაში. მოწმეთა გულწრფელ და უბრალო ჩვენებამ დამსწრეთა წინაშე გადაშალა იმის შემაძრწუნებელი სურათი, თუ როგორ ისვრიდა პოლიცია ყოველ საბაბს გარეშე, როგორ თარეშობდა ის დემონსტრანტებში რეზინის ჯოხებით.

ექიმებმა მისცეს ჩვენება დახოცილთა გვამების გაკვეთის დროს გამოტანილ დასკვნათა და იმ დაჭრილთა დაშავების შესახებ, რომელთაც ისინი მკურნალობდნენ.

ტყვიების დიდი უმრავლესობა დახოცილთ მოხვედრილი ჰქონდათ გვერდში ან ზურგში. ამასთანავე ტყვიების მიმართულება სრულიად აბათილებს იმ ვერსიას, თითქოს კომუნისტები ისროდნენ თოფს სახლების სახურავებიდან. ყველა აღმოჩენილი ტყვიები გასროლილია კარაბინებიდან და „პარაბელიუმის“ სისტემის რევოლვერიდან. ეს იარაღები კი აქვს მხოლოდ პოლიციას.

მოსმენილ იქნა გერმანიის კომპარტიის ბერლინ-ბრანდენბურგის საოლქო ორგანიზაციის ხელმძღვანელის ამხ. პიკის ჩვენებაც იმის შესახებ, თუ როგორ ემზადებოდა გერმანიის კომპარტია 1 მაისისათვის. ამხ. პიკმა განაცხადა, რომ გერმანიის კომპარტიას განზრახვა ჰქონდა ჩაეტარებინა მხოლოდ მშვიდობიანი დემონსტრაცია.

მოწმეთა დაკითხვის შემდეგ საზოგადოებრივმა კომიტეტმა წინადადება მისცა დამსწრეთ გამოეტანათ რეზოლუცია, რომელშიაც ნათქვამია:

„1929 წლის 1 მაისის შედეგები ბერლინში ასეთია: 30 მოკლული, 81 მძიმედ დაჭრილი, რამდენიმე ასეული მსუბუქად დაჭრილი და ათასზე მეტი დაპატიმრებული.

საპირველმაისო დემონსტრაცია აკრძალული იყო მარტო ბერლინში. მხოლოდ ბერლინში იღვრებოდა სისხლი. ყველა ისინი, რომლებიც 1-ლ მაისს პოლიციის გამოსვლების გამო დაზარალდნენ — არაფერში არ იყვნენ დამნაშავენი. პოლიცია თავს ესხმოდა თავის მსხვერპლთ, თავდასხმის დროს ხმარობდა სამხედრო ხასიათის იარაღს და სხვა სამხედრო მოწყობილობას. ბერლინში საალყო წესები გამოცხადებულ იქნა არაკანონიერად, ე. ი. მოსახლეობისათვის ამის შესახებ არ უცნობებიათ. პირველ მაისს მომხდარი ამბების შესახებ გამოქვეყნებული ოფიციოზური ცნობები სრულიად ყალბი იყო. მსხვერპლთა პირისუფლებს და ცოცხლად დარჩენილ დაჭრილ-დასახიჩრებულებს დღემდე არ მიუღია არავითარი ანაზღაურება“.

რეზოლუცია მოითხოვს დაუყოვნებლივ იქნას გადაყენებული ბერლინის პოლიციეი-პრეზიდენტი ცერგიბელი, აიკრძალოს სასროლი იარაღის ხმარება მოსახლეობის წინააღმდეგ, განთავისუფლებულ იქნან ყველა ის პირები, რომლებიც დააპატიმრეს პირველ მაისს მომხდარ ამბებთან დაკავშირებით და აუნაზღაურდეთ ზარალი მოკლულთა ოჯახებს და ყველა დაზარალებულებს.

8.500 შეკრებილმა ფეხზე ადგომით პატივისცა 1-ლი მაისის მსხვერპლთა ხსოვნას და ერთხმად მიიღო რეზოლუცია. შეკრებილებმა ფიცი დასდეს, რომ ისინი ყოველნაირად შეეცდებიან, იმ პირებმა, რომელნიც პასუხისმგებელნი არიან მაისის ამბებისათვის, მიიღონ სასტიკი სასჯელი. (ადს)

საქართველოს და აზერბეიჯანის მწერლები სომხეთში

(ტელეგრაფით ჩვენი სპეციალური კორესპონდენტისაგან)

ერევანი, 7 ივნისი. არ შეიძლება აიწეროს ის სიხარული და სტუმართმოყვარეობა, რომლითაც ხვდებიან დელეგატებს სომხეთის მთავრობა და მთელი მშრომელი მოსახლეობა. სომხეთის მთელი საბჭოთა საზოგადოებრიობის თვალში დელეგაციები წარმოადგენენ კულტურის დარგში მომუშავეთა მოწინავე რაზმს, რომელიც მიილტვის ამიერ-კავკასიის ხალხთა კულტურული გაერთიანებისა და ძმური დაახლოებისაკენ.

მთავრობა, პროფესიონალური და კულტურული ორგანიზაციები დელეგაციებს აძლევენ ყოველგვარ საშუალებას და შესაძლებლობას, რომ გაეცნონ სომხეთის ყოფა-ცხოვრებას და ახალ სოციალისტურ მშენებლობას. დელიჟანზე გავლისას დელეგაციებმა დაათვალიერეს დასასვენებელი სახლები, სანატორიუმები, სკოლები, სამკურნალო დაწესებულებები, სევანის ტბაზე მოწყობილი თევზის სარეწაოები და სხ.

დღეს დილით დელეგაციები ესტუმრნენ კულტურის სახლს, სომხეთის ეროვნულ სამხატვრო გალერეას, არქეოლოგიურ მუზეუმს და სხვა კულტურულ დაწესებულებებს. სტუმრებმა დაათვალიერეს აგრეთვე ახალი ჰიდროელექტრო სადგური და ქალაქში დაწყებული ახალი საბინაო მშენებლობა.

დღეს დელეგაციების ჩამოსვლის აღსანიშნავად განათლების კომისარიატი და პროფსაბჭოს კულტგანყოფილება აწყობენ ა.-კ. ერთა კულტურულ დაახლოების საღამოს.

ვ. წულუკიძე.

კულტურული კავშირი

ერევანი, 7 ივნისი. 6 ივნისს საღამოს 7 საათზე 7 ავტომობილით, სომხეთის მწერალთა ფედერაციის წარმომადგენელთა თანხლებით, სევანიდან ერევანში ჩამოვიდა საქართველოს და აზერბეიჯანის 45 მწერალი.

7 ივნისს დღისით ჩამოსულმა მწერლებმა დაათვალიერეს სომხეთის სახელმწიფო მუზეუმი, მხატვარ ტერლემეზიანის ნაწარმოებთა გამოფენა და რიკოვის სახელობის ჰიდროსადგური.

საღამოთი კულტურის სახლში გაიმართება ამიერ-კავკასიის სამი რესპუბლიკის მწერალთა ფედერაციის საზეიმო სხდომა (ადს).

ფლორიდინის მაგიერ გუმბრინი

საქარხნო წესით გამოცდის დროს გუმბრინმა აჯობა ამერიკულ ფლორიდინს. გუმბრინით დაინტერესებული არიან უცხოეთის ნავთის ფირმები

ბათომიდან დაბრუნდა სამთა-ქიმიური ტრესტის მმართველი ამხ. ი. ჭელიძე, რომელიც დაესწრო გუმბრინისა (ნავთის პროდუქტების საწმენდი თიხა, რომლის ბუდობებიც იმყოფება სოფ. გუმბრში, ქუთაისის მახლობლათ) და ამერიკიდან შემოტანილი ასეთივე თიხის — ფლორიდინის (ე. წ. ატაპულგუსის) გამოცდას მათი ღირსების შესადარებლად. ცდებს აწარმოებდა ამერიკის ნავთის ტრესტის „სტანდარტ ოილ“-ის ქარხანა. ცდების შედეგების შესახებ ამხ. ი. ჭელიძემ ჩვენს თანამშრომელს შემდეგი აცნობა:

— დღემდე ის საკონცესიო ნავთსაწმენდი ქარხნები, რომლებიც საბჭ. კავშირში მუშაობენ და საბჭოთა კავშირის მთელი ნავთის მრეწველობა ნავთის პროდუქტების საწმენდათ ხმარობდა ამერიკიდან შემოტანილ თიხას—ე. წ. ატაპულგუსს ანუ ფლორიდინს. ჩვენში ასეთივე თიხის უმდიდრესი ბუდობები მოიპოვება ქ. ქუთაისიდან 7 კილომეტრის დაშორებით, სოფ. გუმბრში. გუმბრის თიხის, ანუ როგორც ეხლა მას უწოდებენ, გუმბრინის ლაბორატორიული გამოკვლევა დიდი ხანია სწარმოებს, მაგრამ საქარხნო წესით ასეთი ცდები ჯერ არ ჩაგვიტარებია. 15 მაისიდან კი საქარხნო წესით გუმბრინის ღირსების გამოსარკვევი ცდები დაწყებულ იქნა „სტანდარტ-ოილ“-ის ბათომის ქარხანაში. ერთსა და იმავე დროს, ერთსა და იმავე პირობებში გამოსცადეს გუმბრინიც და ფლორიდინიც.

ცდამ გამოარკვია, რომ ჩვენი გუმბრინი გაცილებით უკეთესი ღირსებისაა, ვიდრე ამერიკული ფლორიდინი. განსაზღვრული რაოდენობის ამერიკულმა თიხამ ნავთის წმენდა შესძლო მხოლოდ 128 საათის განმავლობაში, ხოლო იმავე რაოდენობის გუმბრინი ნავთის გასაწმენდად გამოდგა სრული 224 საათის განმავლობაში. ცდების ასეთმა შედეგმა დააინტერესა „სტანდარტ-ოილი“, რომელმაც სამთა-ქიმიურ ტრესტს შეუკვეთა გუმბრინის დიდი პარტია, მაგრამ სამწუხაროთ გუმბრინის ამოღების საქმე ჯერ კიდევ არაა ისეთი მასშტაბით მოწყობილი, რომ შევსძლოთ უცხოეთის ფირმების მოთხოვნილების დაკმაყოფილება. ამჟამად არსებულ გუმბრინის გადასამუშავებელ საცდელ ქარხანას, რომელიც დიდი ხანი არაა, რაც მოვაწყვეთ, შეუძლია მადნის მხოლოდ მცირე რაოდენობის გადამუშავება.

ახლო ხანში ტრესტი შეუდგება მზადებას გუმბრინის გადასამუშავებელი ახალი დიდი ქარხნის ასაგებათ. ახალმა ქარხანამ უნდა მოგვცეს გუმბრინის იმდენი რაოდენობა, რომ შევსძლოთ საკუთარ მოთხოვნილებათა სრული დაკმაყოფილება და გუმბრინის დიდი რაოდენობის გატანაც საზღვარ-გარეთ. ქარხნის ასაგებად მზადებასთან ერთად გაგრძელებული იქნება აგრეთვე ცდები გუმბრინის დანარჩენ თვისებათა გამოსარკვევად.

საბჭ. სამხრეთ-ოსეთის 9 წლის თავი.

მისალმებები სამხრეთ-ოსეთის მშრომელთ

საქ. ცაკისაგან



ამხ. ალ. ჯატიევი
სამხრეთ-ოსეთის ცაკის თავმჯდომარე

მთელი საქართველოს მუშებისა და გლეხების სახელით საქართველოს ცაკი ესალმება სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთ სამხრეთ-ოსეთში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების მეცხრე წლის თავის გამო. საბჭოთა ქვეყნის მშრომელნი არასოდეს არ დაივიწყებენ სამხრეთ-ოსეთის ხალხის გმირულ ბრძოლას მუშათა კლასისა და გლეხობის მოღალატე ქართველი მენშევიკების საზიზღარი უღლის დასამხობად. საქართველოს მშრომელთ ახარებს სამხრეთ-ოსეთის მუშებისა და გლეხების წარმატება სოციალიზმის მშენებლობის საქმეში და მხურვალედ უსურვებენ მათ შემდგომ ზრდასა და წინსვლას.

გაუმარჯოს თავისუფალ ხალხთა თავისუფალ ერთობას!

გაუმარჯოს ავტონომიურ სამხრეთ-ოსეთს!

გაუმარჯოს სოციალიზმს!

საქართველოს ცაკის თავმჯდომარის მოადგილე **ვ. სტურუა.**

საქ. სახკომსაბჭოსაგან

სამხრეთ-ოსეთში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების მეცხრე წლის თავზე საქართველოს ს. ს. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო საქართველოს მუშებისა და გლეხების სახელით მხურვალე ძმურ სალამს უძღვნის სამხრეთ-ოსეთის მშრომელთ და უსურვებს შემდგომ წარმატებას სოციალისტური მშენებლობის საფუძვლების გაძლიერებისა და მშრომელთა ხელისუფლების ყოველმხრივ განმტკიცების საქმეში. საბჭოთა ხელისუფლებამ მოსპო შუღლი და მტრობა, დაამყარა ხალხთა მშვიდობა და თანამშრომლობა.

გაუმარჯოს სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთ!

საქართველოს სახკომსაბჭოს თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

საბჭოთა აღმშენებლობა სამხრეთ-ოსეთში

საბჭოთა საქართველოს ეროვნული პოლიტიკა მიზნად ისახავს ჩამორჩენილ ეროვნულ გაერთიანებათა ეკონომიურ და სოციალ - კულტურულ აღორძინებას. ამ მხრივ მნიშვნელოვანი შედეგებია მიღწეული ყველა ავტონომიურ რესპუბლიკებში, კერძოდ კი სამხრეთ-ოსეთში.

საქართველოს საბჭოთა მთავრობა განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა ავტონომიურ ერთეულების ფინანსიურ მდგომარეობის განმტკიცებას. სახალხო მეურნეობის სიძლიერის მაჩვენებელია ბიუჯეტი. სამხრეთ-ოსეთის ბიუჯეტი განუწყვეტლივ იზრდებოდა ამ რვა წლის განმავლობაში. ასე, მაგალითად, ოსეთის 1928-29 წლის ბიუჯეტის საგასავლო ნაწილი 1925—26 წ. ბიუჯეტთან შედარებით გაიზარდა 60,4 პროცენტით, საშემოსავლო ნაწილი კი—183,3 პროც., 1928—29 ბიუჯეტით შემოსავალი გამოიხატება 370.928 მანეთში, გასავალი კი—1.030.545 მან. აღსანიშნავია, რომ ბიუჯეტის ასეთი ზრდის დროს დეფიციტის ხვედრითი წონა ყოველ წლიურად მცირდება. 1928—29 წლის ბიუჯეტში დეფიციტის ხვედრითი წონა 79,6 პროც. შემცირდა 64,0 პროცენტამდე.

ბიუჯეტში ხარჯების მთავარი ნაწილი (557.454 მან.) მოდის კულტურულ საჭიროებების დაკმაყოფილებაზე. თუ თვალს გადავავლებთ სკოლების ქსელის ზრდას სამხრეთ-ოსეთში, დავინახავთ, რომ 1919 წელს ოსეთში იყო 28 სკოლა 1.812 მოწაფით, 1928 წელში კი სკოლების რიცხვი უკვე შეადგენდა 119, მოწაფეების რიცხვი კი—7.404, ამჟამად 1.000 მცხოვრებზე მოდის 1,35 სკოლა და 59,15 მოწაფე.

სამხრეთ-ოსეთის მრეწველობა ჩანასახ მდგომარეობაშია და ეხლა იწყებს განვითარებას. ამჟამად მუშაობს: აგურის ქარხანა, ხე-ტყის სახერხი ქარხანა, გრეხილი ავეჯის ფაბრიკა, ელექტრო-სადგური და კირის ქარხანა, რომლებშიაც მუშაობს სულ 62 მუშა. სამხრეთ-ოსეთში შეიძლება ფართოდ იქნეს განვითარებული ლითონის მრეწველობა, რადგან ოსეთი მდიდარია სხვადასხვა ლითონებით. ამჟამად სწარმოებს საჭირო გეოლოგიური გამოკვლევები, რომელთა დამთავრების შემდეგ დაიწყება საწარმოების მოწყობა. მრეწველობის განვითარებასთან ერთად იზრდება სოფლის მეურნეობაც. 1925—27 წელში ნათესების სივრცე სამხრეთ-ოსეთში შეადგენდა 19.437 შინაური საქონლის რაოდენობა უდრიდა: ცხენები—3.143, მსხვილფეხა საქონელი — 63.802, ცხვრები — 88.287 და თხები—13.228.

სწრაფად ვითარდება აგრეთვე სახელმწიფო ვაჭრობა და კოოპერაცია. 1927—28 წელში სამომხმარებლო კოოპერატივების რიცხვი სამხრეთ-ოსეთში უდრიდა 13, სას.-სამეურნეო ამხანაგობების რიცხვი კი—12; სამომხმარებლო კოოპერაცია აერთიანებდა 5.955 წევრს, სას.-სამეურნეო კოოპერაცია კი—2.203 კაცს. სულ კოოპერაციაში ჩაბმულია მთელი მოსახლეობის 16,4 პროც. ოსეთში არსებობს ერთი კოლექტიური მეურნეობა 56 წევრით.

როგორ ჩატარდება პარტიის წმენდა ამიერ-კავკასიაში

(საუბარი ამხ. ლენგნიკთან)

საკ. კ.პ. (ბ) ცენტრ. საკ. კ-ის მიერ ამიერ-კავკასიის ხელმძღვანელ პარტმუშაკთა შესამოწმებლად გამოყოფილი კომისიის თავმჯდომარემ ამხ. ლენგნიკმა განაცხადა:

„პარტიის წმენდისათვის მოსამზადებელი მუშაობა ამიერ-კავკასიის ორგანიზაციებში დაიწყო ა. წ. იანვრის ბოლო რიცხვებში მას შემდეგ, რაც ადგილებზე მიღებულ იქნა საკავშირო კომპარტიის (ბ) ცენტრალურ საკონტროლო კომისიის ცირკულიარი და ს.კ.პ. (ბ) ამიერ - კავკასიის საოლქო საკონტროლო კომისიის პრეზიდიუმის დირექტივები მომზადების ჩატარების წესის და მეთოდების შესახებ.

მიუხედავად ამისა, სხვადასხვა კამპანიების (საბჭოების არჩევნები, თესვის კამპანია, ცეკას ნოემბრის პლენუმის გადაწყვეტილებათა დამუშავება) და პარტიულ კონფერენციების გამო, რომლებიც ჩატარებულ იქნა იმ ხანებში, ადგილობრივმა ორგანიზაციებმა და საკონტროლო კომისიის ორგანოებმა ვერ შესძლეს ამ მუშაობისათვის სათანადო ყურადღების მიქცევა, რის გამო მომზადების პირველ პერიოდში მუშაობა მოდუნებულად მიმდინარეობდა.

ამიტომ პრესის ორგანოებიც საკმაოდ ინტენსიურად ვერ აშუქებდნენ თავიანთ ფურცლებზე პარტიის რიგების შემოწმებისა და წმენდის ამოცანებსა და მეთოდებს, მოსამზადებელი მუშაობის მსვლელობას ადგილებზე, განსაკუთრებით მაზრებში, რადგან მთელი მათი ყურადღება მიპყრობილი იყო ისეთი საკითხების გაშუქებისაკენ, როგორიცაა: ცეკას პლენუმის გადაწყვეტილებათა დამუშავება, თესვის კამპანიის მომზადება, საბჭოების არჩევნები, პარტკონფერენციები, ყრილობები და სხვ.

ა. წ. მარტიდან, საკავშირო კომპარტიის (ბ) ა.-კ. საკონტროლო კომისიის პრეზიდიუმის დამატებითი დირექტივების მიღების შემდეგ პარტიის წმენდისათვის მზადების საქმეში მოხდა ერთგვარი გარდატეხა და ეს საკითხი პარტიული ორგანიზაციების ყურადღების ცენტრში მოექცა.

როცა ვეხებით ა.-კ. საკონტროლო კომისიის სხვადასხვა დადგენილებებს პარტიის წმენდისთვის მზადების შესახებ, საჭიროა აღვნიშნოთ, რომ პარტიის წმენდის საკითხი განხილულ იქნა საკავშირო კომპარტიის (ბ) ა.-კ. საკონტროლო კომისიის მე-5 პლენუმზე, რომელზედაც რესპუბლიკანურ ცენტრალურ საკონტროლო კომისიების წარმომადგენლებმა გააკეთეს მოხსენება წმენდისათვის მზადების მსვლელობის შესახებ. პლენუმმა აღნიშნა, რომ უკანასკნელ პერიოდში მოსამზადებელი მუშაობა ადგილებზე გაძლიერდა და ამიერ-კავკასიის ორგანიზაცია საერთოდ მომზადებულია თავისი რიგების შემოწმებისა და წმენდის ჩატარებისათვის.

ჯერ კიდევ პლენუმის მოწვევამდე, 8 მაისს ა.-კ. საკონტროლო კომისიის პრეზიდიუმის გაფართოებულმა სხდომამ (რესპუბლიკანურ ცენტრალურ საკონტროლო კომისიების მონაწილეობით) მოისმინა ინფორმაცია ადგილებიდან და შესაძლოდ სცნო წმენდის დაწყება 1 ივნისიდან.

ამავე დროს, ძლიერ დაგვიანდა საკითხის გამორკვევა ხელმძღვანელ ორგანოების წევრთა (საკავშირო კომპარტიის (ბ) ა.-კ. საოლქო კომიტეტი და ა.-კ. საკონტროლო კომისია, რესპუბლიკანურ კომპარტიების ცენტრალური კომიტეტები და ცენტრალური საკონტროლო კომისიები) შემოწმების წესის და ვადების შესახებ, რამაც შეაფერხა მუშაობა. სწორედ ამიტომ ამიერ - კავკასიაში წმენდა შეიძლება დაიწყოს მხოლოდ შუა ივნისიდან და ივლისის პირველ რიცხვებიდან.

ამჟამად საკავშირო კომპარტიის (ბ) ცენტრალურ საკონტროლო კომისიის მიერ გამოყოფილი კომისია ახდენს იმ ამხანაგების შემოწმებას, რომელნიც შედიან ხელმძღვანელ პარტორგანოებში. კომისია მუშაობას შეუდგა 25 მაისს. თბილისის ორგანიზაციაში უკვე შემოწმებულია 151 ამხანაგი, შესამოწმებელი დარჩა 40. ჯგუფურ (ღია) კრებებს, რომლებზედაც ხდება წმენდა, დიდძალი ხალხი ესწრება. პარტიული და უპარტიო მასები დიდ ინტერესს იჩენენ შემოწმების საკითხებისადმი. სულ 14 კრებას, რომლებიც ჩატარებულ იქნა თბილისის ორგანიზაციაში, დაესწრო 7.200 კაცი, მათ შორის 5.000 პარტიული და 2.200 უპარტიო, ე. ი. თვითეულ კრებას საშუალოდ დაესწრო 500 კაცი. 8 ივნისს შემოწმება დამთავრდება თბილისში და კომისია გაემგზავრება აზერბეიჯანში, სომხეთში და საქართველოს მაზრებში.

ს.კ.პ. (ბ) ცენტრალურ საკონტროლო კომისიის მიერ გამოყოფილმა კომისიამ სულ ამიერ - კავკასიაში უნდა შეამოწმოს 700 ამხანაგი.

როგორც უკვე აღვნიშნე, მოსამზადებელი მუშაობა დამთავრდა ამიერ - კავკასიის ყველა ორგანიზაციაში.

1. საკითხი პარტიის რიგების გენერალური შემოწმების და წმენდის მიზნების და ამოცანების შესახებ დამუშავებულია ყველა საუჯრედო კრებაზე ქალაქისა და სოფლის ორგანიზაციებში და აგრეთვე საკონტროლო კომისიებს და პარტკომების პლენუმებზე, უპარტიო მუშათა მასაში ტარდება ფართო ახსნა-განმარტებითი მუშაობა.
2. ადგილებზედ ჩატარებულია მოსამზადებელი მუშაობის მსვლელობის შემოწმება.
3. შედგენილია ცალკე უჯრედების დახასიათებანი.
4. საბოლოოდაა ჩამოყალიბებული შემმოწმებელი კომისიები; საქართველოში 62 კომისია, სომხეთში—14 და აზერბეიჯანში—45. საქართველოში უკვე დაიწყო შემმოწმებელ კომისიების წევრების წმენდა, რომელიც დამთავრდება 10 ივნისს, ამის შემდეგ დაიწყება თბილისის ორგანიზაციის საერთო წმენდა.

აზერბეიჯანის და სომხეთის ორგანიზაციებში წმენდა დაიწყება ხელმძღვანელი შემადგენლობის—ცეკას და ცენტრალურ საკონტროლო კომისიის წევრთა—შემოწმების შემდეგ.

5. შედგენილია ყველა ორგანიზაციის შემოწმების გეგმები.
6. თბილისში ჩატარებულია ა.-კ. კომუნისტურ უნივერსიტეტის და ცენტრალურ პარტსკოლის კურსდამთავრებულთა შემოწმება, ამჟამად სწარმოებს თბილისის და ბაქოს სხვა უმაღლეს სასწავლებლების კურსდამთავრებულთა შემოწმება.
7. შემმოწმებელ კომისიების წევრებისათვის მოწყობილია სისტემატიური კონსულტაცია და ინსტრუქტაჟი.
8. მნიშვნელოვნად გაძლიერდა პრესის მუშაობა. კერძოდ თბილისის გაზეთებში მოთავსებული იყო სახელმძღვანელო ხასიათის წერილები. გაზეთების ზოგიერთ ნომრებში ცალკე გვერდები მიეძღვნა წმენდას. სომხეთში ამ ბოლო დროს სამ გაზეთში მოთავსებული იყო 55 სახელმძღვანელო წერილი და 155 შენიშვნა, აზერბეიჯანში გამოვიდა 30 სპეციალური „წმენდის ფურცელი“ და მოთავსებულ იქნა 22 სახელმძღვანელო წერილი.

დასასრულ საჭიროა აღინიშნოს, რომ წმენდისთვის მზადება ამიერ-კავკასიის ორგანიზაციებში საერთოდ წარმატებით ჩატარდა.

წმენდის შედეგები და წარმატება შემდეგში დამოკიდებული იქნება როგორც შემმოწმებელ კომისიების მუშაობაზე, ისე განსაკუთრებით მაზე, თუ რამდენად აქტიურ მონაწილეობას მიიღებენ წმენდაში ფართო პარტიულ და უპარტიო მასები—პირველ რიგში მუშები და გლეხები—მოჯამაგირეები და ღარიბი გლეხები.

იმ წმენდის გამოცდილებამ, რომელსაც აწარმოებს საკავშირო კომპარტიის (ბ) ცენტრალურ საკონტროლო კომისიის მიერ გამოყოფილი კომისია, დაგვანახვა, რომ პარტიულ და უპარტიო ამხანაგების გამოსვლები, მათ მიერ კრებებზე მიცემული კითხვები, კომისიაში შემოსული განცხადებები და სხვ., უმდიდრეს მასალას აძლევს კომისიას შესამოწმებელ ამხანაგებისადმი მიდგომის და სათანადო გადაწყვეტილებების გამოტანისათვის“.

მრისხანე გაფრთხილება პოლონელ ფაშისტებს!

პოლონეთის მთავრობის პროვოკაციული ნაბიჯით აღშფოთებულია საქართველოს მუშურ-გლეხური საზოგადოებრიობა

„ქართველ მშრომელთა მოსისხლე მტრების—მენშევიკების ზეიმზე ოფიციალური წარმომადგენლის დასწრება—ჩვენს შინაურ საქმეებში ჩარევაა“

საქართველოს მშრომელნი მუდამ მზად არიან იარაღით დაიცვან სისხლით მოპოვებული თავისუფლება

პოლონეთის პანები ერევიან ჩვენს შინაურ საქმეებში

(ტელეგრაფით ჩვენი მოსკოველი კორესპონდენტისაგან)

მოსკოვი, 7 ივნისი. „იზვესტია“-ს ვარშაველი კორესპონდენტი იტყობინება:

გამოქვეყნებულია პოლონეთის მთავრობის ოფიციალური ცნობა ამხ. ბოგომოლოვის პროტესტის შესახებ იმის გამო, რომ ვარშავის ოფიციალური წრეები მონაწილეობას ღებულობდნენ უკრაინელ და ქართველ კონტრ-რევოლიუციონურ ემიგრაციის უკანასკნელ ანტისაბჭოთა გამოსვლებში. ოფიციალურ ცნობაში ნათქვამია შემდეგი:

„პოლონეთის საგარეო საქმეთა ვიცე მინისტრმა ვისოცკიმ კატეგორიულად უკუაგდო ბოგომოლოვის პროტესტი, როგორც დაუშვებელი ჩარევა პოლონეთის შინაურ საქმეებში“.

ვარშავის გაზეთები დიდ ადგილს უთმობენ ამ საკითხს. ოფიციოზური ორგანო „ეპოქა“-ს წერილში განსაცვიფრებელი აბზაცია ამხ. ბოგომოლოვის მიერ განცხადებული პროტესტის შესახებ. გაზეთი სწერს:

„საჭიროა მიექცეს ყურადღება იმ გარემოებას, რომ პოლონეთმა სხვა სახელმწიფოებზე უმალ იცნო საქართველოს დამოუკიდებლობა. ჩვენმა მთავრობამ გაგზავნა საქართველოში თავისი ელჩი, რაც შეეხება კრებას, რომელიც მოწვეულ იყო პეტლიურას ხსოვნის აღსანიშნავად, უნდა აღვნიშნოთ, რომ უკრაინის მთავარი ატამანი პეტლიურა იყო პოლონეთის ფორმალური მოკავშირე. ამიტომ პოლონეთის ხელისუფალთა მონაწილეობა აღნიშნულ საზეიმო კრებაზე სავსებით გასაგებია, რადგან ამას გვკისრებს ჩვენი მორალური მოვალეობანი მოკლულ მოკავშირის მიმართ“.

განსაკუთრებით აღმაშფოთებელია „ეპოქა“-ს შემდეგი ცინიკური განცხადება, გაზეთი სწერს, თითქოს ქართველებისა და უკრაინელების კრებებს არ ჰქონიათ ანტისაბჭოთა ხასიათი.

პილსუდჩიკების ორგანო „გლოს პრავდი“ საბჭოთა კავშირის ელჩის პროტესტს უწოდებს აგრეთვე პოლონეთის შინაურ საქმეებში ჩარევის გაუგონარ ფაქტს, რაიც თითქოს წარმოუდგენელი შემთხვევაა საერთაშორისო ურთიერთობის ისტორიაში.

ვარშავის გაზეთები განაგრძობენ აგრეთვე აშკარა ცილისწამებას საკავშირო დეპეშათა სააგენტოს წინააღმდეგ, რომელმაც, მათი სიტყვით, ტენდენციოზური ცნობები გაავრცელა მომხდარი ამბების შესახებ.

გაზეთ „იზვესტია“-ს რედაქცია კომენტარიებს უკეთებს თავისი კორესპონდენტის ცნობას და სწერს:

ინფორმაცია იმის შესახებ, რომ საბჭოთა ელჩის ამხ. ბოგომოლოვის პროტესტი უკრაინელ და ქართველ ემიგრანტების კრებაზე პოლონეთის ოფიციალურ წარმომადგენლების დასწრების გამო წარმოადგენს პოლონეთის შინაურ საქმეებში ჩარევას, აშკარა ტყუილია, რადგან, ჩვენი ცნობების მიხედვით, საგარეო საქმეთა მინისტრის ამხანაგს ვისოცკის ამგვარი განცხადება არ გაუკეთებია.

გარდა ამისა, სწერს „იზვესტია“, შეუძლებელია არ აღინიშნოს პოლონეთის ოფიციოზურ გაზეთებში გამოთქმულ მოსაზრებათა გაუგონარი სისულელე. როდის შემდეგ გახდა საბჭოთა საქართველოს ან საბჭოთა უკრაინის სახელმწიფო წყობილებისა და სახელმწიფოებრივ კუთვნილების საკითხი პოლონეთის შინაურ საქმედ. უნდა აღინიშნოს, რომ პოლონეთის მილიტარისტების ფარული ზრახვები, სავსებით ნათლად გამოსჭვივის ამ სულელურ აზრებში.

ამის შემდეგ „იზვესტია“ ეხება პოლონეთის პრესის თავხედურ განცხადებას იმის შესახებ, რომ პოლონეთმა პირველად იცნო საქართველო და რომ ეს მას აძლევს უფლებას აწარმოოს პროპაგანდა საქართველოს ჩამოსაშორებლად საბჭოთა კავშირისაგან. „საჭიროა მოვაგონოთ პოლონეთის პოლიტიკოსებს, განაგრძობს „იზვესტია“, რომ პოლონეთმა იცნო საბჭოთა კავშირი, რომლის შემადგენლობაშიაც თანასწორუფლებიან წევრად შედის დამოუკიდებელი საქართველო. ამ რიგად პოლონეთის ხელისუფალნი აშკარად არღვევენ საერთაშორისო ვალდებულებებს რომელიც იკისრა ჩვენს წინაშე პოლონეთმა.

„პრავდა“ პოლონეთის ფაშისტების თავხედობის შესახებ

(ტელეგრაფით ჩვენი მოსკოველი კორესპონდენტისაგან)

მოსკოვი, 7 ივნისი. „პრავდა“ თავის დღევანდელ ნომერში ეხება იმ ფაქტს, რომ პოლონეთის ოფიციალური წარმომადგენლები დაესწრნენ ქართული ემიგრანტების მიერ 26 მაისს გამართულ კრებას და უკრაინის ატამან პეტლიურას პანაშვიდს. გაზეთი სწერს:

შინაური მდგომარეობა უკარნახებს პოლონეთის მთავრობას, რომ თავისი მშრომელი მასების ყურადღება მან მიაპყრას საერთაშორისო საკითხებს. ის მეტად კეთილ-შობილური ჟესტიკულიაცია და ფრაზეოლოგია, რომელსაც იჩენენ პოლონეთის გაზეთები „ჩაგრულ“ საქართველოსა და, უკრაინის მიმართ საუკეთესოდ ახასიათებს პოლონეთის პრესის შულერობას. ვარშავის პრესა ცდილობს სინამდვილის აშკარა დამახინჯებით გაიდეს ფონს.

პოლონეთის ხელისუფალთა გაზეთების უკანასკნელი პროვოკაციული გამოსვლა ზიზღისა და აღშფოთების გარდა ვერაფერს გამოიწვევს საბჭოთა კავშირისა და თვით პოლონეთის მშრომელთა შორის.

პოლონეთის ფაშიზმის პროვოკაცია

(ტელეგრაფით ჩვენი მოსკოველი კორესპონდენტისაგან)

მოსკოვი, 7 ივნისი. „პრავდა“ უკანასკნელ ნომერში მეორეთ ეხება პოლონეთის ფაშიზმის პროვოკაციულ მუშაობას და სწერს:

„მიუხედავად იმისა, რომ პოლონეთმა მოაწერა ხელი მოსკოვის ოქმს, უკანასკნელი თვეების მაგალითები მოწმობენ, რომ ანტისაბჭოთა განწყობილება პოლონეთის სამხედრო წრეებში ოდნავადაც არ შესუსტებულა. სწორედ მას შემდეგ, რაც ხელმოწერილ იქნა აღნიშნული ოქმი, უფრო გახშირდა პოლონეთის მთავრობის პროვოკაციული გამოსვლები საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ“.

ამის შემდეგ გაზეთი აღნიშნავს პოლონეთის ოფიციალური წრეების პოზიციას და პოლონეთის პრესის გაცოფებულ კამპანიას აპანასევიჩის და ვოიცეხოვსკის საქმის გარშემო.

„საქართველოს „დამოუკიდებლობის“ წლის თავის აღნიშვნა და პეტლიურას პანაშვიდი ერთ და იგივე ხელის საქმეა. ეს კამპანია შედეგია იმ წრეების ზეგავლენისა, რომელნიც დაინტერესებულნი არიან პოლონეთ-საბჭოთა კავშირის ურთიერთობის გამწვავებით. საქართველოს ემიგრაციის მიერ ვარშავაში გამართული „ზეიმი“ შესდგა იმ დროს, როცა ლვოვში მოეწყო ებრაელთა დარბევა. რამდენიმე დღეა, რაც პოლონეთის ნაციონალისტური სტუდენტობის ბანდები თავისუფლად დასეირნობენ ლვოვის ქუჩებში და ხელისუფლება მათ წინააღმდეგ არავითარ ზომებს არ ღებულობს. ეს ბანდები აწიოკებენ ებრაელებისა და უკრაინელების დაწესებულებებს და სცემენ გამვლელებს. აი, ასეთ თავისუფლებას ჰპირდებიან პოლონელი ფაშისტები „ჩაგრულ“ საქართველოს.

პოლკოვნიკური მთავრობა საგარეო ავანტიურაში ეძებს გამოსავალს იმ მძიმე შინაურ კრიზისიდან, რომელსაც განიცდის პოლონეთი. ეს ფაქტი პოლონეთის ხელისუფლების სისუსტის ნიმუშია. ჩვენ საკმაოდ ძლიერნი ვართ იმისათვის, რომ დამშვიდებით ავწონ-დავწონოთ პოლონეთის პრესის დორბლმორეული გამოსვლა საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ და პოლონეთის ხელისუფალთა პროვოკაციული ნაბიჯები“.

სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო ამხანაგობების მუშაობა

(საქ. სას.-სამ. კრედიტის სისტემის ინსპექტორთა თათბირი)

თათბირის მესამე სხდომაზე მოსმენილი იქნა რაიონების ინსტრუქტორების მოხსენებები ვადა გადასულ სესხების აკრეფის შედეგების შესახებ. მოხსენებებიდან გამოირკვა, რომ კამპანიის განმავლობაში აკრეფილ იქნა ვადაგადასული სესხების 34 პროცენტი. გამოირკვა, რომ ზოგიერთ ამხანაგობებში კამპანია ვერ იქნა გაშლილი სათანადოთ. ამ ამხანაგობების მმართველმა ორგანოებმა ვერ გამოიჩინეს შესაფერი ინიციატივა და არ მიიღეს ზომები ვადაგადასული სესხების ასაკრეფად. ასეთი უმოქმედობისათვის პასუხისგებაშია მიცემული ბოლდათის სას.-სამ. საკრედიტო ამხანაგობის გამგეობა.

მიუხედავად იმისა, რომ კამპანიის ვადა უკვე დამთავრდა ამხანაგობები ადგილებზე განაგრძობენ ფართო მუშაობას ვადა გადასული სესხების ასაკრეფად.

შემდეგ მოსმენილი იქნა მოხსენება საანგარიშო - საარჩევნო კამპანიის შედეგების შესახებ. მომხსენებლებმა აღნიშნეს, რომ მიმდინარე წლის საანგარიშო - საარჩევნო კამპანია ჩატარებული იქნა საქმიანი და ფართო თვითკრიტიკის ნიშნის ქვეშ და საგრძნობლად გაიზარდა რწმუნებულების აქტივობა. მმართველი ორგანოების სოციალური შემადგენლობა საგრძნობლად გაუმჯობესდა.

მეოთხე სხდომაზე, 7 ივნისს დილით, მოსმენილი იქნა სას.-სამ. კრედიტის ინსპექტორ შ. ფოფხაძის მოხსენება ანგარიშწარმოებისა და ანგარიშგების მდგომარეობის შესახებ.

მოხსენებიდან გამოირკვა, რომ უკანასკნელ ხანებში ძირითად ამხანაგობებში საგრძნობლად დაეცა საანგარიშო დისციპლინა. ზოგიერთ ამხანაგობებში ანგარიშწარმოება ჩამორჩენილია 6-7 თვით, საერთოდ კი 2-3 თვით, ეს გარემოება აიხსნება ანგარიშწარმოების სისტემის გართულებით.

მომხსენებელი აღნიშნავს, რომ ამჟამად შემუშავებულია ანგარიშწარმოების გამარტივებული ფორმა, რომელიც ამხანაგობებს საშუალებას მისცემს თავის დროზე მიაწოდონ სას.-სამ. ბანკს საჭირო ანგარიშები. საერთოდ საჭიროა მთელი ანგარიშწარმოების გამარტივება, რომ საანგარიშო დისციპლინა დაყენებული იქნეს სათანადო დონეზე.

მოხსენების შემდეგ არჩეული იქნა კომისია, რომელსაც დაევალა შეიმუშაოს სათანადო პრაქტიკული ღონისძიებები.

მიტინგები და კრებები საქართველოში

დავიცავთ ოქტომბრის მონაპოვართ

რკ. გზის დეპოს მუშების ხმა

რკ. გზის დეპოს მუშათა მიტინგზე, რომელიც შესდგა გუშინ, ნაშუადღევის 2 საათზე სავაგონო პარკში, პოლონეთის მთავრობის პროვოკაციული ხრიკების შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. შუგირაძემ.

„ჩვენ არ გვინდა ომი, მაგრამ ყველა მათ, ვინც განიზრახავს ჩვენს სამტროდ ხელის აღმართვას, ჩვენ სასტიკ წინააღმდეგობას გაუწევთ. სისხლით მოპოვებულ თავისუფლებას სისხლითვე დავიცავთ“.—აღნიშნავდნენ კამათში გამოსული მუშები. მიღებულ რეზოლიუციაში ნათქვამია, რომ საბჭოთა კავშირის მშრომელები არ დააყოვნებენ მთავრობის პირველი მოწოდებისთანავე წინააღმდეგობა გაუწიონ როგორც პოლონეთის, ისე სხვა ქვეყნის იმპერიალისტებს, თუ კი ისინი შეეცდებიან ოქტომბრის მონაპოვართა ხელის შეხებას.

უკუვაგდებთ ფაშისტურ პროვოკაციას

(მიტინგი სტალინის სახელობის ქარხანაში)

გუშინ, 7 ივნისს, ნაშუადღევის 2 საათზე შესდგა ამხ. სტალინის სახელობის ორთქლმავალ - ვაგონების შემკეთებელი ქარხნის მუშა - მოსამსახურეთა კრება, რომელზედაც მოსმენილი იქნა ამხ. ბედიას მოხსენება პოლონეთის მთავრობის პროვოკაციული გამოსვლების შესახებ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ.

მიტინგის მიერ მიღებულ რეზოლიუციაში ნათქვამია:

„პოლონეთის მთავრობის ოფიციალურ წარმომადგენელთა მონაწილეობა ქართველ მენშევიკების „მოგონების საღამოზე“ და აგრეთვე „პოლონეთის ყოფილ მოკავშირე“ — პეტლიურას პანაშვიდზე, წარმოადგენს ჩვენი ქვეყნის საქმეებში დაუშვებელი ჩარევის ფაქტს.

თუ ფაშისტური პოლონეთი მიუხედავათ ჩვენი სამშვიდობო პოლიტიკისა, მსოფლიო იმპერიალისტებთან ერთად მოისურვებს ჩვენი დამოუკიდებლობის შელახვას, საბჭოთა ქვეყნის მშრომელები სხვა ქვეყნის პროლეტარიატთან ერთად აღსდგებიან ოქტომბრის რევოლიუციის მონაპოვართა შესანარჩუნებლად“.

განვამტკიცებთ თავდაცვის უნარიანობას

მე-5 სტამბის მუშათა პროტესტი

მოისმინა რა ცნობა პოლონეთის მთავრობის უკანასკნელი გამოსვლების შესახებ, მე-5 სტამბის მუშათა საერთო კრება სასტიკ პროტესტს აცხადებს პოლონელ პანების პროვოკაციული მოქმედების წინააღმდეგ.

საბჭოთა კავშირის პროლეტარიატმა და გლეხობამ თავის ტერიტორიიდან განდევნა კაპიტალისტები, მათი დამქაშები და შეუდგა მშვიდობიან სოციალისტურ მშენებლობას. ბურჟუაზიული ქვეყნები, და პირველ რიგში კი პოლონეთი, უჩვეულო სტუმართმოყვარეობას იჩენენ ჩვენი მოსისხლე მტრების — თეთრ ემიგრანტებისა და ცრუ სოციალისტების — მენშევიკების მიმართ.

საბჭოთა მთავრობა მტკიცედ იცავს მშვიდობიანობის ხაზს, მაგრამ, თუ პოლონელი ფაშისტები მაინც დაარღვევენ მშვიდობიანობას, ჩვენ, საქართველოს მუშები და გლეხები, საბჭოთა კავშირის ყველა მშრომელებთან ერთად, დავამტკიცებთ, რომ მენშევიკები და ყველა სხვა ჯურის კონტრ - რევოლიუციონერები ჩვენი ქვეყნიდან განდევნილი არიან მუშათა კლასის ურყევი ნებით.

პანების პროვოკაციის საპასუხოდ განვამტკიცებთ საბჭოთა კავშირის თავდაცვის უნარიანობას!

ჩვენ არავის ნებას არ მივცემთ ილაპარაკოს ჩვენი სახელით და მოატყუოს მსოფლიო პროლეტარიატის საზოგადოებრივი აზრი!

ძირს დამოუკიდებელ საქართველოს არამკითხე „დამცველები“.

პროვოკაციით ვერაფერს დაგვაკლებენ

(ავეჯეულობის ფაბრიკა)

მიტინგზე, რომელიც გამართა ავეჯეულობის ფაბრიკაში და რომელზედაც პოლონეთის პროვოკაციის შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. ლანჩინსკიმ, ფაბრიკის მუშა-მოსამსახურეების მიერ მიღებულ რეზოლიუციაში ნათქვამია:

„ავეჯეულობის ფაბრიკის მუშა-მოსამსახურეები, ვაცხადებთ რა სასტიკ პროტესტს პოლონეთის და ინგლის-საფრანგეთის იმპერიალისტების მიმართ, რომლებიც საბჭოთა კავშირის და კერძოდ საქართველოს წინააღმდეგ მიმართავენ პროვოკაციულ საშუალებებს და ჭორებს, ფიცსა ვსდებთ, რომ ამის საპასუხოდ ხელს შევუწყობთ ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციას და თავდაცვის უნარიანობის განმტკიცებას.

საბჭოთა მთავრობა ახორციელებს მშვიდობიან პოლიტიკას და თუ, მიუხედავად ამისა, ვინმე გაბედავს ჩვენთვის ხელის შეშლას მშვიდობიან აღმშენებლობაში, ჩვენ მზად ვიქნებით, როგორც ერთი კაცი, სათანადო პასუხი გავცეთ იმპერიალისტების განზრახვებს“.

საპროტესტო მიტინგები გაიმართა აგრეთვე ტრამვაის სახელოსნოებში, თბილისის ელექტრო-მექანიკურ ქარხანაში, პოლიგრაფტრესტის პირველ და მეორე სტამბაში და სხვა.

ეს ნაბიჯი ჩვენს შინაურ საქმეში ჩარევაა

ჭიათურის მუშები

7 ივნისს ჭიათურის რაიონის ყველა ქარხნებსა და მაღაროებში შესდგა მუშების საპროტესტო მიტინგები ვარშავაში საქართველოდან გაძევებული ემიგრანტების საზეიმო კრებაზე პოლონეთის მთავრობის წარმომადგენლის მონაწილეობის გამო. გამოტანილ რეზოლიუციებში მუშები ერთსულოვნად გამოსთქვამდნენ ღრმა აღშფოთებას როგორც განდევნილი მენშევიკების, ისე პოლონეთის მთავრობის უმსგავსო მოქმედების წინააღმდეგ, რომელიც ნიშნავს საბჭოთა ქვეყნის შინაური საქმეებში უხეშ ჩარევას პოლონეთის მხრივ.

ღირსეულ პასუხს გავცემთ მშრომელთა მტრებს

ქუთაისის მუშების ხმა

(ტელეფონით ჩვენი ქუთაისელი კორესპონდენტისაგან)

7 ივნისს, რიონზესის 1-ლი და მეორე დისტანციების და რკინისგზის მოძრაობის დარგის და დეპოს მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრებებზე, რომლებსაც დაესწრო ორი ათასამდე კაცი, გაკეთებულ იქნა მოხსენებები პოლონეთის ფაშისტურ მთავრობის პროვოკაციის შესახებ. მუშა-მოსამსახურენი აღშფოთებას გამოსთქვამდნენ პოლონეთის ფაშისტების მორიგ პროვოკაციულ გამოსვლის გამო.

კრებების მიერ მიღებულ რეზოლუციებში, სხვათა შორის, ნათქვამია:

„პოლონეთის მთავრობის უკანასკნელი გამოქომაგება საქართველოს ტერიტორიიდან გაძევებულ მენშევიკებისადმი, კიდევ ნათელჰყოფს ფაშიზმის და ყველა ჯურის იმპერიალისტების მტაცებლურ პოლიტიკას, რომელიც მიმართულია, როგორც ჩვენი კავშირის, ისე მსოფლიო მუშათა კლასის წინააღმდეგ. საქართველოდან გაძევებული მენშევიკები თავს აფარებენ პოლონეთის ფაშიზმს. ისინი მზათ არიან გასცენ მუშურ-გლეხური ხელისუფლება და ხელმეორეთ დაიმონონ მუშათა კლასი, მაგრამ საქართველოს მშრომელი ხალხი მოღალატეებს არ მისცემს ამის უფლებას. ჩვენ არ გვსურს ომი. ჩვენი ხელისუფლების პოლიტიკაა მშვიდობიანობა, მაგრამ თუ ვინმე განიზრახავს ჩვენი საზღვრების გადმოლახვას, ჩვენ საქართველოს მშრომელები ღირსეულ პასუხს გავსცემთ მშრომელი ხალხის მტრებს“.

მესხი.

ქუთაისი, 7 ივნისი.

ხელები შორს საბჭოთა საქართველოსაგან

(ტელეფონით გორიდან)

7 ივნისს, საღამოს 7 საათზე გორის ქალაქის ბაღში შესდგა გრანდიოზული მიტინგი, რომელზედაც ამხ. კალანდაძემ მოხსენება გააკეთა ქართველ მენშევიკების უტიფარი მოქმედების შესახებ პოლონეთის ტერიტორიაზე. მიტინგზე სიტყვებით გამოვიდნენ აზნევეთის მუშები და უნგრეთის პოლიტემიგრანტი ამხ. მიკოლიკი, რომელმაც მიტინგს გააცნო თეთრგვარდიელების და მენშევიკების თარეში პოლონეთში და აღნიშნა, რომ საბჭოთა კავშირიდან გაძევებული კონტრ - რევოლიუცია ცდილობს მოაწყოს ინტერვენცია საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ.

მიტინგმა ერთხმად აღნიშნა, რომ საქართველოს მშრომელები ყოველთვის მზათ არიან დაიცვან საბჭოთა ხელისუფლება, რომელიც გამოხატავს მშრომელთა ინტერესებს. დღეს, ჟორდანია-რამიშვილებმა ულოკონ ჩექმები ბურჟუაზიას.

„ხელები შორს საბჭოთა საქართველოდან“, ნათქვამია მიღებულ რეზოლუციაში, ჩვენ ვიბრძვით მშვიდობიანობისათვის და მოსალოდნელ იმპერიალისტურ ომის დროს ევროპის მუშათა კლასს მოუწოდებთ სამოქალაქო ომისაკენ.

მიტინგმა დაავალა პროფბიუროს და სამაზრო აღმასკომს მისასალმებელი დეპეშა გაუგზავნოს საკავშირო სახკომსაბჭოს და საქ. კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს.

8 ივნისს მუშაობის დამთავრების შემდეგ დაიწყება მუშებისა და წითელი არმიის ნაწილების დემონსტრაცია.

მგელაძე.

გორი, 7 ივნისი.

არ დაგვივიწყია მენშევიკების ღალატი

(გურჯაანის რკინისგზელების პროტესტი)

გურჯაანის მუშათა, მოსამსახურეთა და გლეხობის საერთო კრებამ მოისმინა ცნობა ვარშავაში ქართველ მენშევიკების მიერ საქართველოს მენშევიკურ „დამოუკიდებლობის“ 10 წლის თავის აღსანიშნავ საზეიმო სხდომის გამართვისა და მასზე პოლონეთის მთავრობის წარმომადგენელთა მონაწილეობის შესახებ. გურჯაანის რკინისგზელი მუშები და მოსამსახურენი ულრმეს აღშფოთებას გამოსთქვამენ ამ უმსგავსოების გამო.

ქართველი მშრომელი ხალხის სისხლით მოვაჭრე მენშევიკები პოლონეთის ბურჟუაზიასთან ერთად დღესასწაულობენ იმ „დამოუკიდებლობის“ გამოცხადების წლის თავს, რომელმაც მოძმე ერთა შორის უაზრო ბრძოლებით სისხლისაგან დასცალა ა.-კავკასიის მუშები და გლეხები, გაანადგურა ქვეყნის ეკონომიური დოვლათი, გაალატაკა მოსახლეობა და პოლიტიკურ უფლებააყრილი საქართველო დაუქვემდებარა ევროპას, განსაკუთრებით კი ინგლისის იმპერიალიზმის აგენტების გავლენას.

გურჯაანის მუშები, მთელი საქართველოს მშრომელ მოსახლეობასთან ერთად, ზიზღით იგონებენ მენშევიკების მოღალატურ საქმიანობას და იმ „დამოუკიდებლობას“, რომელიც მათ ქართველ ხალხს მოახვიეს და რომელიც სინამდვილეში ჩვენი ქვეყნის კოლონიად გადაქცევას უდრიდა. პოლონეთის ოფიციალური წრეების მისალმება მენშევიკების ზეიმზე გამოხატავს პოლონეთის მთავრობის აშკარა მტრულ ზრახვებს პროლეტარული სახელმწიფოსადმი.

კრება სასტიკ პროტესტს აცხადებს ხსენებულ პროვოკაციულ ნაბიჯების გამო. კრება პროტესტს აცხადებს იმის გამოც, რომ საქართველოდან გაძევებული და ევროპის ბურჟუაზიის კალთებში შეხიზნული მოღალატე მენშევიკები კიდევ უსირცხვილოდ ატარებენ „საქართველოს მთავრობის“ სახელს.

ძირს კაპიტალიზმის პირწავარდნილი აგენტი—მენშევიზმი!

ძირს პოლონეთის და მთელი ქვეყნის რეაქცია!

გაუმარჯოს საბჭოთა სოციალისტურ საქართველოს!

გაუმარჯოს პროლეტარიატის დიქტატურას

ზიზღი მოღალატე—მენშევიკებს

სამტრედიაში

(ტელეგრაფით სამტრედიიდან)

7 ივნისს სამტრედიაში შესდგა მუშების მრავალრიცხოვანი საპროტესტო მიტინგი და დემონსტრაცია პოლონეთის მთავრობის პროვოკაციული გამოსვლის გამო. მიტინგმა, მოისმინა რა ცნობა და მუშების სიტყვები ამ საკითხზე, ერთსულოვანი სასტიკი პროტესტი და ზიზღი გამოსთქვა სისხლიან პილსუდსკის მთავრობის წინააღმდეგ. გამოტანილი რეზოლუცია აღნიშნავს ბურჟუაზიის და სოციალ - გამცემლების შა ზრახვებს პროლეტარულ დიქტატურის მი მართ და მოუწოდებს მშრომელებს უფრ გააძლიერონ მუშაობა ქვეყნის თავდაცვის თვის და სოციალისტურ მშენებლობის სამარჯვებლად.

სოციალისტური შეჯიბრება

ხონის ძაფ-სახვევ ფაბრიკაში შრომის ნაყოფიერება 30 პროც. გაიზარდა

თბილისის ტრამვაელები იწვევენ ბაქოს და ხარკოვის ტრამვაელებს

ჯილდო შეჯიბრებაში გამარჯვებულებს

(ხონის ძაფსახვევი ფაბრიკა)

ამხ. მ. კახიანის სახელობის ხონის აბრეშუმის ძაფსახვევ ფაბრიკაში სოციალისტური შეჯიბრების მნიშვნელობა ჩვენს სოციალისტურ მშენებლობაში საკმაოდ იქნა გაშუქებული. შეჯიბრება ფაბრიკის განყოფილებებს და მუშებს შორის დაიწყო ამა წ. 1-ლ მაისიდან. ფაბრიკის ორივე ცვლის მუშები დაყოფილი იქნენ ოთხ სექციად. სექციათა შორის ფართოდ გაიშალა შეჯიბრება. გამარჯვებული ცვლისათვის ან სექციისათვის დაინიშნა ჯილდო. ამის გამო მუშები უფრო ინტენსიურად და ენერგიულად მუშაობდნენ. მაგრამ მუშაობას ხელს უშლის ნედლი მასალის უქონლობა და მისი ხარისხის უვარგისობა. მიუხედავათ ამისა მუშებს შრომის ხალისი მაინც არ ეკარგებათ.

ფაბრიკაში სოციალისტური შეჯიბრების გამოცხადების დღიდან 15 დღეს შემდეგ, მუშებმა ალტაცებით შეამოწმეს შეჯიბრების შედეგები. 28 მაისს შესდგა ფართო საწარმოო თათბირი, რომელსაც მუშების უმრავლესობა დაესწრო. სიმულიანტები, შრომის დეზერტირები და სხვა ჯურის მავნებლები არსად ჩანდნენ. როგორც გამოირკვა თათბირზე, შრომის ნაყოფიერება საგრძნობლად გაიზარდა.

მიუხედავათ იმისა, რომ ქარხანას უხდებოდა მუშაობა სამტრედიიდან მიღებულ ნახევრად შავ ჩხარზედ, რომელიც ცუდ ნედლ მასალად ითვლება, შრომის ნაყოფიერება, ერთ აუზ-დღეზე მაინც საშუალოდ 301—400 გრამამდე აღწევს, ე. ი. შრომის ნაყოფიერება სოციალისტურ შეჯიბრების დაწყების შემდეგ გაიზარდა დაახლოებით 30 პროცენტამდე. ცვლებს შორის ჯილდო ხვდა პირველ ცვლას, რომელმაც აჯობა მეორე ცვლას ერთ აუზ-დღეზე 25 გრ. ძაფის ამოღებით. ინდივიდუალურ შეჯიბრებაში პირველობა ხვდა ამხ. ქეთო კირთაძეს. შრომის დისციპლინა მტკიცდება, გაცდენები არა საპატიო მიზეზებით 18 პროცენტამდე შემცირდა, უვარგისი საქონლის გამოშვება კი 30 პროცენტით. დასასრულ წაკითხულ იქნა მიმდინარე წლის მეოთხე კვარტალის საწარმოო გეგმა, რომლის მიხედვით ფაბრიკამ მეოთხე კვარტალის განმავლობაში შრომის ნაყოფიერება უნდა გაზარდოს 21 პროცენტამდე და პროდუქციის თვითღირებულება კი 4—5 პროცენტამდე შეამციროს.

დასასრულ თათბირმა შეჯიბრებაში გამოიწვია საქართველოს აბრეშუმის ტრესტის ყველა ფაბრიკები.

დავით ჯანგავაძე

გამოვიწვიეთ ბაქოს და ხარკოვის ტრამვაელები

თბილისის ტრამვაელთა საერთო კრებას, რომელზედაც ირჩეოდა სოციალისტურ შეჯიბრებასთან დაკავშირებული სხვადასხვა საკითხები, მუშა - მოსამსახურეების გარდა დაესწრო აგრეთვე ტეხნიკური პერსონალი.

მოხსენება სოციალისტური შეჯიბრების შესახებ გააკეთა ამხ. ცაბაძემ. მან გააცნო კრებას საინიციატივო ჯგუფის მუშაობა, რომელსაც დავალებული ჰქონდა შეემუშავებია სოც. შეჯიბრების ხელშეკრულების პროექტი ბაქოელ და ხარკოველ ტრამვაელებთან დასადებათ.

კრებამ მოიწონა წარმოდგენილი პროექტი და დაადგინა გამოიწვიოს სოციალისტურ შეჯიბრებაში ხარკოველი და ბაქოელი ტრამვაელები.

რეზოლიუციაში, რომელიც მიღებული იქნა კრების მიერ, თბილისის ტრამვაის მუშები პირობას სდებენ, რომ ისინი პირნათლად შეასრულებენ ხელშეკრულების ყოველივე მუხლს, გაატარებენ ცხოვრებაში ყველა ღონისძიებებს, რომლებიც ხელს შეუწყობენ შრომის დისციპლინის განმტკიცებას, შრომის ნაყოფიერების აწევას, თვითღირებულების შემცირებას და პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებას.

ი.

შეჯიბრება საფ.-საქარხნო სკოლებში

(ა.-ქ. რკ. გზ. საქარხნო - საფაბრიკო სკოლა)

8 ივნისს, რკ. გზის საქარხნო - საფაბრიკო სკოლაში შესდგა მოწაფეთა საერთო კრება, რომელზედაც სოციალისტური შეჯიბრების შესახებ მოხსენებით გამოვიდა სკოლის უფროსი. მომხსენებელმა განუმარტა დამსწრეთ სოციალისტურ შეჯიბრების მნიშვნელობა და მოუწოდა ყველას ჩაებან შეჯიბრებაში.

მოხსენების შემდეგ კრება გაეცნო ბაქოს საქარხნო - საფაბრიკო სკოლის მოწაფეთა გამოწვევას და შეიმუშავა პოლიტიკურ-სამეურნეო ხელშეკრულების გეგმა, რომელშიაც გათვალისწინებულია შემდეგი პირობები: შრომის დისციპლინის განმტკიცება, ნაწარმოების ხარისხის გაუმჯობესება, ნედლი მასალის ეკონომიურად გამოყენება, შრომის ნაყოფიერების 10 პროცენტით გადიდება, ბრძოლა ბიუროკრატიზმთან, ხულიგნობასთან და სხვა.

დასასრულ კრებამ შეჯიბრებაში გამოიწვია ლენინაკანის საქარხნო - საფაბრიკო სკოლა. გარდა ამისა, სკოლის სახელოსნოში მომუშავე ახალგაზრდები შეჯიბრებაში იწვევენ ერთი მეორეს. საზეინკლო სამქრომ გამოიწვია სახარატო, საქვაბე და სადურგლო სამქრო.

ს. მუშფაკელი.

შრომის ნაყოფიერება გაიზარდა

(სად. სვირი)

სალიანდაგო განყოფილების მესამე უბნის მე-7-დე სამსტატოში სოციალისტურმა შეჯიბრებამ უკვე გამოიღო ნაყოფი. შეჯიბრებამდე მუშები სცვლიდნენ ექვს-ექვს შპალს 8 საათის განმავლობაში, შეჯიბრების შემდეგ კი სცვლიან რვა-რვა შპალს. ზოგ ალაგას, მუშები სცვლიან 9—10 შპალს.

მაგრამ აღსანიშნავია ის გარემოება, რომ შპალების გამოცვლას რკ. გზის ლიანდაგზე ხელს უშლის ხრეშის უვარგისობა, იქ, სადაც ხრეში კარგია, მუშაობა უკეთესად მიმდინარეობს, ადმინისტრაციამ ყურადღება უნდა მიაქციოს ამ გარემოებას.

სულორისპირელი.

წარმოება ზარალობს

(კასპის ცემენტის ქარხანა)

კასპის ცემენტის ქარხანაში სამუშაოთა ხელმძღვანელის მოადგილეთ ითვლება მოქ. ალ. სარვა, რომლის მუშაობას წარმოებისათვის ზარალის მეტი არავითარი ნაყოფი არ მოაქვს. მისი უცოდინარობით და გამოუცდელობით წარმოება ზარალობს. მისი შეკვეთით და ნახაზით დამზადებული არმატურა არ გამოადგა სამუშაოს. საძირკვლების გათხრა, ნახაზების მიხედვით უნდა მომხდარიყო, მაგრამ სარვა ასე არ მოიქცა. ამანაც საკმაოდ დიდი ზარალი მიაყენა წარმოებას. საზეინკლო სამქროს შენობის აგების დროს, მისი პასუხისმგებლობით დაიდგა ბეტონის ჩასასხმელი ფორმები. ინჟ. ვ. ოგანეზოვმა და ხოზაცკიმ წინადადება მისცეს გაემაგრებინა ფორმები, რომ ქარს არ გადმოეგდო, მაგრამ ინჟენერების რჩევას სარვამ ყურადღება არ მიაქცია. ამის გამო ფორმები, რომლის დადგმაზე საკმაო თანხა დაიხარჯა, დაიმსხვრა.

გარდა ამისა, სარვა უხეშად არღვევს შრომის დაცვის კანონებს და კოლხელშეკრულებას: დურგლები მუშაობენ ცის ქვეშ. ასეთ პირობებში ზედმეტია ლაპარაკი შრომის დისციპლინის განმტკიცებაზე და წარმოების გაჯანსაღებაზე.

საჭიროა ამთავითვე ვიზრუნოთ ამ ნაკლის გამოსასწორებლად და გეგმიანი მუშაობის საწარმოებლად, თორემ ოთხ მილიონის ნაცვლად, რომელიც გათვალისწინებულია ხარჯთაღრიცხვაში. 8 მილიონი დაჯდება ქარხანა.

გულდამწვარი.

ყურადღება მუშათა წინადადებებს

ორთქლმავალთა და ვაგონების შემკეთებელ ქარხნის საქვაბო სამქროში მოვიდა ნახევრად დაშლილი ქვაბი № 479, რომლის ნახევარი ნაწილი სრულებით აღარ ვარგოდა, საჭირო იყო ახალი ნახაზის შედგენა. შეადგინეს კიდეც ეს ნახაზი, მაგრამ ქვაბის შემკეთებელი ჯგუფის ხელმძღვანელმა ამხ. ბარბაქაძემ ნახაზი დაიწუნა და მიმართა სამქროს გამგეს რათა გამოეცვალათ ნახაზი. ამასთანავე ამხ. ბარბაქაძეს შექონდა თავისი შესწორებანი, რომლითაც უფრო იაფი ჯდებოდა შეკეთება, მაგრამ მის წინადადებებს არავინ ყურადღება არ მიაქცია და ნახაზის მეორეთ გადაკეთების შემდეგ მაინც გაგრძელდა ქვაბის შეკეთება.

არც მეორეთ გადაკეთებული ნახაზი იყო სწორე. აქაც საჭირო შეიქნა შესწორებების შეტანა. რაზედაც მიუთითებდა მუშა ბარბაქაძე. დასრულდა ქვაბის შეკეთება, მაგრამ რა გამოვიდა? სამმართველოდან მოვიდა ტეხნიკოსი, მოიტანა ახალი ნახაზი და მოითხოვა ქვაბის ხელახალი გადაკეთება. ამან გამოიწვია დაახლოებით 600—700 მანეთის ზარალი. ეს ზარალი კი თავიდან აცდენილი იქნებოდა, რომ ამხ. ბარბაქაძის წინადადებებისათვის თავის დროზე მიექციათ ყურადღება და გადაეკეთებინათ ნახაზი.

ასეთ ყურადღებას აქცევს სახელოსნოს ადმინისტრაცია მუშათა წინადადებებს.

მუშა.

მოგვეცით ტეხნიკური მომუშავე

მესამე წელიწადია, რაც თბილისის საქ. სადგურში, რომელიც აერთიანებს 400 მეტ მუშა - მოსამსახურეს, მუშაობს საწარმოო თათბირი. პირველ ხანებში, რკ. გზის ადმინისტრაცია საწარმოო თათბირს აძლევდა მომუშავეს, რომელიც აწარმოებდა ტეხნიკურ მუშაობას (ოქმის შედგენა და გადაბეჭდვა), შემდეგ კი ადმინისტრაციამ ასეთზე უარი განაცხადა. ადგილკომმა არა ერთხელ მიმართა სადგურის უფროსს თხოვნით, რათა მიეცათ ერთი ტეხნიკური მომუშავე საწარმოო თათბირებისათვის. უკანასკნელმა ეს წინადადება თავის მხრივ აცნობა რკ. გზის ადმინისტრაციას, რომლისგანაც მიიღო შემდეგი პასუხი: „საწარმოო თათბირი სარგებლობს ადგილკომის აპარატით. ადმინისტრაცია ვალდებული არ არის მისცეს ტეხნიკური მომუშავე“.

საწარმოო თათბირის მუშაობაში და წარმოების აღორძინება - განვითარებაში დაინტერესებული უნდა იყვნენ როგორც მუშები, ისე სამეურნეო დარგის ხელმძღვანელებიც, მაგრამ როგორც ირკვევა აქ დაინტერესებას ადგილი არა აქვს ადმინისტრაციის მხრივ. აუცილებლად საჭიროა, რომ ყოველივე საქმიანი წინადადებები ჩამოყალიბდენ სათანადო ფორმაში, რისთვისაც საჭიროა ტეხნიკური მომუშავე. იმედია ამ ნაკლს გამოასწორებს რკ. გზის ადმინისტრაცია და საწარმოო თათბირს მისცემს ტეხნიკურ მომუშავეს.

ალ. ფრუიძე.

თბ. დეპო. ორთქლმავალის ცილინდრის შეკეთება

შავი ზღვის რკინის გზის სამუშაოები

სოხუმი, 7 ივნისი. სოხუმში ჩამოვიდა საკავშირო გზათა სახალხო კომისარიატის წარმომადგენელი ინჟენერი ლაზარევსკი, რომელმაც შავი ზღვის რკინის გზის აგების შესახებ განაცხადა შემდეგი:

„როგორც ვიცით, — სთქვა, ამხ. ლაზარევსკიმ, — გზათა სახალხო კომისარიატმა გადასწყვიტა — დააჩქაროს შავი ზღვის რკინის გზის დამთავრება. თავდაპირველად განზრახული იყო მისი დამთავრება მეორე ხუთწლედში, ეხლა კი გადაწყვეტილია დაიწყოს მისი ექსპლოატაცია ამ ხუთწლედის დამლევსვე. გზათა სახალხო კომისარიატის პირველი გადაწყვეტილების შეცვლა გამოიწვია ბაქო - თბილისის მაგისტრალს არაჩვეულებრივად დატვირთვამ. ამ მაგისტრალის განტვირთვა შეიძლება მხოლოდ ორი გზით: ბაქო - თბილისის მეორე, პარალელური, ხაზის აგებით ან შავი ზღვის რკ. გზის დამთავრებით. გზათა სახალხო კომისარიატმა უფრო მიზანშეწონილად სცნო მეორე ვარიანტი. ამის მიზეზი ორია: პირველი — რუსეთიდან თბილისში მომავალი ტვირთის გასავლელი მანძილის შემცირება 730 კილომეტრით, მეორე — შავი ზღვის რკ. გზის გაყვანა ხელსაყრელ პირობებს შეუქმნის შავი ზღვის მთელ სანაპირო რაიონის ეკონომიურ განვითარებას. ტვირთის გასავლელი მანძილის შემცირება სახელმწიფოს მისცემს 5—6 მილ. მანეთის ეკონომიას. შავი ზღვის რკინის გზის დამთავრებას სჭირია 50 მილ. მანეთი. ამგვარად, ტვირთის გასავლელი მანძილის შემცირებით შავი ზღვის მაგისტრალი მასზე გაწეულ ხარჯს დაფარავს 10 წლის განმავლობაში. გზათა სახალხო კომისარიატი ყოველგვარ ზომებს ღებულობს მუშაობის დასაჩქარებლად. ივნისში მაგისტრალის დამთავრების პროექტი დასამტკიცებლად წარედგინა საკავშირო სახელმწიფო საგეგმო კომისიას. მომავალ სამშენებლო სეზონში კი დაიწყება გზის გაყვანა ოჩემჩირიმდე. 1930 წელს დაიწყება ხიდის აგება მდინარე კოდორზე. ამ სამუშაოებთან ერთად შეუდგებიან ხაზის გაყვანას სამხრეთ ნაწილში. (ადს).

ადგილობრივი მეურნეობის საკითხები

(ადგილობრივ მეურნეობის მუშაკთა თათბირის გამო)

საქართველოს უმაღლესი სამეურნეო საბჭო 10 ივნისისათვის იწვევს ადგილობრივ მეურნეობის მუშაკთა მორიგ რესპუბლიკანურ თათბირს. იგი ერთი მხრით შეაჯამებს ცენტრის და ადგილების უკანასკნელი ორი წლის მუშაობას ადგილობრივ მეურნეობის დარგში და მეორე მხრით გარკვეულ გზას და უახლოეს პერსპექტივებს დასახავს შემდგომი საქმიანობისათვის.

თათბირი ეწყობა სახალხო მეურნეობის ხუთწლიანი გეგმის პირველ წელიწადს; ამ გეგმაში კი წარმოდგენილია ადგილობრივი მრეწველობის და კომუნალური მეურნეობის განვითარების გზებიც. საქართველოს ადგილობრივი მრეწველობა უკვე გამოვიდა აღდგენის პროცესიდან და სახელმწიფო მრეწველობასთან ერთად განვითარების ახალ საფეხურზე შესდგა. მისი გაერთიანება უმაღლეს სამეურნეო საბჭოს ხელმძღვანელობით და ის გეგმიანობა, რომელიც შეტანილი იქნა უკანასკნელ ორ წელიწადს ამ ფრიად მნიშვნელოვან მეურნეობაში, ცხადჰყოფს, რომ ადგილობრივი მრეწველობის განვითარებას საქართველოს ეკონომიკაში, მისი მრავალფეროვანი სოფლის მეურნეობით, უაღრესად დიდი მომავალი აქვს; ის ყოველ მიზეზს გარეშე უნდა შევიდეს სახალხო მეურნეობის სისტემაში, როგორც ერთ - ერთი დიდი ფაქტორი.

ამიტომ, განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ადგილობრივი მეურნეობის წარსული მუშაობის შესწავლას და შეფასებას, ამ მხრივ არსებულ ყველა მიღწევის და ნაკლის გამორკვევა, რაც საშუალებას მოგვცემს განსაზღვრული ხაზი ავიღოთ ადგილობრივ მრეწველობის კაპიტალურ მშენებლობაში.

ზოგიერთ რაიონში უკვე ჩამოყალიბდა ადგილობრივი ეკონომიკა და ამასთან დაკავშირებით საფუძვლიანი ნიადაგი ჩაეყარა კაპიტალურ მშენებლობას, ზოგიერთი რაიონი კი ამ მხრით ჯერ შეუსწავლელი და გამოურკვეველია. და იქ ასეთი მშენებლობა არ წარმოებს. თათბირმა ხსენებული ნაკლი უნდა შეავსოს და გამოაშკარაოს ის შესაძლებლობანი, რომელნიც ამგვარ რაიონებში არსებობენ.

ადგილობრივ მრეწველობის ზრდასთან მჭიდროდაა დაკავშირებული ჩვენი კომუნალური მეურნეობა და მისი წინსვლა. საბჭოთა ხელისუფლების დროს საქართველოში გაჩნდა მთელი რიგი მსხვილი სამრეწველო ცენტრები ისეთ ადგილებში, სადაც წინად ამისი ჩანასახიც არ ყოფილა მრეწველობის უახლოესი ამოცანები კომუნალურ აღმშენებლობას და მის ზრდას უყენებენ განსაკუთრებულ მოთხოვნილებებს. არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ კომუნალურ მეურნეობაში საგრძნობი მიღწევები გვაქვს და იქ დიდძალი თანხა დაიბანდა უკანასკნელ ხანებში. მიუხედავათ ამისა, მაინც უნდა ითქვას, რომ ჩვენს მშენებლობაში კომუნალურ მეურნეობას ის ადგილი კიდევ ვერ უჭირავს, რომელიც მას მიკუთვნილი აქვს, მაშასადამე, საჭიროა მივაქციოთ საზოგადოებრივი აზრის ყურადღება კომუნალურ მეურნეობაზე და ფართე მასებს განუმარტოთ მის წინაშე მდგარი ამოცანები.

აქაც, ისე, როგორც მრეწველობაში, ხუთწლიანი გეგმების და საკონტროლო ციფრების დამუშავების დროს, საჭიროა გამოირკვეს ჩვენი ქალაქების მოთხოვნილებანი და იმ კაპიტალური დაბანდების რაოდენობა, რომელიც შეტანილ უნდა იქნეს კომუნალურ მშენებლობაში. გარდა ამისა, უნდა აღინიშნოს, რომ არსებული კომუნალურ საწარმოთა მოვლა - პატრონობა, მათი გონიერი და სარგებლიანი ექსპლოატაცია, მათი ადგილი ქალაქების ბიუჯეტში, ფინანსიური საშუალებების დაგროვება და მიზნობრივი დახარჯვა — აი მთელი ჯგუფი იმ საკითხებისა, რომლებიც ადგილებზე მოუწესრიგებელი არიან, რაც დიდ ზიანს აყენებს კომუნალურ მეურნეობას. სანიტარული ტეხნიკა - წყალსადენი, კანალიზაცია, აბანოები და ქალაქების კეთილმოწყობის სხვა დარგები — ეს კომუნალურ მეურნეობის მეორე მხარეა, რომელიც აგრეთვე მოითხოვს გაშუქებას. და განვლილ გამოცდილების მიხედვით შესაფერის პრაქტიკული ღონისძიებათა დასახვას საქმის გასაუმჯობესებლად.

კომუნალური მეურნეობის ხელმძღვანელობა 1927 წლიდან დღემდე დაკისრებული ჰქონდა უმაღლეს სამეურნეო საბჭოს და ამ ხნის განმავლობაში ეს თათბირი პირველად იმართება სამეურნეო საბჭოსთან. იმის მიუხედავათ, თუ როგორი ორგანიზაციული ფორმა მიეცემა ადგილობრივ კომუნალურ მეურნეობათა ორგანოების დამოკიდებულებას სახელმძღვანელო უმაღლეს ორგანოსთან, თათბირმა უნდა შეიმუშაოს მთელი რიგი ღონისძიებები და საფუძვლად დაუდვას კომუნალური მეურნეობის მოვლა-პატრონობას და განვითარებას.

თათბირზე განხილული იქნება კიდევ საკითხი შინა - მრეწველობის შესახებ. ამ დარგში ჩაბმულია რამოდენიმე ათასი წვრილი შინა - მრეწველი. ისინი, სამწუხაროდ, ადგილობრივი მეურნეობის ორგანოებიდან მოკლებული არიან უახლოეს ხელმძღვანელობას და ყურადღებას. შინამრეწველობის განვითარება მიმდინარეობს ადგილობრივი მეურნეობის არა საკმაო ზეგავლენის ქვეშ, თუმცა უკანასკნელს ხელისუფლების მიერ და არსებული კანონმდებლობით დავალებული აქვს მისი ხელმძღვანელობა. მართალია, საქართველოს სინამდვილეში შინა-მრეწველობის ორგანიზაციულად ჩამოყალიბება და მისი, როგორც მთლიანი სახალხო მეურნეობის შემადგენელი ნაწილის, დაქვემდებარება სახელმწიფო ორგანოებისადმი, ახალი საქმეა, მაგრამ უკვე დროა ადგილობრივმა ორგანოებმა ცენტრთან ერთად უშუალო მონაწილეობა მიიღონ ამ აღმშენებლობაში და ის თავის გავლენას დაუქვემდებარონ. შინა - მრეწველობა იმდენად დიდი დარგია ჩვენს მეურნეობაში და დღევანდელ ეკონომიურ აღმშენებლობაში იმდენად დიდ როლს აკუთვნებს მას ხელისუფლება, რომ ხუთწლიან გეგმაში მას საპატიო ადგილი უჭირავს.

ასეთია საკითხები, რომელნიც უნდა განიხილოს თათბირმა.

განვლილი მუშაობის კოლექტიური და აქედან გამომდინარე კონკრეტიული სახელმძღვანელო ღონისძიებების შემუშავება — აი რა უნდა ახასიათებდეს ამ თათბირის საქმიანობას.

ა. კალანდაძე.

რა ხდება ადგილებზე

გაფლანგველები გორდის თემში (ქუთაისის მაზ.)

(ჩვენი კორესპონდენტისაგან)

გამოყოფილ სპეც. კომისიამ მოახდინა გორდის თემის ორგანიზაცია-დაწესებულებების გამოკვლევა. აღმოჩენილია მთელი რიგი ბოროტმოქმედებანი, პასუხისგებაში მიცემულია 1) აღმასკომის თავმჯდომარე გრ. უგულავა, 2) აღმასკომის მდივანი გ. ზერაგია, 3) ხეტყის დამზადების ხელმძღვანელი—იუსტ. ჩიხლაძე, 4) საკრედ. ამხ. გამგეობის წევრი სოსლან ჩიხლაძე, 5) ფოსტალიონი და ამავე დროს კომკავშირის უჯრედის მდივანი ვალ. მიქელაძე, 6) კოოპერაციის და საკრედ. ამხანაგობის თავმჯდომარე, ამავე დროს კომუჯრედის მდივანი ვლად. ჩიხლაძე (რომელიც მიიმალა), 7) ფოსტის გამგე—ჩიხლაძე და სხვები, რომლებსაც ბრალდებათ სისტემატიური ლოთობა, ხულიგნობა, უყაირათობა, დებოში; გაფლანგვები, უსისტემო მუშაობა და სხვ. გაფლანგული თანხის რაოდენობა თემში უდრის 11.571 მ. 17 კაპ.

ამასთანავე უნდა აღინიშნოს, რომ მოსალოდნელია მეტ გაფლანგვას ჰქონდეს ადგილი, მაგრამ ჯერ-ჯერობით ამისი სწორად გამორკვევა შეუძლებელი ხდება სათანადო საბუთების და წიგნების უქონლობის გამო. გამოკვლევა გრძელდება. გლეხობა მოითხოვს დამნაშავეთა საჭირო გასამართლებას და მათ სასტიკად დასჯას.

ი. ტეხურელი.

თათბირი კოლხეთის საცდელ სადგურის მოწყობის შესახებ.

ფოთი, 7 ივნისი. მიწათ - მოქმედების სახ. კომისარის ამხ. ჯუღელის თავმჯდომარეობით გაიხსნა თათბირი კოლხეთის საცდელ სადგურის მოწყობისა და სუბტროპიკული კულტურების მელიორაციის შესახებ. დღის წესრიგში შეტანილია ათამდე მოხსენება. პირველ სხდომებზე მოსმენილ იქნა მოხსენებები: ინჟ. კუზნეცოვისა — „კოლხეთის დაბლობის ამოშრობა“, გეოლოგის აკენტიევისა — „კოლხეთის დაბლობის ჰიდროლოგიური მიმოხილვა“ და დოცენტ გედევანიშვილისა — „კოლხეთის დაბლობის ნიადაგის გამოკვლევა“ (ადს)

ხელშეუხებელი ტყე

სოხუმი, 7 ივნისი. იმ მიზნით, რომ აფხაზეთის ბუნების დამახასიათებელი ნიმუშები შენარჩუნებულ იქნას ხელუხლებლად მეცნიერულ - საგამოკვლევო და კულტურულ საგანმანათლებლო ამოცანებისათვის, აფხაზეთის სახ. კომისართა საბჭომ გამოსცა დადგენილება, რომლის თანახმადაც სოხუმის მახლობლად მდებარე ტყე ცხადდება ხელუხლებელ ადგილად. ეს ტყე მდებარეობს ვენეციის ხეობაში, მდინარე ბესლის მახლობლად. ეს ტყე, რომლის სივრცე 85 ჰექტარს უდრის, კოლხეთის მრავალფეროვანი ფლორის იშვიათ ნიმუშს წარმოადგენს. (ადს)

ნაპირების გამაგრება

სოხუმი, 7 ივნისი. მალე დამთავრდება მუშაობა სოხუმის მაზრის მდინარეთა ნაპირების გასამაგრებლად. ვლადიმირის რაიონში მდინარე კოდორის მარცხენა ნაპირზე აგებს ორი ახალი და შეაკეთეს ერთი ძველი ჯებირი.

5 ივნისს წყლის დონემ მდინარე კოდორში უმნიშვნელოდ აიწია. სოფელ ვარჩაში წყალმა დაჰფარა 5 გლეხის კარმიდამო. რამდენიმე საათის შემდეგ წყალმა იწყო კლება. მდინარე კოდორის გადასაყვანად მარცხენა ნაპირიდან მარჯვენა ნაპირისაკენ სოფელ აძიუბჟასთან კეთდება არხი. არხი ამ დღეებში მზად იქნება. მუშაობაში ნაპირების გასამაგრებლად. შრომის დისციპლინის წესით, მონაწილეობა მიიღო მდინარე კოდორის მარცხენა ნაპირზე დასახლებული სოფლების გლეხობამ. (ადს)

ძლიერი სეტყვა

თელავი, 6 ივნისი. სოფელ კურდღელაურში, შალაურში, ენისელში, საბუეში და გრემში მოვიდა ძლიერი სეტყვა, რომელმაც ალაგ ალაგ დააზიანა მოსავალი. ზარალს არკვევენ. (ადს)

საცდელი გადანერგვა

თელავი, 6 ივნისი. „გულგულას“ კოლექტივში მოხდა შემოდგომაზე დათესილი ქერისა და პურის საცდელი გადანერგვა. შედეგი საოცარია. პური კაცის სიმაღლე გაიზარდა, თავთავი არაჩვეულებრივად დიდია. ყოველმა მცენარემ 20-დან 30-მდე თავთავი გამოიღო. (ადს)

სკოლების მშენებლობა

ახალქალაქი, 6 ივნისი. სამაზრო აღმასკომის ადგილობრივი მეურნეობის განყოფილებამ შეადგინა ხარჯთ-აღრიცხვა სოფ. განძაში, კოტელიაში, დიდ ხანჩალში და საჯამაში სკოლების ასაგებად. ხარჯთ-აღრიცხვა ითვალისწინებს 12.000 მანეთის დახარჯვას. სამაზრო აღმასკომის პრეზიდიუმმა დაავალა მაზრის სახალხო განათლებისა და ადგილობრივი მეურნეობის განყოფილებებს —თვალყური ადევნონ, რომ გაღებული სახსრების ხარჯვა გეგმიანად და მიზანშეწონილად სწარმოებდეს. (ადს)

ქაღალდის ქარხანა საქართველოში

ქარხნის საამშენებლო პროექტის განხილვა ს. მ. უ. ს. პრეზიდიუმის გაფართოებულ სხდომაზე



6 ივნისს შესდგა ს. მ. უ. ს. პრეზიდიუმის გაფართოებული სხდომა, რომელზედაც განხილულ იქნა ქაღალდის ქარხნის საამშენებლო პროექტი. პროექტისა და საერთოდ ქარხნის აგებასთან დაკავშირებული სხვადასხვა საკითხების შესახებ მოხსენება გააკეთა ქარხნის საამშენებლო კომიტეტის მთავარმა ინჟენერმა გ. კოჩინაშვილმა, რომელიც ქარხნის პროექტის დასამუშავებლად გერმანიაში იყო გაგზავნილი.

ინჟ. კოჩინაშვილმა ს. მ. უ. ს. პრეზიდიუმის გაფართოებულ სხდომას აცნობა, რომ გერმანიაში ჩასვლისთანავე მან მიიწვია ქაღალდის მრეწველობის ცნობილი სპეციალისტები, რომელთაც მიანდო პროექტის შესადგენათ შეკრებილი ყველა მასალების შესწავლა, ბიუროში სამუშაოთ მოწვეულ იქნენ ისეთი განთქმული სპეციალისტები, როგორიცაა პროფ. ფონ-ერენტალი, სატყეო აკადემიის რექტორი პროფ. კ. შვარზე და სხვ.

პროექტის შედგენის დროს ცალკე იყო გამოყოფილი ისეთი საკითხები, რომლებიც მოითხოვდენ დეტალურ შესწავლას. ასეთ საკითხებათ მიჩნეულ იქნა: ტყეებიდან გამოსატანი ხე-ტყის მასალის რაოდენობის საკითხი, ტრანსპორტის საკითხი, ტყეების ექსპლოატაციის წესი, ნარჩენი ხე-ტყის მასალის (ფიჩხი, ნახერხი, და სხვ.) გამოყენება წარმოებისათვის და სხვ. შეკრებილი მასალების შესწავლის პროცესში დადასტურდა, რომ სვანეთის ტყეებიდან შეიძლება გაცილებით მეტი რაოდენობის ხე-ტყის გამოტანა, ვიდრე ეს საჭიროა ქაღალდის ქარხნისათვის. ტყეების ექსპლოატაციის გეგმა კი დამუშავებულია იმგვარად, რომ ქარხნისათვის საჭირო მასალის გამოტანა არა თუ არ გამოიწვევს ტყეების განადგურებას, არამედ, პირიქით, ხელს შეუწყობს სატყეო მეურნეობის განვითარება-გაუმჯობესებას.

პროექტის ტეხნიკურათ შედგენა მიენდო ცნობილ გერმანულ ფირმას „ბრუდერჰაუზს“. უკვე დამუშავებული პროექტის ტეხნოლოგიური მხარის შესამოწმებლად მოწვეულ იქნენ ფრანგი და ავსტრიელი სპეციალისტები, რომლებმაც პროექტი სავსებით მოიწონეს.

შემდეგ ინჟ. კოჩინაშვილმა სხდომას გააცნო ქაღალდის დამზადების პროცესი შემუშავებული პროექტის თანახმად.

ქაღალდის ქარხანა, რომლის აგება გადაწყვეტილია ქალ. ზუგდიდიდან 3 კილომეტრის დაშორებით, ამუშავების პირველ წელიწადს გამოუშვებს 22.500 ტონა სხვადასხვა ქაღალდს. ქარხანა დაამზადებს — საწერ, საგაზეთო და შესახვევ ქაღალდებს და თამბაქოს მრეწველობისათვის საჭირო კარტონებს. გარდა ამისა ქარხანასთან მოწყობილი იქნება ქიმიური წარმოება, ე. წ. ხის სპირტის დასამზადებლად. იქვე აგებული იქნება ელექტრო-სადგური, რომელიც ელექტრო-ენერგიის გარდა ქარხნის სხვადასხვა ცეხებს მიაწოდებს საკმაო რაოდენობის ორთქლსაც.

ქარხნის მახლობლად გაშენებული იქნება მუშათა უბანი 200 კაცის საცხოვრებელი ბინით. სოფ. ოცარელიდან ქარხნამდე გაყვანილი იქნება დიდი არხი, რომლითაც იწარმოებს მოჭრილი ხე-ტყის მასალის გადმოზიდვა მდ. ენგურიდან ქარხნამდე. ქარხნის აგება დაჯდება 13.385.820 მანეთი.

ინჟ. კოჩინაშვილის მოხსენების გარშემო აზრთა გაცვლა - გამოცვლის შემდეგ. ს. მ. უ. ს. პრეზიდიუმის გაფართოებულმა სხდომამ გამოყო სპეციალური კომისია ინჟ. ბ. ჭიჭინაძის თავმჯდომარეობით, რომელსაც დაევალა პროექტის იმ ნაწილის დაწვრილებით შესწავლა, რომელიც ეხება ტრანსპორტს და საბინაო აღმშენებლობას.

კომისიის დასკვნის მოსმენის შემდეგ პროექტი დასამტკიცებლად გაიგზავნა უმაღლეს საკავშირო ორგანოებში.

მუშაობა ახალგაზრდათა შორის

(თათბირი ა. კ. პროფსაბჭოში)

თათბირის მეორე სხდომაზე, 7 ივნისს, დილით, გაიხსნა კამათი ამხ. ხარაბაძის მოხსენების გარშემო. კამათში მონაწილეობა მიიღეს კასიანჩუკმა (ბაქო), კარჩევსკიმ, (ბაქო) ხარატიანმა (სომხეთი), ლეჟავაშვილმა (თბილისი), მარკაროვმა, დავიდოვმა, ეგოროვმა, სიდოროვმა, ხიკინჭალაშვილმა და სხვ.

კამათში გამოსული ამხანაგები აღნიშნავდნენ შემდეგს: მართალია მუშა - ახალგაზრდობის ხელფასი გასულ წელთან შედარებით საგრძნობლად გაიზარდა, მაგრამ პროფესიონალური კავშირები არ აწარმოებენ ახალგაზრდა მუშათა ხელფასის აღრიცხვას და მაშასადამე საშუალება არ ექნებათ თვალყური ადევნონ ხელფასის მოწესრიგებას. თითქმის არავითარი ყურადღება არ ექცევა ახალგაზრდა მუშების დაწინაურების საქმეს. საჭიროა ახალგაზრდა მუშები დაწინაურებული იქნენ, როგორც პროფკავშირების, აგრეთვე სამეურნეო დაწესებულებათა და საბჭოთა ხაზით; საჭიროა, რომ საქარხნო - საფაბრიკო სკოლები უმთავრესად შევსებული იქნეს წარმოებაში ჩაბმულ ახალგაზრდა მუშებით და ინდივიდუალურად სწავლების მეთოდი შეცვლილი იქნეს საბრიგადო მეთოდით, კულტურული მუშაობა ახალგაზრდათა შორის, კერძოდ კი კლუბების მუშაობა ამ დარგში ვერ აკმაყოფილებს ახალგაზრდობის კულტურულ მოთხოვნილებებს. საერთოდ იმ საკითხებს, რომლებიც აღელვებენ ახალგაზრდობას არ ექცევა ჯეროვანი ყურადღება, რაც აუცილებლად გამოსწორებული უნდა იქნეს ახლო მომავალში.

„შახსეი-ვახსეი“-ს აკრძალვა

ყოველ წელიწადს სპარსელები დღესასწაულობენ „მაჰერრამს“, რომელიც ჩვენში ცნობილია „შახსეი-ვახსეის“ სახელწოდებით.

დღესასწაული გრძელდება ერთ კვირაზე მეტი. პირველ დღეებში ცრუმორწმუნენი აწყობენ რელიგიურ მსვლელობას, რომლის დროსაც თავ-პირში იცემენ ხანჯალს, ტანს იბეგვავენ ჯაჭვების ცემით და სხვ. ვინაიდან ასეთ თვითმწვალებლობის დროს სხეულის გვემა ცრუმორწმუნეებს „ღვთის“ სამებელ საქმედ მიაჩნიათ თავს არ იზოგავენ, რასაც ხშირად მოსდევს სიკვდილი და საზოგადოებრივ წესრიგის დარღვევა.

ამიტომ საქართველოს ცაკმა დაადგინა: აიკრძალოს „მაჰერრამი“-ს პირველ დღეებში, რომლებიც ხვდება 8-18 ივნისს, ყოველგვარი რელიგიური მსვლელობა, დემონსტრაცია და რელიგიურ წესების საჯარო შესრულება. სალოცავ ადგილების გარეშე, აკრძალულია აგრეთვე, როგორც საჯარო ადგილებზე, ისე სალოცავ სახლების (მეჩეთების) ტერიტორიაზე თვითმწვალებლობასთან დაკავშირებული რელიგიური წესების შესრულება (თავ-პირის დაჩეხვა, სხეულის დასისხლიანება, ჯაჭვებით ცემა და სხვ.).

ამ დადგენილების დამრღვევნი დაისჯებიან ადმინისტრაციული წესით — ერთი თვით იძულებით სამუშაოზე გაგზავნით ან 100 მანეთით დაჯარიმებით.

დადგენილების ცხოვრებაში გატარება ევალებათ: ქალაქში და ქალაქის ტიპის ადგილებში მილიციის ორგანოებს, ხოლო სოფლად თემაღმასკომებს.

საქართველოს მწერლები ბაქოში

II *)

გადაწყვეტილი იყო, რომ დელეგაციას პირველი დარბაზობა გაემართა განათლების სახალხო კომისართან. მივედით კომისარიატში. შემოგვეგება საშუალო ტანის, ენერგიული გამომეტყველების შავგვრემანი ვაჟკაცი. ეს იყო განათლების სახალხო კომისარი მუსტაფა კულიევი. დავსხედით.

მოკლე მისალმების შემდეგ ამხ. კულიევმა გამოიკითხა, თუ რა აინტერესებს დელეგაციას. მწერლებმა ზომაზე მეტი სიუხვე გამოიჩინეს. მათ არ გამორჩენიათ აზ. კულტურული ცხოვრების და მუშაობის არც ერთი დარგი, რომლის შესახებ შეკითხვა არ მიეცათ კომისარისათვის.

კულიევმა ჩაიწერა გამოუკლებლივ ყველაფერი და დაჰპირდა დელეგაციას, რომ იგი მას გაუკეთებს საგანგებო მოხსენებას, რომელიც ამავე დროს იქნება პასუხი აღძრულ საკითხებზე. ამასთან მან სთხოვა დელეგაციას, რომ მასაც გაეცნო აზერბეიჯანის კულტ. მუშაკებისათვის საქართველოს კულტურული, კერძოთ ლიტერატურული ცხოვრება.

შევთანხმდით, რომ საქართველოს მწერალთა და აზერბეიჯანის მეცნიერების და ხელოვნების მუშაკთა გაერთიანებული სხდომა ამხ. კულიევის მოხსენების მოსასმენად დანიშნულიყო მეორე დღის საღ. 7 საათისათვის.

⁂

ამავე დღეს ნაშუადღევის პირველ საათზე დელეგაციას ავტო-მანქანები მიაქროლებდა ბიბი - ეიბათის სარეწაოებისაკენ.

რამოდენიმე წუთში ჩვენ გავჩნდით კოშკების ტყეების წიაღში.

აქ ჩვენი მასპინძელია ახალგაზრდა ინჟენერი ალიევი, — ამ სარეწაოების ყოფილი მუშა, რომელსაც უმაღლესი სპეციალური განათლება მიუღია ბელგიაში. ეხლა ის ხელმძღვანელობს ნავთის ამოღებას ამ უბანში.

ყოველი კოშკი მბრუნავი ტურბინებით, კომპრესორებით და ათასგვარი მანქანებით, რომლების სახელი არც ერთ ჩვენგანმა არ იცის, ჩვენთვის ჯერ კიდევ რებუსია, იგი ასეთად დარჩებოდა, რომ ჩვენი მასპინძელი ინჟენერი ალიევი ახსნა-განმარტებას არ გვაძლევდეს.

ბიბი-ეიბათი. ილიჩის სახელობის ბუხტა

ჩვენ ვიმყოფებით ე. წ. ილიჩის ბუხტაში. რომელიც მდებარეობს ქალაქიდან სამხრეთ დასავლეთით — ზღვის პირად. აქ მოხდა სწორედ ის „სასწაული“, რომლის შესახებ გაუგონია ალბათ საბჭოთა კავშირის ბევრ მოქალაქეს.

5—6 წლის წინათ აზვირთებული ზღვის ტალღები ფარავდნენ ამ მიდამოებს. აქ იყო ზღვის ყურე, სადაც ზაფხულის სიცხიან დღეებში საღამოობით ხშირად დასეირნობდნენ ნავებით. ნავით სეირნობა ამ მიდამოებში მაშინ სახალისო და გასართობი იყო: შეიძლებოდა ცეცხლის დანთება ზღვაზე. წყლიდან პატარ - პატარა ბუშტებად ამოდიოდა გაზი. ჰაერის ქვედა ფენა გაჟღენთილი იყო ამ გაზით. ასანთის ერთი გაკვრა და უცბად ზღვიდან ავარდებოდნენ ანთებული ცეცხლის ალები. ზღვა ინთებოდა. ეს იყო ზღაპრული სანახაობა. ცრუმორწმუნეებს ეს მოვლენა „სასწაულად“, „ჯადოსნობათ“ მიაჩნდათ. გეოლოგები კი ფიქრობდნენ, რომ ზღვაზე ცეცხლის ალები ნიშანია ნავთის საბუდოების, რომლებიც, მათი აზრით, დამარხულნი უნდა ყოფილიყვნენ ზღვის ფსკერის წიაღში. რამოდენიმე საცდელმა ბურღვამ დაადასტურა ეს მოსაზრება. ამის შემდეგ დაიწყო გააფთრებული ბრძოლა ზღვასთან — მისი მფლობელობიდან ნავთიანი საბუდოების გამოსაგლეჯად. ექვსი წელიწადია გრძელდება შეტევა ზღვაზე ზღვის წინააღმდეგ: 1923 წლიდან სწარმოებს ნავთით მდიდარი ზღვის ყურის ამოვსება კლდის ლოდებით, მიწით და ხეებით. დღეს უკვე ამოვსებულია ამ ბუხტის ნახევარზე მეტი, და ეხლა აქ გაშენებულია ახალი კოშკების ტყე. ზღვის წიაღიდან ნავთის შადრევნების მიღება — ეს არის უკანასკნელი წლების უდიდესი გამარჯვება, რომელიც ღირსია ატაროს ლენინის სახელი, — ეწოდოს ილიჩის სახელობის ბუხტა.

მთელი მიდამო შემოსილია (ვაში აწვდილი „ეიფელის კოშკებით“, წვრილი და მსხვილი მილებით, კასრებით, ძრავებით, საკომპრესო სადგურებით და ისინი მუშაობენ შეუფერხებლად, გამუდმებით, მუშაობენ, მაგრამ არ ჩანს კაცი. ვინ ამუშავებს ამ მანქანებს. ვინ ატრიალებს ამ ტურბინებსა და ტუმბოებს. სად არის ის 45.000 მუშახელი, რომელიც აღნიშნულია ამ სარეწაოების სტატისტიკურ მატიანეში?

გვეგონა, ვნახავდით ათეულ ათასი მუშის ჭიანჭველებივით ფუს-ფუსს. მანქანების გრგვინვასა და გრიალს, გავიგონებდით მიწის გულიდან ამომსკდარ შადრევნების შხუილს.

მოვტყუვდით, ერთი მატორისტი აკეთებს ყველაფერს. მას ელექტრონით ჰყავს შებორკილი და დამორჩილებული ნავთის ტალღების სრბოლა მიწის სიღრმიდან მის ზედაპირამდე. მხოლოდ მდუმარე პირკუში, დაღვრემილი, კოშკები ამოიოხრებენ ხანდახან ნაღვლიანად, მელანქოლიურად: ამ დროს ელექტრონის ტუმბოები ამოათხევენ მიწის სისხლს.

თქვენ გაგიკვირდებათ, რომ აქ ნავთის სამეფოში იშვიათად ნახავთ ნავთს. მხოლოდ აქა-იქ წააწყდებით ნავთის დიდ კასრებს, რომელთაც ავსებენ მოშავო, ყანგის ფერი სითხით, კოშკებიდან გამოყვანილი მილები.

ნავთის ამოღების დახურულმა, ე. წ. ამერიკულმა წესმა განდევნა ნავთი მიწის ზედაპირიდან. დღე და ღამ მუდმივ, ელექტრონის ტუმბოებს ამოჰქვთ ნავთი და მილებით გზავნიან კასრებში. ოცდა ხუთ ტუმბოს ამუშავებს ორი ხელი. ამიტომ არის, რომ გარშემო არა ჩანს კაცი; რომელიც ძრავთან ერთად მიმალულია ფარდულში.

ტუმბოებიდან ნავთი მილებით გადმოდის კასრებში. ამავე კასრებიდან ნავთის ნაკადი მიმდინარეობს თეთრსა და შავ ქალაქში. ამიტომ არის აქ ამდენი მილები. მარჩხობლა დიდი გველებივით გაწოლილან ათ დიუმიანი მილები, პატარა გველებივით დაკლაკლილან სამ დიუმიანი; სადაც არ გაიხედავ, ყველგან მილებია. ისინი აცოცებულან გორაკებზე, ჩამოშვებულან ხევის ფერდობებზე, შემოხვევიან, შემოკლაკვნიან მაღალ შენობებს, ჩამძვრალან მიწის ქვეშ და შემდეგ ისევ ამომძვრალან მიწის ზედაპირზე. ამ ლითონის არტერიებით, ამ ძარღვების ქსელით დაფარულია მთელი მოედანი. მათი წყალობით არ იკარგება, ფუჭათ არ იღვრება წვეთი ნავთი. მათი წყალობით, თითქმის თავიდან აშორებულია ხანძრის გაჩენის შესაძლებლობა.

როცა ამ ელექტრონის მოტორებს ვხედავთ, გვიკვირს ინჟ. ალიევის სიტყვები, რომელიც გვარწმუნებს, რომ ნავთის წინანდელი მეპატრონენი თხრიდენ უბრალო ჭებს და ვედროებით ამოჰქონდათ იქიდან ნავთი.

რა დიდი მანძილია უბრალო ჭიდან მოძრავ ტურბინამდე? დღეს ჭის მარტივი ოწინარი შეცვლილია ელექტრონის ტუმბოთი. ასეთი ბედი მოელის ნავთის ამოკასვრის წესს (тартание), რომელიც აქა-იქ კიდევ ხმარებაშია. მალე ნავთის ამოღების ამ პრიმიტიულ წესზე მხოლოდ მოგონება და დარჩება. ასე სწრაფი ტემპით მიმდინარეობს მთელი ნავთის საბუდოების რეკონსტრუქცია.

— ნავთის ამოღების წინანდელი წესი, რომ ხელუხლებელი დაგვეტოვებია, ჩვენი ნავთი, — ამბობს ინჟენერი ალიევი, — ეხლა კაი ხნის განდევნილი იქნებოდა მსოფლიო ბაზრიდან.

ეს გარემოება იმ თავითვე გაითვალისწინა „აზნევთმა“, რომელმაც ნავთის მრეწველობის რეკონსტრუქციის ხელმძღვანელობა დააკისრა ამხ. სერებროვსკის. მან დაწვრილებით შეისწავლა ნავთის მრეწველობის თანამედროვე ტეხნიკა, ამავე საქმის გასაცნობად, ამერიკაში მიავლინა ბაქოელი მუშები და ტეხნიკოსები. სულ მოკლე ხანში „აზნევთ“-მა მიაღწია იმას, რომ ამოკასვრა შესცვალა მოძრავი ხატურბინო ბურღვით, ნავთის ამოღების დახურული წესით, პრიმიტიული იარაღები — კომპრესორებით და ღრმა ტუმბოებით. აზნევთმა — პირველმა სარეწაოებზე დასდგა გაზის დამჭერი და გაზის საშრობი მანქანები. წინად გაზი ნავთის ამოღების დროს უნაყოფოდ იკარგებოდა. ეხლა ჩვენ ვღებულობთ გაზის სახით ნავთზე არა ნაკლებ ძვირფას პროდუქტს. წინანდელი მფლობელნი არ იწუხებდნენ თავს, არ იმტვრევდნენ გროშს ნავთის გაზის წარმოების მოსაწყობად. ნავთის საბუდოების მტაცებლური ექსპლოატაცია ისედაც საკმაოდ ავსებდა ოქროთი მათ ჯიბეებს.

გაზის დამჭერი მანქანების დადგმის შემდეგ მინიმუმამდე შემცირდა ცეცხლის გაჩენის შემთხვევები. ეს კი ბევრს ნიშნავს, რადგან გაზის ამოვარდნის დროს საკმაო არის, ერთი ნაპერწკალი, რომ იგი აფეთქდეს და მთელი რაიონი ხანძარმა ჩანთქას. ეხლა ასეთი ხიფათისაგან სარეწაოები დაცულია.

მეორე მხრით ეს მანქანები გვაძლევენ პროდუქტს, რომელიც ფართოდ არის გამოყენებული განათებისა და გათბობისათვის.

ჩვენ დაწვრილებით დავათვალიერეთ მანქანების ყოველი დეტალი, მანქანები კოშკის ტუმბოსთან მილით არის დაკავშირებული. ამ მანქანებით სტიქია ხელფეხშეკრულია. მას აღარ შეუძლია წინანდებური თვითნებობა. შადრევანს „აქვს უფლება“, ამოვარდეს, მაგრამ ცეცხლს ის ვეღარ გააჩენს, ამის ნებას მას არ მისცემენ ახალი მანქანები, რომლებიც ფრთხილი გუშაგებივით დარაჯობენ შადრევანის ამოხეთქის წინ ამომავალ გაზებს და ამწყვდევენ ლითონის მილებში.

ამ მოწყობილობის მაგალითზე ვხედავთ, თუ რა არის ეს რეკონსტრუქცია, ვგრძნობთ, აგრეთვე, თუ რას ნიშნავს მუშათა კლასის ნებისყოფა, რომელმაც შესძლო ძველი სარეწაოების ასე მალე გარდაქმნა.

ჩვენ აღფრთოვანებული ვართ, როცა ვუმზერთ: ტუმბოების მიერ მიწის გულიდან ამოსრუტული ნავთის შავი ნაკადები მზეზე სხვადასხვაფრად რომ ელვარებენ და შემდეგ ჩხრიალით ჩაიმღერიან კასრებში; სწორედ ისე, როგორც დაწურული ყურძნის წვენი საწნახელიდან ქვევრებში.

ყველაფერი ეს დიდებული სანახავია, მაგრამ ჩვენ თითქოს რაღაც გვაკლია, თითქოს რაღაც გამოგვრჩა. ჩვენ გვინდოდა გვენახა სტიქია არა დამორჩილებული, სალტეებში მომწყვდეული, არამედ გაგიჟებული. გვინდოდა გვენახა ამოხეთქილი შადრევანი.

— ყველაფერი ეს კარგია, მაგრამ ნუ თუ შადრევანს ვერ ვნახავთ; განა აქ არ ამოხეთქს ხოლმე?

— როგორ არა ძალიან ხშირად, მაგრამ ჩვენ არა ვართ შადრევანების დიდი პატივისმცემელი. ბევრი ნავთი იღვრება და, უსარგებლოდ იკარგება. ჩვენ ვარჩევთ იგივე ნავთი ამოვიღოთ ჩვენი ტუმბოებით, თანდათანობით, მეთოდიური და სისტემატიური მუშაობით.

შადრევანებს შენატროდნენ მხოლოდ კერძო მწარმოებელნი, რომლებსაც სული ამოდიოდათ უეცარი გამდიდრების მოლოდინში.

შადრევანის პათოსი ახლა მოდაში არ არის. აზნევთის ინჟენერებს უფრო მოსწონთ დაწყნარებული მუშაობა, გეგმიანობა როცა აღრიცხულია თვითეული ლიტრი ნავთი. ჩვენს დროში შადრევანებს შეხარიან მხოლოდ კინო - რეჟისორები და პოეტები, რომლებიც თავდაუწყვებით ეძებენ უჩვეულო განცდებს და მასალას შემოქმედებისათვის.

ჩვენი პოეტებისა და მწერლების მიმართ ლენინის სახელობის სარეწაოებმა არ გამოიჩინეს მასპინძლის თავაზიანობა. ჩვენს მისვლამდე ორი დღით ადრე ერთ და იმავე დროს აქ სცემდა სამი შადრევანი. საქართველოს პროლეტ. მწერლებს, რომლებიც ჩვენზე ადრე ჩამოვიდნენ, ჰქონდათ ბედნიერება ენახათ ნავთის წყალვარდნილები. თითქოს ჯიბრზე — ჩვენი წამოსვლის, შემდეგ პირველ დღესვე ისევ გაინავარდეს სივრცეში ატყორცნილმა ნავთის ტალღებმა. (ილიჩის, სურახანის და ბალახანის სარეწაოებზე).

ჩვენ დროს კი იქ იყო მყუდროება. გუგუნებდენ მხოლოდ მატორები, გუგუნებდნენ და კასრებში გზავნიდნენ ნაკადს, რომელიც შავ სისხლად მოძრაობს ჩვენი კავშირის სახალხო მეურნეობის არტერიებში, და რომლის სუნი ძილს უფრთხობს დეტერდინგებს და ნავთის სხვა კომპანიებს.

როცა დათვალიერება დავამთავრეთ, ინჟენერმა ალიევმა მიგვიწვია თავის კანტორაში. აქ ვნახეთ კედლებზე გაკრული ცხრილები, დიაგრამები, რომლებიც ახასიათებენ ამ სარეწაოების მუშაობას. ყოველ ჭაბურღილს აქვს თავისი მატიანე, ჟურნალი, სადაც იწერება მისი ცხოვრების ყოველი დღე. ამ ჟურნალით თქვენ შეგიძლიათ გაიცნოთ თვითეული მათგანის ბიოგრაფია დაბადებიდან აღსასრულამდე.

ინჟენერმა ალიევმა გაგვაცნო მოკლეთ ნავთის მრეწველობის საერთო მდგომარეობა. 1913 წლიდან ბაქოს ნავთის მოპოება შეუჩერებლად ეცემოდა. ამოღება ნავთისა 9.233 ათას ტონიდან შემცირდა 3.841 ტონამდე, 1922 წ-დან ნავთის მოპოება თანდათან მატულობს და 1928 წ. აღწევს 11.148 ათას ტონას. ე. ი. ომის წინანდელ დონეს 20,7 პროც. აჭარბებს.

— რასაკვირველია, ამბობს ინჟენერი ალიევი, ჩვენ ჯერ კიდევ ჩამოვრჩებით ამერიკას, მაგრამ თუ ჩვენ რეკონსტრუქციის დასაწყისში (1923 წ.) მოპოებულ ნავთის რაოდენობას 100 პროც.-ად ვიანგარიშებთ, მივიღებთ ზრდას 1928 წლისათვის 214,6 პროც.-ით; ე. ი. 6 წლის განმავლობაში ნავთის ამოღება ჩვენში გაორკეცებულა, მაშინ, როცა ამერიკაში იგი აიავე ხნის განმავლობაში გაიზარდა მხოლოდ 24,2 პროც.-ით. ჩვენ ტემპით დიდად უსწრებთ ამერიკას, მაგრამ ტეხნიკურად დიდად ჩამოვრჩებით მას. ჩვენ ეჭვი არ გვეპარება, რომ უახლოეს ხანებში ჩვენ გავხდებით ახალი გამარჯვების მოწმე. ამერიკული ტეხნიკის ყოველი ახალი მეთოდი ჩვენ გამოყენებული გვაქვს. დღეს ჩვენს ინჟენერებს, ტეხნიკოსებს, კვალიფიციურ მუშებს და სარეწაოებზე მომუშავეებს მიზნათ აქვს დასახული განახორციელონ პარტიისა და ხელისუფლების მოცემული დირექტივა — დაეწიონ და გაუსწრონ ნავთის მრეწველობის დარგში კაპიტალისტურ ქვეყნებს.

და ამას ისინი შესძლებენ.

ამის თავდებია ის შეჯიბრება, რომელიც ამჟამად მიმდინარეობს ბაქოსა და გროზნოს სარეწაოებს შორის, ამის თავდებია მაღალი კვალიფიციურ მუშების გამოცდილება, მათ მიერ ნავთის წარმოებაში არაერთხელ შეტანილი გაუმჯობესება, ამის თავდებია გამოგონება ინჟენერ კაპელიუხოვისა, — რომელმაც შეიმუშავა ბურღვის ახალი წესი, გაცილებით უფრო ნაყოფიერი, ვიდრე ამერიკული*).

ჩვენ დიდი მადლობით გამოვემშვიდობეთ ინჟ. ალიევს, რომელიც ჩემს შეგნებაში უპირდაპირდებოდა ყოველივე დრომოჭმულს, აზიურ მცონარეობას, და თავისი გატაცებით, ენტუზიაზმით ანსახიერებდა ახალს ინდუსტრიალურ აზერბეიჯანს.

⁂

ვბრუნდებით უკან ქალაქისაკენ. ჩვენი მანქანები მტვრის კორიანტელში არიან გახვეული, ხოლო ჩვენი გონება დამძიმებულია მიღებული შთაბეჭდილებით იმდენად, რომ პირადათ მე ვერ ვარკვევ, სად მივყავართ ამ მანქანების ქარავანს.

— ეხლა ჩვენ შემოვუვლით ქალაქს, ვინახულებთ ახალშენ არმენიკენდს და მივალთ ბინაზე, — მითხრა ჩემს შეკითხვაზე ჩემს გვერდით მჯდომმა ჟურნალისტმა ამხ. იბრაგიმოვმა.

— რად ჰქვია ახალშენს არმენიკენდი, განა იქ მხოლოდ სომხები ცხოვრობენ?

— არა. ეს ამ უბნის ძველი სახელია. რევოლიუციამდე აქ მარტო სომხები მოსახლეობდენ. 1918 წელს იგი სავსებით განადგურებული და გაპარტახებული იქნა. 1927 წლიდან აქ დაიწყო ენერგიული საბინაო მშენებლობა, შედეგს ეხლავე ვნახავთ. ამჟამად აქ მოსახლეობა შერეულია: მოსახლეობენ სომხებიც, თურქებიც და რუსებიც.

ამასობაში ჩვენ მიუახლოვდით არმენიკენდს და გარშემო შემოვუარეთ.

არმენიკენდი მთელი ქალაქია, ამერიკულ ყაიდაზე აგებული. 2—3—4 სართულიანი სახლები ფართო ფანჯრებით და ვერანდებით, მაღაზიებით, დაგეგმილი სწორი ქუჩებით. ის გამოჭიმულია იმ ადგილზე, რომელიც ამ წლინახევრის წინათ გაპარტახებული იყო. ყოველი ეს მართლაც ამერიკულ სისწრაფეს ჰგავს.

— საინტერესოა რამდენია დახარჯული ამ მშენებლობაზე?

— სისწორით ვერ ვიტყვით, — მიპასუხა იმავე ამხანაგმა, — დაახლოებით 3 ნახ. მილიონი უნდა იყოს დახარჯული.

ეს ციფრი პირდაპირ არაჩვეულებრივი ამბავია ჩვენს სინამდვილეში. ასეთი მცირე თანხით, ასეთი გრანდიოზული აღმშენებლობა (საერთოდ ბაქო შედარებით სხვა ქალაქებთან იაფათ აშენებს, ერთ კუბიკურ მეტრზე ხარჯავს 135 მანეთიდან 124 მანეთამდე).

გამახსენდა მ. გორკი, რომელიც შარშან ყოველ ქალაქში, ყოველ კრებაზე მუშებს ეუბნებოდა: თქვენ ვერ ხედავთ, თუ რა დიდი საქმე კეთდება, თქვენ ვერ გრძნობთ, ვერ აფასებთ იმ უდიდეს აღმშენებლობას, რომელსაც თქვენ ეწევით. მუშაობას რომელიც ყოველდღიურად ამ თვალის წინ მიმდინარეობს. როგორც სჩანს, შინაური თვალი, მართლაც, ვერ ამჩნევს.



მუშათა უბანი — არმენიკენდში

არმენიკენდის თვალის გადავლებაზე გამახსენდა კიდევ ერთი რამ, — ჩვენი თბილისის ტრამვაის სახლები, რომელზედაც ორ მილიონზე მეტი დაიხარჯა, რომელიც 4—5 წელიწადია შენდება. შედეგი? შედრება იგი არმენიკენდს? თბილისის საბჭო იამაყებს ამ სახლებით ისე, როგორც ბაქო ამაყობს თავისი არმენიკენდით? წაიყვანს თუ არა იგი მეზობელ ან უცხოელ სტუმრებს მათ დასათვალიერებლად? არა მგონია.

არმენიკენდი არა მარტო ქალაქია, იგი ბაღიც არის. ქალაქის მშენებლებს ბაღის საჭიროებაც არ დაუვიწყიათ. მას, თითქმის იმდენივე, მოედანი უჭირავს, რამდენიც შენობებს. ნარგავები ჯერ ნორჩია, მაგრამ მიდამოს ეხლავე მწვანე ფერს აძლევენ. სწრაფად მოძრავ მანქანიდან შევამჩნიე, როგორ დატრიალებდნენ ნერგებს მებაღეები, რწყავდნენ, ეფერებოდნენ თვითეულ მცენარეს.

ვერაფერს ვიტყვი შენობების შინაგან მხარეებზე; იგი არ დაგვითვალიერებია, მაგრამ ამბობენ, რომ ბინები თითქმის უნაკლოთ და თანამედროვე პირობების შესაფერისად არიან მოწყობილი. კიდევ რამოდენიმე ასეთი ახალშენი და საბინაო კრიზისი ბაქოში თუ სულ არა, საგრძნობლად მაინც იქნება შენელებული.

⁂

არმენიკენდით დამთავრდა ჩვენი მეორე დღის მგზავრობა. 18 მაისის საღამოს მწერლები გამოვიდნენ რადიოში და საბუნჩის რაიონის მუშა - მკითხველთა კონფერენციაზე, მაგრამ შთაბეჭდილების მთლიანობისათვის, დავარღვევ ჩვენ მიერ ნახულისა და გაგონილის თანამიმდევრობას და, გავაგრძელებ სიტყვას ბაქოს საწარმოოსამეურნეო ცხოვრებაზე.

19 მაისს, ჩვენ ვესტუმრეთ შავ ქალაქს. ეს რაიონი ამართლებს თავის სახელს. უბანს მართლაც შავი ფერი ადევს. უზარმაზარი ფაბრიკა- ქარხნების ბოლს შავად შეუმურავს შენობების კედლები.

ამ რაიონში მოთავსებული ე. წ. კრეგინგ - ქარხნები, რომლებთანაც მილებით გადაბმულნი არიან საბუნჩის, ბალახანის, რამანის, ბიბეიბათის, ბინგადის, სურათხანის და სხვა სარეწაოთა აუზები, მილებით დიან ნედლი ნავთის ნაკადები ქარხნებში, რომ ბატარეებმა გადაამუშაონ იგი ბენზინათ და ძვირფას ზეთებათ.

ვნახოთ რას წარმოადგენს ეს კრეგინგ ქარხნები?

რასაკვირველია, ჩვენ ამას ვერ მივხვდებით, თუ არ აგვიხსნეს და გაგვიმარტეს.

შევდივართ ქარხნების ფარგალში. ჩვენ წინ აღმართულია ღუმელების კარკასები, კოლონები, კონდესატორები და სხვა ჩვენთვის უცნობ ნაგებობათა კონსტრუქციები. მოდი და აღწერე ეს ყველაფერი! ამათი აღწერა ისე, რომ გასაგები გახდეს მკითხველისათვის, არა თუ ჩვენ მწერლებს, არამედ ამერიკელ სინკლერებს და ევროპიელ პიერ ამპებს გაუჭირდებათ. ისიც დიდი საქმე იქნება, თუ დაახლოებით გაუგეთ რამე, — ინჟენერს, რომელიც ახსნა - განმარტებას გვაძლევს.

ჩვენ პირველ სართულში ვართ. აქ, ღუმელებში, გიზგიზებს ალი და ავარვარებს ნავთით ავსილ ცილინდრის კედლებს.

ადვილი წარმოსადგენია, თუ როგორ უნდა ცხელოდეს აქ ამ ღუმელებთან, რომელთა შიგნით ტემპერატურა 150 გრადუსს აღწევს. ბაქოს სიცხე აქ აგარაკის სიგრილეთ მოგეჩვენებათ. ღუმელები გაზით ხურდება, სწორედ იმ გაზით, რომელიც ჭაბურღილებში არის მოპოებული. ალბად გადაქცეული გაზი ახურებს ცილინდრს მანამდე, ვიდრე შიგ მოთავსებული სითხე აირათ არ გადაიქცევა.

მივდივართ ზევით — შემდეგ სართულისაკენ. ცილინდრიდან ვერტიკალურად ამართულან მილები, რომლებიც ზევით არიან წყლით სავსე ღარებში დაწყობილნი. ამ ღარებში მუდამ ცივი წყალი მოძრაობს. ეს არის კონდესატორები. ამას რომ ნახავთ, მხოლოდ მაშინ მიხვდებით, თუ როგორ ხდიან ნავთს. თურმე ნავთს ისე ხდიან, როგორც არაყს.

რა არის ნედლი გაუწმენდავი ნავთი? იგი სხვადასხვა შემადგენლობის ნახშირწყალბადის ნარევი ნივთიერებაა.

რას ნიშნავს ნავთის გამოხდა? ამ ნარევის დაშლას შემადგენელ ნაწილებათ, რაც სრულიად მარტივი საქმეა.

ცილინდრში ხურდება ნავთი, რომელიც იწყებს აორთქლებას. პირველათ გაზათ იქცევა მსუბუქი ნახშირ - წყალბადი, შემდეგ უფრო ნაკლებათ მსუბუქი, მერე მძიმე ნახშირ - წყალბადი და ასე თანდათანობით. ნახშირ - წყალბადები ცილინდრიდან აყვანილ მილებით მიდიან კონდესატორებში, სწორეთ იმ საცივარებში, რომელთაც გარშემო მუდამ ცივი წყალი უვლის, ცივდებიან, წვეთებათ ხდებიან და შემდეგ დაბლა სართულში წყაროს წყალივით მოჩხრიალებენ სხვადასხვა ფერის და სისქის პროდუქტები: ბენზინი, გუდრონი, კეროსინი, სალასი და ვინ იცის, კიდევ რა?

ასე უბრალოთ და მარტივათ სწარმოებს ნავთის გამოხდა.

ერთმა განყოფილებამ გაახურა, დაშალა ნაწილებათ, მეორემ გადაგზავნა, მესამემ გააცივა და ნავთის პროდუქტები უკვე მზათ არის. ამ „სასწაულს“ ახდენენ ეს კრეგინგ ბატარეები, რომელიც ჩვენ დავათვალიერეთ.

დაგვიჯდა კი ფასათ. ძლივს გადავურჩით სიცხეს და საშინელ მყრალ ჰაერს, რომელიც თავს ბრუს ასხამს და გულს რევს. ადვილი არ უნდა იყოს აქ მთელი საათობით მუშაობა!

ძნელია, მაგრამ რას იზამ? დღევანდელ ეპოქაში ცივილიზაციის საფუძველს ნავთი წარმოადგენს. ბენზინი, გაზოლინი, ლიგროინი, მილონავთი, პარაფინი, ასფალტი, — ამოძრავებენ ოკეანეზე გემებს, დააქროლებენ მატარებელს, სივრცეში სტყორცნიან თვითმფრინავებს, დაატრიალებენ ავტობუსებს, ამუშავებენ უზღვავ მანქანებს, კირწყლავენ ქუჩებს და გზატკეცილებს.

კარგათ იციან ეს აზნევტის მუშებმა, რომლებიც ყოველდღიურათ ადიდებენ ქარხნების ნაყოფიერებას.

თუ 1923 — 24 წელს მათ გადაამუშავეს 2,4 მილიონი ტონა ნავთი, 1927 — 28 წელს ნაყოფიერებამ 5,3 მილიონ ტონას მიაღწია, ე. ი. 16 პროც.-ით მეტი, ვიდრე, 1913 წელს (ომამდე). მიმდინარე წლის პირველ ნახევარში ქარხნებს გადამუშავებული აქვთ 2,9 მილ. ტონა, ანუ 32,5 პროც.-ით მეტი, ვიდრე გასული წლის ამავე ნახევარში. საწარმოო პროგრამას ქარხნები გადაჭარბებით ასრულებენ. მაგ., ა. წ. აპრილში გადაუმუშავებიათ 508.000 ტონა, ე. ი. პროგრამა შეუსრულებიათ 103,5 პროცენტით. საერთოდ ქარხნები დღეს ინტენსიურათ, დიდი დატვირთვით მუშაობენ. რამოდენიმე დღით ადრე ჩვენს ჩასვლამდე ამუშავდა ახალი კრეგინგ ბატარია — „გრავერი“. ივნისში ამუშავდება მეორე ბატარეა — „ვილკე“, ხოლო ივლისში მესამე ათცილინდრიანი ბატარეა.

ამ ქარხნებს ეხლა გვერდში ამოუდგა კიდევ ბათომის ბენზინ - კეროსინის სახდელი ქარხანა, რომელმაც უკვე დაიწყო მუშაობა. რამოდენიმე ხნით დააგვიანდება ბათომის ზეთების სახდელ ქარხნების დამთავრებას, რომელსაც უნდა მოველოდეთ მომავალი წლის დამლევისათვის. როგორც გადმოგვცეს, ამ დაგვიანების მიზეზი არის ის გარემოება, რომ ცენტრალურ ორგანოებს არ გამოურკვევიათ ჯერ კიდევ, თუ რა სისტემის ბატარიები უნდა იქნეს შეკვეთილი ამერიკაში ამ ქარხნებისათვის. ამ საკითხის გამორკვევა დაეკისრა სპეციალისტთა კომისიას, რომელიც ამხანაგ ბარინოვის მეთაურობით უკვე გაემგზავრა ამერიკაში.

ყველა ეს ქარხნები ბაქოს ქარხნებთან ერთად ხუთი წლის დამლევს დაამუშავებენ ათ მილიონ ტონა ნავთს.

რაც შეეხება ბაქო - ბათომის ნავთსადენის გაყვანას, როგორც გადმოგვცეს, იგი უკვე თავდება. ნავთსადენის დასავლეთის ნაწილი ხაშურიდან ბათომამდე კაი ხნის დამთავრებულია. აღმოსავლეთ ნაწილის (ხაშურიდან ბაქომდე) ყველა უბანში უკვე მიტანილია მილები და მათი ტრასზე დაწყობა ზოგან სავსებით, ზოგან კი 50—80 პროც.-ით შესრულებულია, 600 კილომეტრიდან, რომელსაც შეიცავს ბაქო-ხაშურის მანძილი, — 280 კილომეტრზე მილები შედუღებულია, მხოლოდ დანარჩენ მანძილზე შედუღება დამთავრდება 1-ლ აგვისტოსათვის. ერთი სიტყვით, — ნავთსადენი სავსებით დამთავრდება ახალ სამეურნეო წლის დამდეგისათვის. 1-ლ აგვისტოდან იწარმოებს ნავთის გადაქაჩვა სცლახიდან ბათომამდე. ერთი წლის შემდეგ დაიწყება კიდევ ახალი მესამე ათდიუმიანი ნავთსადენის გაყვანა. ასე, რომ „აზნეფტი“ სამს 800 კილომეტრიან ნავთსადენით შესძლებს ყოველწლიურად 200.000 მილიონ ფუთ ნავთის გადაქაჩვას და თამამად გაუმკლავდება მსოფლიო ბაზარზე ნავთის პროდუქტების კონკურენციას.

ხუთწლიანი გეგმით ნავთის მრეწველობაზე სულ განზრახულია დაიხარჯოს 750 მილიონი მანეთი.

⁂

ბაქო და ბათომი — თავი და ბოლო ერთი მთლიანი ორგანიზმისა, რომლის არტერიებში სდუღს და მოძრაობს თანამედროვე ეპოქის სისხლი — ნავთი და ბენზინი. ნუ თუ არსებობს სხვა უფრო ძლიერი ძალა მეზობელ ხალხების მეურნეობათა შესამტკიცებლათ?

ვ. წულუკიძე.

---

*) იხ. „კომუნისტი“ № 128.

*) ინჟენერი კაპელიუნოვი ბურღვის ახალ წესის გამოგონებისათვის საბჭოთა კავშირის მთავრობამ დააჯილდოვა ასი ათასი მანეთით. მოკლე ხანში მის ბურღვის ახალი წესი შემოღებული იქნება ბაქოს მრავალ სარეწაოებში.

ქრონიკა

მოჯამაგირის დაწინაურება

შრომის კომისარიატის დადგენილებით კახეთის მაზრის უფროს შრომის ინსპექტორად დაინიშნა მოჯამაგირე შ. კოლელიშვილი, რომელმაც ამას წინეთ დაასრულა მოჯამაგირეთა მოსამზადებელი 3 თვიანი კურსები.

თბილისის ულმერთოთა საბჭოში

თბ. ულმერთ. საბჭოს პირველმა პლენუმმა განიხილა საორგანიზაციო საკითხები. ულმერთოთა თბილისის საბჭოს პრეზიდიუმში არჩეული არიან: ამხ. ადამიანი, ციხელაშვილი, მდივანი, იაკოვლევი, დოიჯაშვილი, არუთინოვი, ქორიძე, ლოლონაძე, ლინეცკი, ტერტერაშვილი, ბელოზეროვი, ასკერი, ტყეშელაშვილი, ორლოვი და ესაიანი. კანდიდატებათ— ამხ. ბოგდანოვი, სემიხი, ქმონზერი და კაზაროვი. ულმერთოთა საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეთ არჩეულია ამხ. ადამიანი, თავმჯდომარის მოადგილეებათ—ა. მდივანი და ასკერი; საბჭოს პრეზიდიუმის მდივნათ— ამხ. ზ. იაკოვლევი. პლენუმმა თბილისის საბჭოსთან დაამტკიცა შემდეგი კომისიები: აგიტპროპ-კომისია, მუსლიმანთა, ქართველ ებრაელთა, თურქ-ეზიდთა, სექტანტთა და ასირიელთა შორის მომუშავე კომისიები. საბჭოს პრეზიდიუმს დაევალა შეადგინოს საბჭოს მუშაობის გეგმა.

ხელშეკრულება

„ზაკსელსოიუზ“-მა „პლოდვინსოიუზ“-თან დასდო ხელშეკრულება ვაშლისა, ჩირისა, დაფნის ფოთლისა და კაკლის დამზადებაზე შინაური ბაზრისათვის. ხელშეკრულების საერთო თანხა 6 მილ. მანეთს უდრის. ეს საქონელი უნდა დამზადდეს აზერბეიჯანსა და საქართველოში სას.-სამ. კოოპერაციის რესპუბლიკანური ცენტრების საშუალებით. (ადს).

სამშობიარო დახმარება

დღემდე დაზღვეულ ქალებს მშობიარობის დროს ბავშვისათვის თეთრეულის შესაძენად დამზღვევ სალაროდან დახმარების სახით ეძლეოდა 28 მანეთი. ვინაიდან ამჟამად თეთრეულის გაცემა სწარმოებს მხოლოდ ორდერებით, სოც. დაზღვევის კომიტეტის დადგენილებით ფულის ნაცვლად გაცემული იქნება თეთრეული, რისთვისაც სალარო შეუთანხმდა მუშკოოპს გამგეობას.

მსურველს შეუძლია დახმარება მიიღოს ფულადაც, ან დახმარების ნაწილი ფულად, დანარჩენი კი მატერიის სახით.

სხვადასხვა

კვირას, 9 ივნისს, დილის 12 საათზე ხელოვანთა სასახლეში დანიშნულია საქართველოს დრამატურგთა, კომპოზიტორთა და კინო-სცენარისტთა საზოგადოების დამფუძნებელი კრება. სხდომის წესრიგი: 1) საინიციატივო ჯგუფის საინფორმაციო მოხსენება, 2) საზოგადოების წესდების განხილვა, 3) საავტორო უფლების დებულების პროექტი და 4) გამგეობის არჩევნები.

◆ **შაბათს, 8 ივნისს, მუშკოოპის კლუბში** განსახკომის სკოლა-სახელოსნოს მოწაფეთა ძალებით გაიმართება საღამო, ამავე სკოლის ღარიბ მოწაფეთა სასარგებლოთ, დად. იქნება ს. აუსლენდერის პიესა 3 მოქ.: „საქე ჩრდილოეთისაკენ“.

◆ **„ლურსმანი“.** თბ. აღმასკომმა დაადგინა გააფართოოს ქარხანა „ლურსმანი“ და ამ მიზნით შეიძინოს ახალი მანქანები

— **საექიმო იარაღები.** ჯანმრთ. კომისარიატმა უცხოეთიდან მიიღო საექიმო იარაღების ახალი პარტია, რომელიც ამ დღეებში დაეგზავნება სამაზრო სამკურნალო დაწესებულებებს.

◆ **შაბათს, 8 ივნისს,** საღ. 8 საათზე სახ. უნ. სტუდ. კლუბში შესდგება საჯარო მოხსენება შემდეგ თემაზე: „დასავლეთ ევროპის იდეოლოგიის კრიზისი“.

მომხსენებლები: ალ. ერქომაიშვილი და შ. ნუცუბიძე.

— **საქართველოს მთიელთა კულტ-საზოგადოებაში.** კვირას, 9 ივნისს, სრულ 12 საათზე მთიელთა საბავშო სახლში დანიშნულია სოფლად მიმავალ წევრთა კრება. განხილული იქნება სოფლად მუშაობის და მთაში კულტ - ლაშქრობის გეგმა.

შაბათს, ივნისის 8-ს, საქ. მუზეუმის აუდიტორიაში საღ. 7 ნახ. საათზე შესდგება საქართველოს საფსიქოლოგიო საზოგადოების მორიგი სხდომა, რომელზეც მოხსენებას გააკეთებენ: ექ. ზურაბიშვილი: „ჰიპობულური მექანიზმები და ფსიქოფიზიოლოგიური პლასტიურობა“ და ქ. ასათიანი „ერთი ოლიგოფრენის დახასიათება, და ინდივიდუალური აღზრდა“. დასწრება თავისუფალია.

კვირას, 9 ივნისს, საღამოს 6 საათზე, ლენინის სახელობის მეტყავეთა კლუბში (კომუნალური ქ. № 92). გაიხსნება სრულიად საქართველოს მეტყავეთა კავშ. მე-8 ყრილობა. დღის წესრიგი: ც. გ. და სარევიზიო კომ. ანგარიში, ტყავტრესტის მოხსენება, სოციალისტური შეჯიბრების საკითხი და არჩევნები.

პურით ვაჭრობის მოწესრიგება

პურით ვაჭრობის საათები

ვაჭრობის სახ. კომისარიატის რწმუნებულის სამმართველოს და თბილისის აღმასკომის შეთანხმებით, პურით ვაჭრობა სამუშაო დღეებში იწარმოებს დილის 5 საათიდან — 11 საათამდე და შუადღის 2 საათიდან — 4 საათამდე. კვირა - უქმე დღეებში კი — დილის 6 საათიდან შუადღის 12 საათამდე.

თეთრი პური ავადმყოფებისათვის

ავადმყოფებისათვის თეთრი პურის გაცემა, ექიმების დასკვნის მიხედვით, აქამდე სწარმოებდა მხოლოდ ერთ პუნქტში და მოქალაქეებს უხდებოდათ ქალაქის სხვადასხვა რაიონებიდან დიდი მანძილის გავლა აღნიშნულ პუნქტამდე და რიგში დგომა. ამის გამო, მუშკოოპს წინადადება მიეცა თეთრი პურის გაცემა ავადმყოფებისათვის მოაწყოს ოთხ რაიონში (რუსთაველის პროსპექტი, ავლაბარი, ხარფუხი და ლენრაიონი).

შვებულებაში მიმავალ მუშა - მოსამსახურეთა საყურადღებოდ

შვებულებაში მიმავალმა მუშა - მოსამსახურეებმა პურის წიგნაკები უნდა ჩააბარონ პურის წიგნაკების განმანაწილებელ კომისიას და ნაცვლად მიიღონ ცნობა, რომლის მიხედვითაც მათ პური მიეცემა გამგზავრების ადგილზე. ასეთი ცნობის გარეშე შვებულებაში მყოფ მუშა - მოსამსახურეებს (აგარაკებზე და სხვა ქალაქებში) პური არ მიეცემათ. თუ ვინიცობაა ოჯახიდან საზაფხულოდ მიემგზავრება ოჯახის წევრების ნაწილი, პურის წიგნაკი უნდა გამოიცვალოს. თბილისში დარჩენილ წევრებს მიეცემა ახალი წიგნაკი მათი რაოდენობის მიხედვით, ხოლო თბილისიდან მიმავალთ მიეცემა სათანადო ცნობა.

პურის წიგნაკების განმანაწილებელი კომისიის განყოფილებები

ვინაიდან მუშკოოპის მიერ გამოყოფილი პურის წიგნაკების განმანაწილებელი ცენტრალური კომისია ვერ აუდის მუშაობას და მოქალაქეებს პურის წიგნაკების გამოცვლისა ან შემოწმების დროს უხდება რიგში დგომა, განზრახულია მოეწყოს აღნიშნული კომისიის განყოფილებები ავლაბარში, ხარფუხში, ლენრაიონში და 1 სამილიციო უბანში.

თბილისის სატრიკოტაჟო ფაბრიკა

ს. მ. უ. ს. პრეზიდიუმის უკანასკნელ სხდომაზე მოსმენილ იქნა მოხსენება თბილისის სატრიკოტაჟო ფაბრიკის მოწყობის შესახებ.

როგორც გამოირკვა, აღნიშნული ფაბრიკისათვის გერმანიის ქარხნებს შეკვეთილი აქვთ ახალი გაუმჯობესებული კონსტრუქციის მანქანები. ამ მანქანებით გერმანიის ქარხნებში უკვე დამზადეს აბრეშუმის წინდები. მიღებული პროდუქცია უფრო ლამაზი და მკვიდრია, ვიდრე ხელოვნური აბრეშუმიდან დამზადებული ნაწარმოები.

პირველ ხანებში განზრახული იყო ისეთი მანქანების შეძენა, რომლებსაც შეუძლიათ უფრო მეტი რაოდენობის პროდუქციის დამზადება, ვიდრე ამჟამად შეკვეთილ მანქანებს, მაგრამ ვინაიდან საჭირო იყო, რომ ჩვენში დამზადებულ სატრიკოტაჟო ნაწარმოებს კონკურენცია გაეწია უცხოეთის ასეთსავე ნაწარმოებისათვის, ამიტომ გადაწყდა შეკვეთილი იქნეს უფრო ძვირფასი და რთული მანქანები, ე. წ. კოტორ - მანქანები.

გერმანიიდან მანქანები გამოგზავნილი იქნება სექტემბერში. მანქანების მიღების შემდეგ ფაბრიკა მუშაობას დაიწყებს ერთი თვის განმავლობაში.

ნაოსნობა მდ. რიონზე

ა.-კ. სახკომსაბჭომ დაამტკიცა მდ. რიონზე ნაოსნობის ტარიფი

როგორც უკვე გვქონდა აღნიშნული თავის დროზე, ა.-კ. რკინის გზის გამგეობასთან არსებულმა საუწყებო სატარიფო თათბირმა შეიმუშავა მდ. რიონით მგზავრების გადაყვანისა და ტვირთების გადაზიდვის ტარიფი.

ეს ტარიფი განიხილა და დაამტკიცა ა.-კ. სახალხო კომისართა საბჭომ.

მდ. რიონზე მგზავრების გადაყვანის და ტვირთზიდვის თვითღირებულების შესამცირებლად და ნაოსნობის საქმის მოსაწესრიგებლად ა.-კ. სახალხო კომისართა საბჭომ ა.-კ. შინაწყლებზე მიმოსვლის სამმართველოს დაავალა დონ-ყუბანის სახელმწიფო ნაოსნობის სააქციო საზოგადოების გამგეობის წინაშე დასვას საკითხი, რომ მდ. რიონი უზრუნველყოფილი იქნეს ახალი, გაუმჯობესებული სახის სანაოსნო საშუალებებით.

ამასთანავე სახ. კომისართა საბჭომ წინადადება მისცა საუწყებო სატარიფო თათბირს, საექსპლოატაციო წლის დამთავრების შემდეგ კვლავ გადასინჯოს ახლანდელი ტარიფი, მისი შემდგომი შემცირების მიზნით.

შაბათს, 8 ივნისს, საღამოს 6 საათზე მელითონეთა კლუბში იხსნება საქ. კ. პ. ორგანიზაციის ლენინის რაიონის მე-5 კონფერენცია

დღის წესრიგი:

1. მოხსენება პარტიის მუშაობის შესახებ სოფლად.
2. რაიონულ საბჭოს და სარევიზიო კომისიის მოხსენება.
3. არჩევნები.

დელეგატების გარდა კონფერენციაზე მოწვეულნი არიან ყველა დაინტერესებული ორგანიზაციები და პირები, რომლებსაც შესასვლელი ბილეთები კლუბშივე მიეცემათ.

პრეზიდიუმი.

დავეხმაროთ პროლეტარულ სტუდენტობას

პროლეტარულ სტუდენტთა ფონდში შემოგვაქვს ორი მანეთი.

ოსმან და ცეცილია გუაჩიძეები.

—:—

შემომაქვს სამი მანეთი და ვიწვევ: ფემისტოკლე ივანოვს, სოსო სადირაშვილს; გიორგი რიკაძეს, ტიტე ქაჯაიას, ნიკოლა ბეგიზოვს, პლატონ გავნიძეს, ალექსანდრე იოსელიანს, ბენიამინ სარქისოვს, იოსებ კალოიანს, მაკარო მასხარაშვილს.

ილიკო მასხარაშვილი.

—:—

ამხ. კ. სულაქველიძის გამოწვევით შემომაქვს ათი მანეთი და ვიწვევ: ინჟ. არჩილ ქართველიშვილს, სპირიდონ ჩომახიძეს, ინჟ. ვალ. ახვლედიანს, ინჟ. ვლ. ფხალაძეს, ინჟ. ევგ. ბაკურაძეს, ინჟ. კონ. ცინცაძეს და პავლე ქარუმიძეს.

ალექსანდრე მდივანი.

—:—

ამხ. გიგლა გოგმეჩაძის გამოწვევით შემომაქვს ერთი მანეთი და ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს: ნინა რამიშვილს, თამარა ჩაგანავას, ვ. ფარაჯიანს, რამანა გიკაშვილს და სერგო მეხის.

ვახტანგ თოიძე.

—:—

პროფ. ა. ხ. როლლოვს კანდელაკის გამოწვევით პროლეტარულ სტუდენტთა ფონდში შემოაქვს 10 მანეთი.

—:—

ამხ. ქ. ჩიჩუას გამოწვევით შემომაქვს 3 მანეთი და ვიწვევ: ელენე კეჭაყმაძეს, კატუშა ორაგველიძეს, საშა ხუნდაძეს, ანიჩკა ელიონტს ზინა ნაკაიძეს, სონია სულუხიას, ლადო ღამბაშიძეს, სანდრო ჯაველიძეს და ტილემაკ ასათიანს.

მარუსია ელენტი.

შემომაქვს ხუთი მანეთი და ვიწვევ: გრიშა ელენტს, სანდრო ორაგველიძეს, ალ. მგელაძეს ალ. შვანგირაძეს, ქ. კვანტრეს, ბ. ზარამიძეს, ტ. ასათიანს, ირ. ხომერიკს, ი. ქარცივაძეს, ვ. შანიძეს, ს. ქარცივაძეს, ს. ჯანიშვილს, ა. კვასხვაძეს, პ. კეკელიძეს.

დ. დუდუჩავა.

ქეთო ჩიჩუას გამოწვევით შემომაქვს სამი მანეთი და ვიწვევ: მარო დოლიძეს, თამარა დოლიძეს, თამარა ზამბახიძეს, თამარა ხუციშვილს, მარიკო აბაშმაძეს, ანიკო ოორაიშვილს ვრიშა ელენტს, კაკო ელენტს, კოლია ბარამიძეს და პატკულია ჩხატარაშვილს.

ოლია ჩხარტიშვილი.

ამხ. კ. სულაქველიძის გამოწვევით პროლეტარულ სტუდენტთა სასარგებლოდ შემოგვაქვს თითო თუმანი.

კ. გაგუა, ნ. ჩიგოგიძე.

პროლეტარულ სტუდენტობის სასარგებლოდ შემომაქვს ათი მანეთი.

კ. ორაგველიძე.

ნიკოლოზ ვახანიას პროლეტ. სტუდენტთა ფონდში შემოაქვს სამი მანეთი.

ამხ. გიორგი სულუხიას გამოწვევით პროლეტარულ სტუდენტობის სასარგებლოდ შემომაქვს 10 მანეთი.

დავ. ორაგველიძე.

დღემდე პროლეტარულ სტუდენტთა ფონდის გასაძლიერებლად „კომუნისტი“-ს კანტორაში შემოვიდა 2.041 მან. 47 კაპ.

სასამართლო

„ნისიების“ მოყვარული ფინინსპექტორი

ქ. დუშეთში ტკბილად ცხოვრობდა, ფინინსპექტორი ალექსანდრე კიკნაძე. 1926 წლის მაისში ჩავიდა ის დუშეთში და მას შემდეგ ფეხი არ გადაუდგამს სხვაგან, არც მოუსურვებია სამსახურის გამოცვლა, რადგან თავისი კუჭის საპატივცემლოდ აღებული „გამანადგურებელი კურსი“ ჰქონდა! დუშეთელ ვაჭრების მიმართ.

— ასეთია, ამხანაგო ჩვენი პოლიტიკა ვაჭრების მიმართ... — ხშირად იტყოდა ხოლმე კიკნაძე; პასუხისმგებელ ამხანაგების გასაგონად.

თავისი „პოლიტიკის“ გატარება ფინინსპექტორმა კიკნაძემ დაიწყო მიკიტან ნესტორ თედეევის სასადილოდან და როცა თედეევმა 200 მანეთამდე ნისია დააგროვა, მიადგა ვაჭარ ქაჩირაშვილს. უკანასკნელს ნისიების დავთარში ჩაუწერა 120 მანეთი და შემდეგ ზურგი შეაქცია ნიშნად პროტესტისა ნისიის მოთხოვნის წინააღმდეგ.

ფინინსპექტორმა მონახა ახალი წყარო არსებობისა — შალილოვის სამიკიტნო. ვინ გაუბედავს ფინინსპექტორ კიკნაძეს უარის თქმას ნისიად ქეიფზე! ასე სწამს ალექსანდრეს.

ეს იყო მანამდე, სანამ ფინინსპექტორს ცოლი ესტუმრებოდა თბილისიდან. ოჯახურად მოწყობის შემდეგ ფინინსპექტორმა მიზანში ამოიღო ყასაბი მირაქოვი, რომელსაც დაავალა თავისი ოჯახის უზრუნველყოფა სუკებით და ნორჩი ბატკნის ხორცით. მირაქოვმა ფინინსპექტორისათვის შეიძინა სანისიო დავთარი და როცა დავთარში ცარიელი ადგილი აღარ დარჩა ყასაბი იძულებული გახდა შეეწყვიტა „ნისია“.

— იმედი მაქვს „სააღდგომოდ“ სირცხვილს არ მაჭმევ! ვიჩინას, ბატკანს, გოჭს და ყველს შენგან ველოდები, — ასე შეუთვალა ფინინსპექტორმა ვაჭარ გიორგი მკალაშვილს. უკანასკნელმაც არ „აჭამა სირცხვილი“ კიკნაძეს და თავისი ზურგით მიუტანა სააღდგომო სანოვაგე.

ერთი დიდი ლორიც ვაჭარმა თედეევმა ჩამოაქყვირა ფინინსპექტორის ეზოში. ასე რომ დიდებულად შეხვდა კიკნაძე „აღდგომას“.

კიკნაძის დაბადების დღე მთელმა დუშეთმა გაიგო. დღესასწაულის თავის ოჯახში გადახდა სხვადასხვა მოსაზრებით არ მოისურვა კიკნაძემ. ამჯობინა დღობა გადახდილი ყოფილიყო მიკიტან ქაჩირაშვილის ხარჯზე. ქაჩირაშვილის სარდაფში ბევრი ათეული მანეთი ჩაიწერა მკვდარ „ნისიათ“ ფინინსპექტორის დაბადების დღის აღსანიშნავად.

მართალია, მთელი სამი წლის განმავლობაში ფინინსპექტორი თავს ინახავდა განცხრომით ადგილობრივ ვაჭრების ხარჯზე, მაგრამ არც ისე დაკარგული ჰქონდა სამაგიეროს გადახდის გრძნობა, რომ ვაჭრებისათვის პატივი არ ეცა. მაგალითად, ძველის - ძველი ვაჭარი ჭონქაძე კიკნაძემ სრულიად გაანთავისუფლა საშემოსავლო გადასახადისაგან.

— „ახალი ვაჭარი იყო“ და წავახალისეო, — ასე იმართლა თავი ფინინსპექტორმა გამომძიებელთან.

მუქთამჭამელ კიკნაძის ამ ბოროტმოქმედებათა შესახებ ცნობა მიიღო ქ. დუშეთში მყოფმა თბილისის მაზრა - ქალაქის სასამართლოს სესიამ. პროკურორ ამხ. ტატიშვილის ხელმძღვანელობით ადგილობრივმა გამომძიებელმა სასწრაფოდ გამოიძია ეს საქმე.

კიკნაძე 30 მაისს დაპატიმრებულ იქნა. საქმეს ადგილობრივ გაარჩევს სესია.

ყაჩაღების გასამართლება

თბილისის მაზრა-ქალაქის სასამართლოს გასვლელმა სესიამ ქ. დუშეთში საჯაროდ გაასამართლა ყაჩაღები ლადო ორმოცაძე და ბესო გელოშვილი.

გასული წლის 20 ნოემბერს შუაღამისას აღნიშნულმა პირებმა მოაწყვეს შეიარაღებული თავდასხმა სოფელ მეზვრიანთ-კარში. ყაჩაღებს თოფი ეგულებოდათ ადგილობრივ მცხოვრებ ნატა მჭედლიშვილის ოჯახში. იარაღის გატაცების შემდეგ ყაჩაღები კარს მიადგნენ იქვე მეზობლად მცხოვრებ გლეხს, რომელსაც უბრძანეს კარი გაეღო. გლეხმა არ გააღო კარი. ყაჩაღებმა გარედან ასტეხეს სროლა. სროლის ხმაზე მთელი სოფელი ფეხზე დადგა. სოფლელებმა ასტეხეს ხმაურობა. ყაჩაღები იძულებულნი გახდნენ გაქცეულიყვნენ, მაგრამ დამალვა ვერ მოასწრეს. მილიციელებმა ისინი ჩქარა დააპატიმრეს.

ყაჩაღებს მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა ექვს-ექვსი წლით სასტიკი იზოლაციით და სამ-სამი წლით სამოქალაქო უფლებების აყრით.

სასამართლოს შემადგენლობა: თავმჯდომარე ამხ. რ. კალანდაძე, პროკურორი ტატიშვილი, მდივანი—ჩარკვიანი.

ბარ.

შემთხვევები

საზიზღარი ბოროტმოქმედება ხაშურში

3 ივნისს ღამით ხაშურში მოხდა საზიზღარი ბოროტმოქმედება. სახაზინო შენობაში, რკინისგზის სალიანდაგო დარგის არტელის უფროსის ხონელიძის ბინაში გაქურდვის მიზნით შეიპარნენ ბოროტმოქმედნი. ხონელიძე ამ დროს სახლში არ იყო. ბოროტმოქმედებმა ხელით დაახრჩეს ხონელიძის ცოლისძმა 18 წლის ალ. ნაცვლიშვილი, გაიტანეს ბინიდან საკერავი მანქანა, საწოლი და სხვა საოჯახო ნივთები და ბოროტმოქმედების კვალის დაფარვის მიზნით ცეცხლი წაუკიდეს ბინას.

ორთქლმავლების განაშზე ცეცხლის ადგილას გამოცხადდა ცეცხლის მქრობელი რაზმი, რომელმაც ჩააქრო ხანძარი 3 საათზე და 40 წუთზე.

სხვათაშორის, ცეცხლის ჩაქრობაში განსაკუთრებული ენერგია და გამბედაობა გამოიჩინა იასონ ხმიადაშვილმა, რომელიც პირველი შეიჭრა ცეცხლწაკიდებულ სახლში და გამოიტანა იქიდან დამხრჩვალი ნაცვლიშვილის გვამი. ხმიადაშვილმა აქტიური მონაწილეობა მიიღო ნაცვლიშვილის დაკრძალვაშიაც.

რკინისგზის სახელ. პოლიტსამმართველომ იჭვი მიიტანა ხმიადაშვილზე და 6 ივნისს იგი დაპატიმრებულ იქნა. ამავე დროს გაჩხრიკეს მისი ბინა, სადაც აღმოაჩინეს ხონელიძის ბინიდან გატაცებული ნივთები. ხმიადაშვილი გამოტყდა დანაშაულში და დაასახელა თავისი თანამონაწილე ახმედ ვერულიძე. 6 ივნისს დაპატიმრებულ იქნა ვერულიძეც. იგი არ გამოტყდა დანაშაულში, თუმცა ხმიადაშვილი გადაჭრით ამტკიცებს, რომ ვერულიძეც მასთან ერთად იღებდა მონაწილეობას ბოროტმოქმედებაში.

კვლევა-ძიება გრძელდება.

კ. ლორთქიფანიძე.

ტრამვაის ქვეშ

გუშინწინ, საღამოს, პლეხანოვის და მუშტაიდის ქუჩების კუთხეში ტრამვაის ვაგონი, რომელსაც მართავდა ვატმანი დ. გამყრელიძე, დაეჯახა მცირეწლოვან ნინა ვასილის ასულ მოზალაშვილს. დაშავებული ბავში გადაგზავნეს საავადმყოფოში.

შეპყრობა

შეიპყრეს მცირეწლოვანი სიმონ მეიხისძე ბებელაშვილი, რომელმაც მოქ. დემურაშვილს ამოაცალა ფული.

დახრჩობა

ორთაჭალაში ბანაობის დროს დაიღრჩო ისაკ სარქისისძე ვერძიშოვი.

ქურდობა

გაქურდეს ანა ბაღდოევის ბინა (მუშტაიდის ქ. 99); — გაქურდეს ილია ბერულავას ბინა (კლარა ცეტკინას ქ. № 100); — მე-8 შრომის სკოლის ფიზიკურ კაბინეტიდან მოიპარეს მიკროსკოპი თავის მოწყობილობით; — გაქურდეს ავაქ ხუდადოვის ბინა (ლერმონტოვის ქ. № 27) და ქეთო სულაქველიძის ბინა (სამრეცხაოს ქ. № 7).

მუშათა ფაკულტეტებზე მიღების წესები

განათლების კომისარიატის მიერ დამტკიცებულ წესების მიხედვით, მუშათა ფაკულტეტებზე მიიღება ის პირი, რომელიც ჰასაკით არა ნაკლებ 18 და არა უმეტეს 30 წლისაა, წარმოშობით არის მუშა, მოჯამაგირე, ან ღარიბი გლეხი, რომელიც მუშათა ფაკულტეტებზე ჩარიცხვამდე ეწეოდა ფიზიკურ შრომას სამრეწველო და სატრანსპორტო წარმოებებში.

დაქირავებითი შრომის სტაჟი 18—20 წ. ახალგაზრდებისათვის საჭიროა არა ნაკლებ 3 წლისა, 20—25 წ.—4 წლის და 25—30 წ. ჰასაკის მქონეთ არა ნაკლებ 5 წლისა. სამხედრო სამსახურში გაწვეულთ სამხედრო სამსახურში ყოფნა ჩაეთვლებათ შრომის სტაჟათ.

წელს მუშათა ფაკულტეტებზე მიღება იწარმოებს მხოლოდ პირველ კურსზე.

ამხ. მ. კახიანის სახელობის მუშფაკში სულ მიღებული იქნება 180 კაცი, ლენინის სახელობის პოლიტექნიკურ ინსტიტუტის მუშფაკში—40 კაცი რუსულ სექტორზე და 40 კაცი სომხურ სექტორზე; რკინის გზის მუშფაკში მიღებული იქნება ქართულ სექტორზე—70 და რუსულზე—35 კაცი, სულ 105 კაცი.

მუშფაკებში კანდიდატების გამომგზავნმა ორგანიზაციებმა ამა თუ იმ მუშფაკის მიმღებ კომისიას უნდა გადაუგზავნონ კანდიდატების საერთო სია თვითეულ კანდიდატის შემდეგი საბუთების თანდართვით:

1) მივლინების მოწმობა, 2) მოწმობა შრომის სტაჟის შესახებ, 3) წლოვანების შესახებ, 4) სამხედრო ბეგარასთან დამოკიდებულების საბუთი, 5) შემოწმებული ანკეტა, 6) ჯანმრთელობის მოწმობა.

მივლინებულთა განცხადებები მიიღება მიმღებ კომისიებში 15—31 აგვისტომდე. დაგვიანებით გამოგზავნილი განცხადებები არ იქნება განხილული.

გამოცდებზე დაშვებულნი უნდა გამოცხადდენ 6 სექტემბერს სათანადო მუშფაკში და გამოცდები უნდა ჩააბარონ: მშობლიურ ენასა. ანგარიშსა და პოლიტგანათლებაში.

ხორბლეულის ბაზარზე

ხორბლეულის ფასი კლებულობს

ამინდის გამოკეთებისა და ყანების მდგომარეობის გაუმჯობესების გამო, უკანასკნელ დღეებში კერძო ბაზარზე შესამჩნევი გახდა ხორბლეულის ფასის დაკლება. ამ ათიოდე დღის წინად თბილისში ქერი ფასობდა 4 მან. 50 კაპ., ამჟამად კი ფასი შემცირდა 3 მან. 50 კაპეიკამდე.

200.000 ფ. სიმინდი

ა.-კ. ვაჭრობის სახ. კომისარიატის რწმუნებულის სამმართველოს ცნობით, ივნისის განმავლობაში დასავლეთ საქართველოში შეზიდული იქნება 200.000 ფუთი სიმინდი. სიმინდი მოსახლეობას მიეცემა ფუთი 2 მან. — 2 მან. 50 კაპ.

ავიაქიმში

თავდაცვის სახლები

საკავშირო თავდაცვა - ავიაქიმის ცენტრ. საბჭოს დადგენილებით, იმ დაბა - ქალაქებში, სადაც არ არსებობენ წითელი არმიისა და ფლოტის სახლები, გაიხსნება თავდაცვის სახლები.

თავდაცვის სახლების უმთავრესი მიზანია თავდაცვა - ავიქიმის წევრების ჩაბმა პრაქტიკულ საქმიანობაში და მშრომელთა ფართო მასების მიზიდვა ავიაქიმის რიგებში.

თავდაცვის სახლებთან მოეწყობა სხვადასხვა სახის პრაქტიკული ორგანიზაციები, როგორიც არის სასკოლო კაბინეტი, ლაბორატორიები და ტირი.

ინსტრუქტორების გაგზავნა მაზრებში

სოფლის მეურნეობასთან საბრძოლველად საქ. თავდაცვა - ავიაქიმმა სხვადასხვა მაზრებში გაგზავნა 24 ინსტრუქტორი.

ავიაქიმის ნიშნები

საქ. თავდაცვა - ავიაქიმის პრეზიდიუმმა დაამტკიცა ავიაქიმის ნიშნის პროექტი.

ნიშანზე გამოხატული იქნება შაშხანა თოფი, პროპელერი და გაზის საწინააღმდეგო ნიღაბი ხუთქიმიან ვარსკვლავის ფონზე.

საქ. ავიაქიმი უკვე შეუდგა ხსენებული ნიშნის მასიურ დამზადებას.

რკინის გზებზე

ცდები სურამის და ჯაჯურის უღელტეხილებზე

მიმდინარე ივნისის დამლევს სურამის და ჯაჯურის უღელტეხილებზე განზრახულია მძიმე საქონლის მატარებლების ოთხი ორთქლმავლით წაყვანის ცდების მოხდენა (სურამის უღელტეხილზე, როგორც მკითხველებმა იციან ასეთი ცდები ერთხელ უკვე ჩატარდა და ეხლა იგი კვლავ იქნება განმეორებული).

ცდების საწარმოებლად 25 ივნისისათვის ამიერ-კავკ. რკინის გზაზე ჩამოვა კაზანცევის სისტემის მუხრუჭებით მოწყობილი ექვსი მძლავრი სერიის ორთქლმავალი.

მუშების დაწინაურება

ამ დღეებში მოხდა სტალინის სახელობის ვაგონების და ორთქლმავლების შემკეთებელ ქარხნის მუშების დაწინაურება სხვადასხვა საპასუხისმგებლო თანამდებობებზე.

სამჭედლო ცეხის ზეინკალი ამხ. გიორგი კოხრეიძე დაწინაურებულ იქნა „ზაკგოსტორგი“-ს ადმინისტრატიული განყოფილების უფროსის თანამდებობაზე, სახარატო ცეხის მუშა ამხ. იოსებ შენგელია—ამიერ-კავკ. წყალთა მეურნეობის სამმართველოს ინსპექტორის თანამდებობაზე, ზეინკალი ამხ. გრიგოლ კეკელია დაინიშნა ს. ორჯონიკიძის კლუბის გამგედ.

რკინისგზელთა ექსკურსიები

რიონჰესში. დღეს მუშა-რკინისგზელები— 64 კაცის შემადგენლობით მიემგზავრებიან ექსკურსიაზე რიონჰესში. თბილისიდან ექსკურსანტები ჩავლენ რიონჰესში, იქიდან ქუთაისში, შემდეგ ტყიბულში და უკან დაბრუნებისას გამოივლიან ხაშურში და სურამში.

დღესვე ახალგაზრდა მუშები, რიცხვით— 54 კაცი, მიემგზავრება ბათომში.

გზის მთავარ სამასალო საწყობის მუშა-მოსამსახურეები (54 კაცის) მიემგზავრებიან ჭიათურაში.

მოსკოვი—ლენინგრადი—ხარკოვი. 25 ივნისს მოეწყობა სტალინის სახელობის ქარხნის და თბილისის დეპოს მუშების ექსკურსია მოსკოვში, ლენინგრადსა და ხარკოვში.

20 ივნისს თბილისის საუბნო კომიტეტი მოსკოვ-ლენინგრად-ხარკოვში აწყობს უბნის კულტმუშაკების ექსკურსიას. ექსკურსანტები ხსენებულ ცენტრებში გაეცნობიან კლუბების მუშაობას.

ქვის ლოდები რკინისგზაზე

ბორჯომ-დაბას შუა რკინის გზაზე ჩამოვარდა ქვის დიდი ლოდი.

ქვის ჩამოვარდნის დროს ბორჯომის მიმართულებით მიდიოდა მატარებელი. მემანქანემ ქვა ვერ შეამჩნია და დაეჯახა მას. ორთქლმავალი და ოთხი ვაგონი გადავარდა ლიანდაგიდან. მოძრაობა შეწყვეტილი იყო სამი საათის განმავლობაში.

ასეთივე შემთხვევას ადგილი ჰქონდა ტყიბულის შტოზე. ტყიბულ-საწირეს შუა მახლობელი მთიდან გზაზე ჩამოვარდა დიდი ქვა.

მატ. № 161-ს მემანქანემ, დროზე შეამჩნია ეს და მატარებელი გააჩერა. გზის გაწმენდის მოლოდინში მატარებელმა ერთ საათს დაიგვიანა.

ორთქლმავლების დაჯახება

ბალაჯარაში მოხდა ორთქლმავლების დაჯახება.

ორთავე ორთქლმავალი გადავარდა ლიანდაგიდან და დაზიანდა.

ჭადრაკი

რკინისგზელთა ტურნირი

ბაქოში დანიშნულია ბაქოს უბნის მოჭადრაკე რკინისგზელების ტურნირი.

ტურნირში მონაწილეობის მისაღებათ დღეს ბაქოში მიემგზავრება თბილისის უბნის ცხრა მოჭადრაკე რკინისგზელი.

რადიო-გადაცემა

შაბათი, 8 ივნისი

ოქტომბრელის საათი ქართულ ენაზე; საუბარი „მეაბრეშუმეობა საბჭოთა კავშირში და მეაბრეშუმეობის ხვედრითი წონა საქართველოს სახალხო მეურნეობაში“; — ქართულ ენაზე; რადიო - გაზეთი ქართულ ენაზე; გლეხური კონცერტი. დროის შემოწმება და ამინდის ბიულეტენი; რადიო - გაზეთი რუსულ ენაზე; პოპულიარული კონცერტი, ახალი ამბები ან ხვალინდელი გაზეთების მიმოხილვა.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

დადგენილება

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა

მუსლიმანთა „მაჰერამი“-ს თვის დღეებში რელიგიური ხასიათის მსვლელობისა, დემონსტრაციისა და სარწმუნოებრივი წესების საჯაროთ აღსრულების აკრძალვის შესახებ

მუსლიმანთა „მაჰერამი“-ის თვის დღეებში საზოგადოებრივი წესიერების დარღვევის თავიდან ასაცილებლად—სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

1. აკრძალულ იქნეს მუსლიმანთა „მაჰერამი“-ს თვის პირველ დღეებში, რაც მიმდინარე 1928 წ. ივნისის 8—18 მოდის, ყოველგვარი რელიგიური ხასიათის მსვლელობა, დემონსტრაცია და, საერთოდ, ამა თუ იმ წესის საჯარო აღსრულება (სარწმუნოებრივი ცერემონია, „შახსეი-ვახსეი“ და სხვ.) სამლოცველო სახლების (მეჩეთის) გარეშე.

2. აკრძალულ იქნეს ყველგან, სამლოცველო სახლების (მეჩეთის) ტერიტორიის გამოუნაკლისად, ისეთი წესის შესრულება, რაც თვითწვალებასა და გვემას იწვევს, როგორიც არის: თავის დასერვა, ჯაჭვით ცემა და სხვ.

3. აკრძალულ იქნეს კერძო სახლებში „თეკიე“-სა და სხვა შეკრებულობის გამართვა.

4. ამა დადგენილების დარღვევისათვის დამნაშავე პასუხს აგებს ადმინისტრატიული წესით—მას გადასახდელად დაედება იძულებითი მუშაობა ვადით ერთ თვემდე ან ფულადი ჯარიმა 100 მანეთამდე; ამ გადასახდელს გადასწყვეტენ აღმასრულებელი კომიტეტების ადმინისტრატიული განყოფილებების უფროსნი ან მილიციის უფროსნი „სავალდებულო დადგენილებათა გამოცემისა და ამ დადგენილებათა დარღვევისათვის ადმინისტრატიული გადასახდელის დადების“ დებულების წესისამებრ, უკეთუ დამნაშავის მიერ ჩადენილი ქმედობა არ იწვევს პასუხისმგებლობას სისხლის სამართლის წესით.

5. მეთვალყურეობა ამა დადგენილების განხორციელებისათვის დაეკისროს: ქალაქად და ქალაქის ტიპის დასახლებულ ადგილებში—მილიციის ორგანოებს, ხოლო სოფლად—სათემო აღმასრულებელ კომიტეტებს.

6. დადგენილება ესე სამოქმედოთ შემოღებულ იქნეს ტელეგრაფით.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის მაგიერ—**მ. სტურუა.**

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივნის მაგიერ—**შ. მათიკაშვილი.**

1929 წ. ივნისის 5.

შრომის ბირჟაში

მოთხოვნილება მუშა-ხელზე

დღეს, 8 ივნისს, თბილისის შრომის ბირჟიდან სამუშაოზე იგზავნებიან შემდეგი უმუშევრები:

გონებრივ მუშაკთა სექციიდან: ეფემია გორდელაძე, თამრო აზაურაშვილი, ვასილ გალუსტოვი, ზაქარია ფალავანდიშვილი, ტატიანა კოვალოვა, ქსენია მიმინოშვილი, ევდოკია არჯევანიძე, მარიამ განჯინსკაია, გიორგი ავაქოვი, რუბენ ნერსესოვი, გაბაევი, ეფიმ გოლინკო, ლარისა პოპელო, სოფიო ტალინა, ელენე მეჯაუროვა, ვასილ ბუშაკოვი, გიორგი რუსიშვილი, ლიუდმილა კეკელიძე, ლიდა იონოვა, ელისაბედ ლომიძე, ოლღა ყიფიანი, ნადეჟდა სვანიძე, გაბელაშვილი, თამარ ლიპარტიანი, როზალია პრილიუცკაია, კოსტანიანი, ზაქარია ბუზარაშვილი, გარეგინ ყურმიზოვი, კარა არუთინოვი, ვასილ სალარიძე, გიორგი ჯიშკარიანი, სერგო საამოვი.

მედსექციიდან: ელენე ასათიანი, ვასილ კაციტაძე, კონსტანტინე ახვლედიანი, ქსენია მეავანაძე. გარდა ამისა სექციას ესაჭიროება ერთი კბილის ექიმი და ერთი მოლარე—მემანქანე. ლათინური ენის მცოდნე.

მშენებელ მუშაკთა სექციიდან: კირილე მაცუკატოვი, დავით ბეჟუაშვილი, გერონტი წერეძე, ონან პეტროსოვი, სოფრ. ოჯანეზოვი, ალექსანდრე ჩოჩიევი, ალექსანდრე გურული, სერგო ხატელაშვილი, [illegible] ნეს მარტიროსიანი, [illegible] გურგენ ავაქოვი, იოსებ სიდამონიძე, ავეტ ეგოიანი, ივანე წკრიალაშვილი, სარქის მხითარიანი, მნაცაკან მნაცაკანოვი, სერგო ტერ-აკოპოვი, ივანე ორლოვი, მანუკ ოგანესიანი.

შავ მუშათა სექციიდან: ივანე ხარიტონაშვილი, ალექსანდრე სუკავეტინი, აბგაროვი, ვახტანგ ჯაფარიძე, ვლადიმერ ავაქუმოვი, მიხეილ სიმონოვი, მარიამ გოგორენკო, ნიკოლოზ ქარუმიძე, არსენ დავიდოვი, ალექსანდრე მხალაძე, შაქრო კეკელიძე, ნიკოლოზ რამაზაშვილი, შალვა ქავჭანიძე, მარიამ ზახაროვა, მიხეილ აპრიკოვი, სტეფანე ბიგულაევი.

კვალიფიციურ მუშაკთა სექციიდან: შიო გოგიბაშვილი, ალექსანდრე ხევსურიანი, იოსებ ცაბაძე, მიხეილ მატინიანი, გიორგი გოზალოვი, ევგენია ხმალაძე, რომანოზ დვალი, მოსე კიკვაძე, კარაპეტ ხოსეკოვი, ბალდასარ ხანდილიანცი, პლატონ დვალი, ნიკოლოზ ჩაგელაშვილი, ბიძინა ყიფიანი, ფირან სხირტლაძე, არმენაკ აბრამოვი, დავიდოვი, ისაკი ალალოვი, ხაჩატუროვი.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

შაბათს, 8 ივნისს, დღის 12 საათზე ცეკას აგიტპროპბეჭდვითი განყოფილებაში შესდგება თათბირი, რომელზედაც უნდა გამოცხადდენ შემდეგი ამხანაგები: დ. ცხაკაია (პროფგანათლების მთავარი სამმართველო), მთვარელიძე და ანდღულაძე (ქართული მუშფაკი), გ. რუხაძე და რკინის გზის მუშფაკის კოლექტივის ბიუროს მდივანი, პასეცკი და საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტთან არსებული გაერთიანებული მუშფაკის კოლექტივის ბიუროს მდივანი, ფანცულაია (საქართველოს პროფსაბჭოს კულტ-განყოფილება), მდივანი (თბილისის კომიტეტის აგიტპროპბეჭდვითი განყოფილება) და იშხანოვი (საქართველოს ა.ლ.კ.კ. ცეკა).

დღეს, საღამოს 6 საათზე, განათლების მუშაკის სახლში დანიშნულია მეცნ. მუშ. სექციის ბიუროს კომფრაქციის სხდომა. დასწრება სავალდებულოა.

შაბათს, 8 ივნისს, საღ. სრულ 5 საათზე, შესდგება ს. ს. პ. ი. ა. ლ. კ. კ. ბიურო-კოლექტივის სხდომა; წევრ-კანდიდატთა დასწრება სავალდებულოა. აგრეთვე უნდა დაესწრონ ის ამხანაგები, რომლებსაც შემოტანილი აქვთ განცხადება კ. კ. მიღების და გადარიცხვის შესახებ.

შაბათს, 8 ივნისს, საღამოს 6 საათზე საქ. კომპარტ. (ბ) ც. კ. აგიტპროპბეჭდვითი განყოფილებაში შესდგება თათბირი ყველა იმ კომუნისტ პედაგოგების და კომკავშირის უჯრედების მდივნებისა, რომლებიც მუშაობენ თბილისის შემდეგ ტეხნიკუმებში: ჰიდროტეხნიკუმი, ქიმიურ-ფარმაცევტიული, ინდუსტრიალური, სამრეწველო-ეკონომიური, ქიმიური, საფეიქრო, მიწათმოწყობის, სომხური და თურქული პედაგოგიური ტეხნიკუმები. თათბირზე უნდა დაესწრონ აგრეთვე რაიკომების აგიტპროპბეჭდვითი განყ. გამგეები და შემდეგი ამხანაგები: კანდელაკი (გან. სახკომი), იშხანოვი, დემეტრაძე (საქართველოს კ. კ. (ც. კ.), ბედია, ადამიანი (ც. კ.), ჰელიძე (პროფ. საბჭოს კ. განყ.), კერესელიძე (კ. კ. ცენტრალური კომიტეტი), მახარაძე, გასანსაბრი, პიტოევი.

სახ. უნ-ტის ა. ლ. კ. კ. კ. გაერთიანებულ უჯრედთა ბიურო - კოლექტივის სხდომა შესდგება დღეს, 8 ივნისს, დღის სრულ 12 საათზე ბიურო - კოლექტივის წევრ - კანდიდატთა დასწრება სავალდებულოა დაუგვიანებლივ. აგრეთვე უნდა გამოცხადდნენ შემდეგი ამხანაგები: მ. თორია, ვლ. ნუცუბიძე, ივ. ბარკავა, ჩოგოვაძე ილია, ფანცხავა სოსო, გრ. კეკელიძე, მ. სანაძე და დ. ბარამიძე.

საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სახალხო კომისართა საბჭო აუწყებენ ამხანაგებს, რომ ა. წ. ივნისის 9-ს დილის 12 საათზე საფლავზე (კომუნარების ბაღში, რუსთაველის პროსპექტი) გადახდილი იქნება სამოქალაქო პანაშვიდი ტრაგიკულად გარდაცვლილ ძველ რევოლიუციონერის

ამხ. ალექსანდრე (საშა) გეგეჭკორის

გარდაცვალებიდან ერთი წლის შესრულების გამო. ნ. 2818

სააქციო საზოგადოება „საქართველოს ჩაი“-ს გამგეობა აცხადებს, რომ ა. წ. ივნისის 9-ს დილით 12 საათზე საფლავზე (კომუნარების ბაღში, რუსთაველის პროს.) გადახდილი იქნება სამოქალაქო პანაშვიდი ტრაგიკულად გარდაცვალებულ სააქციო საზოგადოების ერთ-ერთ დამაარსებლის და ძველ რევოლიუციონერის

ამხ. ალექსანდრე (საშა) გეგეჭკორის

გარდაცვალებიდან ერთი წლის შესრულების გამო. 2116

კვირას, 9 ივნისს დღის 12 საათზე

საშა გეგეჭკორის

ხსოვნის აღსანიშნავად მის საფლავზე დანიშნულია სამოქალაქო პანაშვიდი, რასაც აუწყებენ ამხანაგებს, ნათესავთ, მეგობრებს და ნაცნობთ განსვენებულის მეუღლე ვერა და შვილები—ლიონია და თინა და შვილიშვილი საშუნია გეგეჭკორები. 3 2 ნ. 2807

მილიციის კომუჯრედი № 3 და ადგილკომი № 3 ღრმა მწუხარებას გამოსთქვამს მე-3 რაიონის უფროსის თანაშემწის

ამხ. სტეფანე საბას-ძე თოშხუას

გარდაცვალების გამო. 124

ელისაბედ მატთიას ასული მიქელაძისა შვილებით და შვილიშვილებით იუწყებიან, რომ ძვირფასი და მარად დაუვიწყარ მეუღლის, მამის და პაპის

ალექსი ევგენის-ძე მიქელაძის

ხსოვნის აღსანიშნავად კვირას, 9 ივნისს, საღამოს 6 საათზე დანიშნულია სამოქალაქო პანაშვიდი ვერის ახალ სასაფლაოზე. 2118

ღრმად დამწუხრებული მეუღლე ლიდა პატარა შვილიშვილებით, შვილ ბი: ნინო. ოლღა, პაშა, ნიკოლოზი, გერასიმე და პეტრე, რძლები კატო და სონია, სიძეები: პეტრე მაჭავარიანი და გრიგოლ მგალობლიშვილი აუწყებენ საზოგადოებას, რომ მათთვის ძვირფასი და დაუვიწყარი

იასონ ილიას-ძე ამაშუკელის

ხსოვნის აღსანიშნავად გადახდილი იქნება სამოქალაქო პანაშვიდი კუკიის სასაფლაოზე კვირას, 9 ივნისს, ნაშუადღევის პირველ საათზე. 2122

გაუბედურებული მეუღლე ვალოდია, დედა, ძმა ალექსანდრე; რძალი ბაბუცა და პელო ბუკიები; დედამთილი ძაბია, მულები: ოლია, მარუსია, ტატიანა, კლარა და ლენა გვასალიები იუწყებიან მათთვის ძვირფას

ციცა ბუკიას ასული გვასალიას

გარდაცვალებას. დაკრძალვა სოფ. ხეთაში, კვირას, 9 ივნისს. 2131

სახკინმრეწვის კინოები

საზაფხულო ეთერი
სოლეი
ცნობილი ამერიკული ფილმი
ჩიკაგო

საზაფხულო აპოლო
უცხოეთის ახალი სურათი
მწვანე შესახვევი დადგმა რიხარდ ოსვალდის

კალასი
გრიბალი
მინიონი
ეგდე ნისენის მონაწილეობით.

აპოლო
სეზონის საუკეთესო ფილმი **კოშკი**

კვირას კინო სოლეიში სეანსი დღისით. 0—7

„კომუნისტი“-ს

წლიური („კაპიტალი“-ს დამატებით)

ხელისმომწერლების საყურადღებოდ

გაზეთ „კომუნისტი“-ს მთავარი კანტორა აცხადებს, რომ ვისაც არ აქვს გადახდილი მორიგი (ივნისის თვის) შემოსატანი თანხა, მათ ამა ივნისის 15-დან შეუწყდება გაზეთების გზავნა. 3—1

მუშკოოპის რწმუნებულთა მე-17 კრება გადადებულია

და შესდგება ა. წ. 8 ივნისს საღამოს 6 საათზე.

პროფსაბჭოს დიდ დარბაზში

ნ. 2813 მუშკოოპის გამგეობა.

ექიმი
კ. ს. ფონ-ირტელი
პლეხანოვის პროსპ. № 10
სპეციალურად მკურნალობს საშარდე-სქესობრივ, ვენერიულ ავადმყოფობას, სიფილისს, კანისა და ქირურგიულ ავადმყოფობას (სქესობრივი უძლურება, ნერვიული სისუსტე, ტრიპერი, სიფილისი, ბუასილი, სიმსივნე) ავადმყოფების მიღება დილის 8-დან შუადღის 12 საათამდე და საღ. 5-დან 8 საათამდე. ქალების მიღება დღის 11-დან 12 საათამდე. და საღამოს 7-დან 8 საათამდე. 13—1

ექიმი
ს. ი. ანდრეევისა
დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება სპეციალურად ძვლების, ჯირკვლების, ტუბერკულოზის მკურნალობა
მიღება 5—7 საათამდე. ელბაქიძის დაღმართი (ყოფ. ვერის) № 29
ელსმენი—11—78.

პროფ. გრ. მ. მუხაძე
თბილისიდან წასულია და დაბრუნდება 20 ივნისს. 13—1

ექიმი
ა. დ. კეკელია
სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულება
პლეხანოვის პროს. № 116. სასტუმრო „ნოე“-ს პირდაპირ. მიღება დილის 9—12, საღ. 7—8 საათამდე ტელეფ.—12—67. ნ. 20 25—1

ლოგოპედი
ა. ა. კაიშაური
ყოფილი გამგე მოსკოვის მეორე უნივერსიტეტთან არსებულ ლოგოპედიის კაბინეტისა
ასწორებს
ლოგოპათებს: ენაბლუებს, ენაჩლუნგებს, აფატიკებს და მეტყველების ყოველგვარ დეფექტებს
იღებს: საღამოს, 5—7 საათ კლარა ცეტკინის ქ., (ყოფ. ელისაბედის) № 132. ტელ. 26—01.

ექიმი ოდონტოლოგი
აპოლონ პავლეს ძე ურუშაძე
დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება დილის 8 ნახ. საათიდან 12 საათამდე.
2014—13—1

მაქვს სამი ოთახი სივრცით 93 მეტრი
19 თებერვლის ქ. № 3 მე-2 სართულში მინდა
გადავცვალო ორ-სამ 60—70 მეტრის სივრციან ოთახზე, მდებარე I, II ან III სამილიციო რაიონში.
ნახვა შეიძლება ნაშუადღევის 3—6 საათამდე
14—9 სერგო ქავთარაძე

ქალ. ლომბარდის სააუქციონო კამერა

აცხადებს, რომ შაბათს 8 და კვირას 9 ივნისს დღის 12 საათზე რკინის შეს. 1

დანიშნულია

საჯარო ვაჭრობა

ფინსახკომისადმი დავალიანებათა ასანაზღაურებლად. გაიყიდება ფარდაგები, ხალიჩები, შავი და თეთრი მატყლი და სხვადასხვა თასმები ნ. 2815

ანა ვასილის ასული მიქაბერიძე
პარიზში 1923 წელს დაამთავრა
„სილამაზის ინსტიტუტი“
მასაჟი სახის, კისრის, ხელების და თმის მკურნალობა ელექტრ. ორთქლის ვანები და ახალი ელექტროაპარატები კანის სილამაზის დასაცავათ.
ნელაძის ქუჩა (ყოფ. საპიორის) 19 იღებს დილით 10-დან 3-მდე და საღამოს 5—8-დე შესასვლელი შესახვევიდან. 495 2—5 25—18

ექიმი—ვენეროლოგი
ნინო მირიანაშვილი
იღებს კანის და ვენერიულ ავადმყოფებს (ქალებს და ბავშვებს)
საღამოს 5—7 საათამდე. მოსკოვის ქუჩ. № 4 ყოფ. ზემელის აფთიაქთან, ტელ. 14—23. 25—1

ი. ი. ბერიშვილი
ვენერიული, საშარდე—სასქესო ორგანოების, სიფილისი და კანის ავადმყოფობა
დილით 9—1 საათ. საღამოს 5—8 ს ქალებისათვის ცალკე შესავალი, სასტუმრო „ევროპას“ (ყოფ. „ნოე“-ს), პირდაპირ ჩოდრიშვილის და პლეხანოვის შესახვევი № 8.

ქ. ქუთაისში
ექიმი
დ. ა. ჩიჩელაშვილი
იღებს სპეციალურად ფილტვების ავადმყოფებს
დილის 8—12 საათამდე. ჭავჭავაძის ქუჩა № 4 ცეცხლის მქრობელ რაზმის გვერდით. 25—1

დაიკარგა სამხედრო აღრიცხვის ბარათი ფორმა № 4, დავით ერმალოს ძე დეისაძეს სახელზე. ჩ. გ. 2123

დაიკარგა: სამხედრო წიგნაკი ფორმა № 3 № 226 შალვა ახმეტელის სახელზე. ჩ. გ. 2126

დაიკარგა: მუშკოოპის წიგნაკი № 2201 გიორგი ბიძინაშვილის სახელზე, ჩ. გ. უფ.

დაიკარგა: პურის წიგნაკი № 48 ვალერიან ნესტორის ძე ცანავას სახელზე, ჩ. გ. 2119

დაიკარგა: კოჯორის შვიდწლედის დამთავრების მოწმობა № 203 გაცემული 16 ივნისს 1928 წელს გივი დადეშქელიანის სახელზე, ჩ. გ 2120

დაიკარგა: 9 წლედის დამთავრების მოწმობა, გაცემული მე 2-რე შრომის სკოლის მიერ 1926 წლ. შალვა ფილიპეს ძე მახარაძე სახელზე, ჩ. გ. 2115

დღეს
გაიხსნება საუკეთესო საზაფხულო კინო აპოლო
(„დარბაზი“-ს ბაღში, პლეხანოვის პრ., 91)
ეკრანზე უცხოეთის ახალი სურათი
მწვანე შესახვევი
რეჟისორი რიხარდ ოსვალდი
სა ზამთრო „აპოლო“-ში გრძელდება მხატვრულ „კოშკი“-ს დადგმა. ნ. 2816

ქ. თბ. მე-4 უბნის სახ. სასამართ. აღმასრულებელი

ა. გიორგაძე

ამით აცხადებს, რომ ის 12 ივნისს დღის 12 საათზე სახლში № 36 შ. არაგვისპირელის ქუჩაზე

საჯარო ვაჭრობით

გაჰყიდით მოქ. დავით შალამბერიძის უძრავ ქონებას ერთი სართულიანი სახლის ნახევარ ნაწილს, რომელიც შესდგება 5 ოთახისაგან და 4 სამზარეულოსაგან, შეფასებულს 600 მანეთად მოქ. მარიამ იმნაძის ვალის დასაკმაყოფილებლად, თანახმად თბილისის მე-4-ე უბნის სახ. სასამართლოსაგან 13 მარტს 1929 წ. თარიღით № 1253 გაცემულ აღმასრულებელი ფურცლისა. საჯარო ვაჭრობა იწარმოებს ს. ს. ს. კ. 301, 310, 312, 313, 315 და 316 მუხლებში გათვალისწინებულ წესების დაცვით. 2121

კბილის ექიმი
დ. ს. რიჟინაშვილი
კბილების დ პირის სნეულებათა მკურნალობა. პლომბები კბილების უმტკივნეულოდ ამოღება, ყოველგვარი ხელოვნური კბილების ჩასმა, ავადმყოფთა მიღება: 10—3 საათ. და 5—7 საათ. საღ.—მისამართი გრიბოედოვის ქუჩა № 34 რუსთაველის გამზირის კუთხე.
ტელ. 10—14 412 25—1

ექიმი
პ. ი. ჯალალოვი
(კანისა და ვენერიული სნეულებანი) სიფილისი, შეშხაპუნება „914“. ტრიპერისა და მისი შედეგების მკურნალობა მამაკაცთა მიღება: დილით—7—8 ს. საღამოს—6—9 საათ. ქალები და ბავშვების მიღება: 5—6 საათამდე. მისამართი: კამოს ქუჩა, № 19 ყოფ. დიდი მთავრის ქ., კარლ მარქსის მოედნის მახლობლად. ტელეფონი 1—90. ნ. 25—1

ექ. დ. ლ. თევზაძე
ყელის, ყურის და ცხვირის სნეულებანი და მოშლილობანი ხმის და მეტყველებისა
აქვე სპეციალურად არის მოწყობილი ფიზიო-თერაპიული მეთოდებით მკურნალობა
ჭონქაძის ქ. № 9 (ყ. გუდოვიჩისა)
მიღება: საღამოს 5—7 საათ გარდა კვირა დღეებისა.
ტელ. №2—73 25—6 124-50

ექიმი
გ. მ. ფხალაძე
სიფილისი, სუსუნატი (მისი გართულებანი) დ კანის სნეულებანი.
მიღება: დილის 7—7 ნახ. საათ. საღამ. 6—7 საათ. ქალები 7—9 საათ. კაცები
მარტის ქ. (ყ. ბოგოსლოვის) № 6, (გადასახვევი ოლღას ქუჩიდან აფთიაქთან). 25—1

ექიმი
მ. გ. შახნაზაროვი
სპეციალურად
სიფილისი, „914“ შეშხაპუნება, ტრიპერი მწვავე და ქრონიკული და სხვა ვენერიული სნეულებანი
ავადმყოფების მიღება ნაშუადღევის 4-დან 8 საათამდე. ქალების 4—5 საათამდე. ვასერის ქ. (ყოფ. კრასნოგორის) № 33 (ყოფ. თუმანოვის ქუჩ. კუთხე). 25—1

ტირაჟი—39.009 პოლიგრაფტრესტის მე-5 სტამბა, კამოს ქუჩა № 68 მთავლიტი № 904.